ლიტერატურული
საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 28 სექტემბერი. № 39 (2767) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.

# ზეიმობდა ქუთაისი





ცხრამეტიდან ოცდაერთი სექტემბრის ჩათვლით ქუთაისში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი ისე იგრძნობდა თავს, როგორც უდაბნოს ხორშაკიანი ქარებით გარემოცულ პატარა, მყუდრო ოაზისში.

იქნებ ვინმემ იფიქროს, ამ არეულობის ჟამს, როდესაც განსხვავებული პლატფორმის მქონე პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის დამოკიდებულების მკვეთრი გამწვავების გამო სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ სამოქალაქო დაძაბულობაზე, ქუთაისს რა ეზეიმებოდაო.

არც მთლად ახეა საქმეა.

სალხი დაიღალა, დაიღალა მუდმივი, უჩვეულო დაძაბულობისაგან, რადგან ათწლეულების განმავლობაში ქვეყრში ცხოვრობდა და ცადაც ის მოაჩნდა, რასაც ქვეყრის ვიწრო ყელიდან ხედავდა. ახეთ სიტუაციაში ოდნავი შეხვენება, სულის მოთქმა, მართლაც, რომ მაეროვით ესაჭიროება ერის ეგზალტირებულ ორგანიზმს. ესაჭიროება უკან მოსახედად, განვლილი გზის გასაანალიზებლად, სამომავლო გეზის განსაჭვრეტად...

იქნებ უპრიანიც იყოს, რომ ამგვარი „სულის მოთქმის“ ინიციატივა სწორედ პერიფერიიდან მოდიოდეს, სადაც (ჩვენდა სამარცხვინოდ) შედარებით ნაკლებად ბობოქრობს ვნებანი.

მით უმეტეს, რომ ქუთათურებს საამისოდ ერთობ დამაჯერებელი მიზეზიც ჰქონდათ, — ქალაქში გაიხსნა საქართველოს მეორე ეროვნული უნივერსიტეტი, გელათში კი ამოქმედდა სასულიერო აკადემია...

●

ეროვნული უნივერსიტეტი... აზდენილი ოცნება.

უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რა ახლოს ვიყავით ამ საზანთან ორმოცდაათიან წლებში, მაგრამ ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

სანთელ-საკმეველმა გზა მაინც იპოვა.

იპოვა, თუმცა საზოგადოებრივი აზრიც გაიყო. ერთნი ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტის გახსნა ქუთაისში მხოლოდ აზრის შეცვლაა.

ოტია იოსელიანის „უხუჭური“ ხასიათი ყველას მოეხსენება. ჰოდა, ადგილობრივი პედინსტიტუტის ამ „სახელოვანმა კურსდაუმთავრებელმა“ გაზეთ „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ფურცლებზე განაცხადა, — მაი რაა, ჩვენ არ მოგვითხოვია, თვარა წყალტუბოშიც ქე გაგვიხსნიდნენ უნივერსიტეტსო.

სწორედ ზოგიერთების ამგვარი პოზიცია ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციას, როდესაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოაწყო. რესპონდენტებს ჟურნალისტებმა მიმართეს შეკითხვით: — „როგორ ფიქრობთ, ქუთაისში უნივერსიტეტის შექმნა ნაჩქარევია, დროული თუ დაგვიანებული?“

— „ჩემი აზრით, ცოტა ავჩქარდით, მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, უნივერსიტეტი გაიხსნა და ახლა საჭიროა ყველანი მხარში ამოვუდგეთ ქუთათურებს“ — განაცხადა ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ.

— „კითხვის ამგვარად დასმის მომხრე არა ვარ, რადგან მასში ფარული ჰოჰმანი იგრძნობა“ — ეს აზრი ბატონ ნოდარ ტაბიძეს ეკუთვნის.

ახლა ამ საკითხზე კამათის გაჩაღება უაზრობაა. რა თქმა უნდა, ყველა განსხვავებულ მოსაზრებას არსებობის თანაბარი უფლება აქვს. დრო გვიჩვენებს, ვინ არის მართალი.

●

ახალი ეროვნული უნივერსიტეტისა და გელათის აღორძინებული სასულიერო აკადემიის კურთხევაზე ქუთაისში სამეცნიერო შემოქმედებითი ინტელიგენციის, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა სოლიდური დელეგაცია ჩამოვიდა.

20 სექტემბერს, დილის ათ საათზე, ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კორპუსის ეზოში აწ უკვე აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურთხევის საზეიმო ცერემონიალი დაიწყო. ზარების წკრიალსა და „მუშლი მუხასა“ გუგუნში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა უნივერსიტეტის სამირკველი.

პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოქალაქეთა უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე სიტყვები წარმოთქვეს: უნივერსიტეტის

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზეიმობდა ქუთაისი

(დასასრული)

რექტორმა ნ. კაკაურიძემ, აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა, პროფესორმა ვ. გოგუაძემ, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა ა. კოხტავამ, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ს. კუპრაშვილმა, პროფესორმა ლ. ხანიკიძემ, პოეტმა ფ. ხალვაშმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლულმა მდივანმა რ. მეტრეველმა, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა თ. ლანჩავამ, რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ვ. ასათიანმა, თელავის პედინსტიტუტის რექტორმა რ. ჰიკაძემ, მწერალმა რ. მიშველაძემ, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. შაშიაშვილმა. და ბოლოს, დადგა ამაღელვებელი წუთიც.

ახალი უნივერსიტეტის პირველი ზარი საზეიმოდ ჩამოჰკრეს პროფესორებმა დ. ბრეგაძემ და მ. ალავიძემ, პირველკურსელმა თ. ლობჟანიძემ.

●

შემოდგომის ფერებით მოხილი, ჰარმაგი გელათი გულღიად შეეგება სტუმრებს ღვთისმშობლის ხსენების დღეს, 21 სექტემბერს.

წლევანდელი ღვთისმშობლობა ოქროს ასოებით ჩაიწერება (უკვე ჩაიწერა) ერის ისტორიაში. ამ დღეს, აქ, დიდი დავითისაგან ლიბოჩაყრილ მიწაზე კვლავ აღორძინდა გელათის სასულერო აკადემია, სწორედ ის, მემატიანემ „ხხუად ათინად“ და „მეორე იერუსალიმად“ რომ მონათლა და რომელშიც მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წირვა ჩაატარა. წირვაში მონაწილეობდნენ ქუთაის — გაენათ — რაჭა-ლეჩხუმცაგერის არქიეპისკოპოსი კალისტრატე, ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი ვახტანგი, ჭყონდიდელი გიორგი, თბილისის, ქუთაისისა და რაჭის სამღვდელოების წარმომადგენლები.

წირვის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა აკადემია.

რვაასი წელი ელოდა წამის ამ ბედნიერ გაელვებას სრულიად საქართველო.

●

ქუთაისის უნივერსიტეტისა და გელათის სასულიერო აკადემიის გახსნა ჭეშმარიტად ეროვნული დღესასწაულის კულმინაციური წერტილი იყო, მაგრამ ზეიმი მხოლოდ ამით არ დასრულდა.

ქალაქის მესვეურებმა სრულიად საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული წარმომადგენლობითი დელეგაციის დასახვედრად სპეციალური, სამდღიანი პროგრამა შეიმუშავეს.

სტუმრები კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ყოფილი პოლიტგანათლების სახლში დაესწრნენ ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალის გახსნას. ნაგებობანი გრიგოლ ხანძთელის ქუჩაზე, რომელიც ამ დღეებში ქალაქს გადაეცა, დაათვალიერეს შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება „საქტელეფილმის“ ქუთაისის ფილიალის რეზიდენცია, რომელშიც მანამდე საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ახალგაზრდული ტურისტული ბიურო „სპუტნიკი“ იყო დამკვიდრებული.

სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით გაიმართა ქუთაის—გაენათ—რაჭა-ლეჩხუმ — ცაგერის მთავარეპისკოპოსის ახალი რეზიდენციის გახსნა და საკვირაო სკოლის კურთხევა.

●

21 სექტემბერს, საღამოს ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან.

კათოლიკოს-პატრიარქმა მრავალ შეკითხვაზე უპასუხა.

— ვისაც მხოლოდ სწამს და არ იცის, იგი ღვთის მონაა, ხოლო ვინც იცის და სწამს — ღვთის მეგობარი. ამაღლდით შვილნო ჩემნო, გახდით ღვთის მეგობრებზ, — დალოცა მან სამწყსო მისი და სრულიად საქართველოსი.

●

როგორც თავშივე აღვნიშნე, ცხრამეტიდან ოცდაერთი სექტემბრის ჩათვლით ზეიმობდა მთელი ქუთაისი და მასთან ერთად საქართველო.

ზეიმობდა დიდი და პატარა.

...და მიუხედავად საზეიმო განწყობილებისა, დაკვირვებული თვალი მაინც შეამჩნევდა ადამიანთა შუბლებზე უნებლიედ ჩამორკალულ ნაოჭებს.

...და მიუხედავად საზეიმო განწყობილებისა, ერთი შინაგანი ფიქრი აწუხებდა იმ დღეებში „ყველას“ ქუთაისში — რა ხდება იქ, ლიხსგალმა, საქართველოს მრავალჭირნახულ გულისგულში!

**ზურაბ დათუაშვილი**
ქუთაისი

**მურმან ჩაჩუას**
ფოტოები









# ზოგიერთი მოსაზრება

ვახტანგ ქიქინაძე

ქართველი ერი მძიმე პერიოდს განიცდის. დაძაბული მდგომარეობაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. არ არის ერთსულოვნება თვით ქართველთა შორის. ქართველთა ეროვნულ მოძრაობას, მათ შორის სხვადასხვა პარტიების ხელმძღვანელებსაც შეეტმასნა ბევრი უღირსი ელემენტი, რომლებიც ფაქტიურად დაინტერესებული არიან პირადი პოპულარობით და ხელისმოთხოვნით. მოვლენები წააგავს 1917 წლის რევოლუციის დროის პროცესებს. იგივე ანტაგონიზმი სხვადასხვა მიმართულებებს შორის, იგივე ხმაურიანი მიტინგები, იგივე მოუხომავი ფრაზები. განსხვავება ისაა, რომ თუ ბოლშევიკებმა 1917 წელს გამოიყენეს მეტად მომგებიანი ლოზუნგი „მიწა გლეხებს", რამაც მათ საშუალება მისცა ძალაუფლება აეღოთ ხელში, ხოლო შემდეგ 70 წლის განმავლობაში განეხორციელებინათ ისტორიაში არნახული ტერორი, მიმართული ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, დაანგრიეს სოფლის მეურნეობა, შელახეს მორალი, უმაღლეს სიმაღლეზე აიყვანეს სიცრუე და მაამებლობა, ამჟამად აქცენტი აღებულია მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ლოზუნგებისაკენ, რომლებიც უკავშირდება ეროვნულ პრობლემებს და საქართველოს დამოუკიდებლობას. კატასტროფა იქნებოდა, რომ ხელისუფლების სათავეში თუნდაც სხვა ჯურის, მაგრამ მაინც ავანტიურისტები მოსულიყვნენ და ჩვენი ხალხი ტანჯვის, სიღარიბის და ტერორის ახალ ეპოქაში მოხვედრილიყო.

ამჟამად უკვე ცნობილია, ხოლო ნამდვილი ინტელიგენტისათვის მაშინაც იყო ცნობილი, რომ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ხელისუფლება ხელში აიღეს ისეთმა პირებმა, რომლებსაც სულაც არ აინტერესებდათ თავისი ხალხის ბედი. ისინი მიისწრაფოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლებისაკენ. ვინაიდან ხელისუფლების სათავეში მყოფთა მორალი, ინტელექტი, კულტურა და განათლებაც არ იყო მათი პოლიტიკური მდგომარეობის ადეკვატური, შედეგად მივიღეთ ის, რაც ამჟამად არის. სხვანაირად ალბათ არც შეიძლებოდა, ვინაიდან ჩვენ სახელმწიფო სისტემას არ გააჩნდა არც უკუკავშირი და არც ელემენტარული კონტროლი. ძალაუფლების მქონე პირს შეეძლო როგორც სურდა, ისე მოქცეულიყო. გამორიცხული იყო ყოველგვარი შეკითხვა პარლამენტში, ყოველგვარი გამოძიება ანდა კრიტიკა პრესის ფურცლებზე, ერთპარტიული სისტემის არსებობამ და იმან, რომ არ არსებობდა ოპოზიცია, კიდევ უფრო გააძლიერა ტოტალიტარიზმი. ამ 70 წლის განმავლობაში არ არსებობდა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, რაც მთავარია, თვით ხელისუფლება არ იყო არჩეული ხალხის მიერ. მაღალი რანგის თანამდებობებზე ხვდებოდნენ ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა გაიძვერობა, ინტრიგები, სიცრუე, მაამებლობა. სტალინის და მის წინა პერიოდში ზენიტში იყო აყვანილი უკანონობა. ადამიანი, როგორც პიროვნება, არ არსებობდა და დამსჯელ და მმართველ ორგანოებს შეეძლოთ მოემოქმედათ ყველაფერი, რაც სურდათ. სტალინის სიკვდილის შემდეგ ეს მხარე ოდნავ შეიცვალა უკეთესობისაკენ, მაგრამ უსაზღვროდ გაძლიერდა კორუფცია და მექრთამეობა. და ყოველივე ეს არის შედეგი იმისა, რომ რუსმა ხალხმა 1917 წელს ბოლშევიკურ პარტიას დაუჭირა მხარი. უფრო მეტიც, სამოქალაქო ომის დროს უდიდესი მსხვერპლი გაიღო, რათა ამ პარტიას გაემარჯვა. ხალხის პოლიტიკური სიბეცის უკეთესი ნიმუში ძნელად თუ მოიძებნება.

ამიტომ მართებს ქართველ ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას დაფიქრება, ყველაფრის აწონდაწონა და ყოველგვარი ემოციების გვერდზე გადადება. იმ ხალხს, რომელსაც არ შეუძლია აირჩიოს თავისი პოლიტიკური ლიდერები, სწორად შეაფასოს სიტუაცია და გააკეთოს შესაფერი არჩევანი, ისტორია მკაცრად სჯის. ასე მოუვიდა რუს ხალხს, შემდგომში საქართველო ანექსირებული იყო რუსეთის მიერ და უხეში ძალის საშუალებით მიჯაჭვული რუსეთთან. საშინელი ტერორი, რომელსაც საბჭოთა კავშირში ჰქონდა ადგილი, დაკავშირებული არ იყო მარტო სტალინ—იაგოდა-ეჟოვ-ბერიასთან. ტერორი დაიწყო ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში აღების დღიდანვე. პეტროგრადში ათასობით ინტელიგენტს ხვრეტდნენ ქალაქის ახლომდებარე ტორფის ჭაობებში. ეს იყო დაშინების პოლიტიკა და მან შემდგომში თავისი დანიშნულება გაამართლა. ჩვენ ქართველები ამ სიტუაციაში აღმოვჩნდით რუსი ხალხის მეშვეობით, მათი არჩევანის გამო. ახლა კი ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს და ანალოგიურ ვითარებაში არ აღმოვჩნდეთ.

ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქართველი ინტელიგენციის როლი. მან ანალიზი უნდა გაუკეთოს სიტუაციას და თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვას. სამწუხაროდ, ინტელიგენცია ჭერჭერობით გვერდზე დგას და, ფაქტობრივად, არ იღებს მონაწილეობას ჩვენი ხალხისათვის ამ მნიშვნელოვან პროცესში. თუ ქართველი ხალხი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, პირველ რიგში ინტელიგენცია იქნება დამნაშავე, ვინაიდან ერის მოწინავე ნაწილი პროლეტარიატი კი არ არის, როგორც მარქსისტები თვლიან, არამედ ინტელიგენციაა. ქართველმა ხალხმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას ესმის განსხვავება როგორც დემოკრატიასა და ანარქიას, ისე მათსა და დიქტატურას შორის. ჩვენი ვალია ვეძებოთ საუკეთესო არჩევანი ყველა შესაძლებელს შორის.

### პოლიტიკური მდგომარეობა

პირველ რიგში განსახილველია ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება — ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა. უნდა ითქვას იმ მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რაც მოჰყვება ასეთ გადაწყვეტილებას. დავიწყოთ იქიდან, რომ სანამ რუსეთის იმპერია არ დაინგრევა, საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მიიღებს, როგორც არ უნდა დავასაბუთოთ ეს გამოყოფა, იურიდიულად თუ ლოგიკურად. მეორე, რაც მეტად დამაფიქრებელია, ვიცით თუ არა ჩვენ, თუ რა პოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება საქართველო და როგორი იქნება ჩვენი მეზობლების თურქეთისა და ირანის პოზიცია? არის თუ არა საშიშროება საქართველოს სამხრეთი რეგიონების და არა მარტო ამ რეგიონების ანექსიის? უნდა ითქვას, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა შესაძლებელია მარტო იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ეკონომიკურად გაძლიერდება და შეძლებს თავის თავის შენახვას და თუ მძლავრი ან ზემძლავრი სახელმწიფოები გარანტიას მისცემენ მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს, რომ მისი თუნდაც ამჟამინდელი საზღვრები ხელშეუხებელი იქნეს.

ჩვენი ხალხი რთულ მდგომარეობაშია ამჟამადაც სხვადასხვა აღმოცენებული ეთნოკრიზისების გამო. აქ ქართველ ხალხს მართებს როგორც თავშეკავება და მოთმინება, ასევე, ზოგ შემთხვევაში, აქტიური პოზიციის გამოვლენაც, რათა უზრუნველვყოთ ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა უსაფრთხოება. ამ საკითხში ქართველი ერი უნდა იყოს ერთსულოვანი და სწრაფად უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. მაგრამ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს არ მოხდეს.

ვფიქრობ, გაუგებარია ის გადაწყვეტილება, რომელიც საკოორდინაციო საბჭომ მიიღო ეროვნული კონგრესის შექმნის და მისი არჩევნების ჩატარების გამო. რა ფუნქციები უნდა შეასრულოს ამ კონგრესმა? ამ იდეის ავტორები ამბობენ, რომ ეს უნდა იყოს მაკოორდინირებელი ორგანო, რომლის ფუნქციები, მიუხედავად არაერთგზის განმარტებისა, მაინც გაუგებარი რჩება. ეროვნული კონგრესის შექმნის მომხრეები ამბობენ, რომ უმაღლესი საბჭო არ შეიძლება გამოხატავდეს საქართველოს ხალხის ნება-სურვილს, ვინაიდან ის ფაქტიურად არ არის არჩეული, არამედ დანიშნულია. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს ეხება ამჟამად არსებულ უმაღლეს საბჭოს. როგორც ჩანს, მომავალი უმაღლესი საბჭოს არჩევნები საკმაოდ დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარდება და არავინ არ უშლის არავის წამოაყენონ ნებისმიერი კანდიდატურები, ნებისმიერი პარტიის წარმომადგენლები, ნებისმიერი პოლიტიკური მიმართულების მქონე პირები და მათ უყაროს კენჭი. თუ ვინმეს ეჭვი აქვს, რომ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ფალსიფიცირებული იქნება, გააკონტროლონ ეს არჩევნები ყველა პარტიის წარმომადგენლებმა და ნუ დაუშვებენ ასეთ ფალსიფიცირებას. ისე, რომ ვთქვათ, იგივე შეიძლება მოხდეს ეროვნული კონგრესის არჩევნების დროს. არც იქ არ არის გარანტია, რომ არჩევნები წესიერად ჩატარდება.

გარკვეული პრეტენზია გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის ამჟამინდელ მთავრობასთან, რადგან ხშირად მეტად გაუბედავად იქცევა, ცდილობს მიმართოს სირაქლემის პოლიტიკას. დღემდე არ არის დასჯილი აფხაზეთში გასული წლის ივლისის დარბევისა და ხოცვა-ულეტის ორგანიზატორები. ბევრ მათგანს დღესაც მაღალი თანამდებობა უკავია. ვერაფრით ვერ ახერხებს ჩვენი მთავრობა ალკვეთოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ხულიგნური გამოხდომები. საკმარისია ვინმემ შიმშილობა გამოაცხადოს, რომ მთავრობა მზადაა თითქმის ნებისმიერი მათი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ყოველივე ეს შეიძლება მიზეზი გახდეს იმისა, რომ მივიდეთ სრულ ანარქიამდე და ნებისმიერმა პირმა ძალის და იარაღის გამოყენებით მიაღწიოს თავის მიზნებს, არავითარი საერთო რომ არა აქვთ ქართველი ხალხის კეთილდღეობასთან.

### სამხედრო საკითხები და ნაციონალური ფორმირებების შექმნა

ნაადრევად მიგვაჩნია საქართველოს ნაციონალური არმიის შექმნა, ვინაიდან ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. უკეთესია დაისვას საკითხი, შეიქმნას საქართველოს შინაგანი სამსახურის ჯარები, რომლებიც რესპუბლიკის მთავრობას დაემორჩილება. ამ ჯარებში სამსახურის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ, ამის შემდეგ უნდა მოიხსნას რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა სახის შინაგანი ჯარების განლაგების საკითხი. საქართველოდან გაწვეულმა ახალგაზრდებმა სწორედ აღნიშნულ შენაერთებში უნდა გაიარონ სამსახური. გამონაკლისს უნდა წარმოადგენდნენ ის ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ სამხედრო სპეციალობა მიიღონ ისეთ საზეობებში, როგორიცაა ავიაცია, სამხედრო ფლოტი, სარაკეტო ჯარები, სატანკო ჯარები და ა. შ.

შინაგან საქმეთა საჯარისო ნაციონალური შენაერთების შექმნა ჩვენი რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო საკითხია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დამყარდეს რესპუბლიკაში წესრიგი ყოველგვარი ექსცესების გარეშე. მეორეს მხრივ, რა სუვერენიტეტზე შეიძლება ლაპარაკი თუ რესპუბლიკას არ ექნება საშუალება თვითონ დაამყაროს წესრიგი თავის რეგიონში?

### ეკონომიკის პრობლემები

არსებობს გავრცელებული აზრი, თითქოს შეუძლებელია რესპუბლიკა იყოს ეკონომიკურად დამოუკიდებელი თუ ის პოლიტიკურად არ არის დამოუკიდებელი. თუ სრულ და აბსოლუტურ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, მაშინ, ეს ალბათ, სწორია. მაგრამ აბსოლუტური ეკონომიკური და ასევე პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ არსებობს. თვით შეერთებული შტატებიც კი პოლიტიკურად დამოკიდებულია სიტუაციაზე, სხვა ქვეყნების ნებასურვილზე და ა. შ. შეერთებულ შტატებს არ სიამოვნებს კუბის რეჟიმის არსებობა, მაგრამ იძულებულია ანგარიში გაუწიოს არსებულ მდგომარეობას. რაც შეეხება ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ამას შეერთებული შტატებიც ვერ დაიკვეხნის.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდეს. პირველ რიგში უნდა მოხერხდეს ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა საწარმო და სახალხო მეურნეობის ობიექტი იყოს რენტაბელური, მომგებიანი. ეს არ არის ადვილად გადასაწყვეტი საკითხი, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენში არსებული სისტემა დამყარებული იყო და ამჟამადაც არის დამყარებული დაგეგმვის სისტემაზე. იმისათვის რომ რესპუბლიკის ეკონომიკა გაჯანსაღდეს, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება. მაგალითად, ამთავითვე უნდა ჩატარდეს ისეთი სამუშაოები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შეიქმნას საინფორმაციო სისტემა. უკეთესია თუ ეს თანამედროვე კომპიუტერებისა და კომპიუტერთა ქსელის გამოყენებით განხორციელდება. ეს სისტემა საშუალებას მისცემს ყველა საწარმოს მიიღოს ინფორმაცია, თუ რა ფასებია სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა რეგიონებში ამა თუ იმ ნაწარმზე ან საქონელზე, და როგორ იცვლება ეს ფასები დროის განმავლობაში, თუ როგორია მოთხოვნილება აღნიშნულ საგნებზე და როგორ იცვლება მოთხოვნილებები ამ საგნებზე.

რა თქმა უნდა, რენტაბელობის უზრუნველყოფა არ არის საკმარისი რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. პირველ რიგში ანალიზი უნდა გაუკეთდეს შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას და დაისახოს გზები და კონკრეტული ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკა დაადგეს ეკონომიკური აღმავლობის გზას. ამჟამად მოდური კონცეფციები, როგორც წესი, ზოგად ხასიათს ატარებენ და უფრო კეთილ სურვილებზე ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე მოქმედების პროგრამაზე, ამ პროგრამის რეალური განხორციელების შესაძლებლობებსა და იმ ორგანიზაციებზე, რომლებზეც უნდა განაწილდეს ეს სამუშაოები.

ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკა უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ სამ პირობას. 1) ის უნდა იყოს ეფექტური. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს რესპუბლიკაში არსებული ან შემოტანილი ნედლეულის რაც შეიძლება უფრო რაციონალური გამოყენება. შეიქმნას სიუხვე, მაგრამ ისეთი ნაწარმის სიუხვე, რომელზეც არის მოთხოვნილება. 2) უნდა იყოს მიღწეული ე. წ. ეკონომიკური წონასწორობა. არ გამოვიდეს ისე, რომ ერთი ნაწილი უფრო მდიდრდებოდეს, ხოლო მეორე უფრო ღარიბდებოდეს; რაც მთავარია, ის ნაწილი, რომელიც უფრო მდიდრდება, გაცილებით მეტი იყოს რაოდენობით, ვიდრე ის ნაწილი, რომელიც ღარიბდება. 3) ეკონომიკური პროცესები უნდა იყოს სტაბილური, მდგრადი. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ინფლაცია და დეპრესია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებლად გამოიწვევს გარკვეული რაოდენობის წამგებიან საწარმოთა დახურვას. უნდა დაისახოს ღონისძიებები, რათა ახალშექმნილ საწარმოთა რიცხვი სჭარბობდეს გაკოტრებულ საწარმოების რიცხვს. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა და ამაზეა დამოკიდებული უმუშევრობის დონე ჩვენს რესპუბლიკაში.

### განათლების საკითხები

არ შეიძლება მიღწეულ იქნეს პოლიტიკური ან ეკონომიკური დამოუკიდებლობა თუ ძირეული გარდაქმნები არ ჩატარდა განათლების სისტემაში.

დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს სასწავლო პროგრამები. სრულიად ახალი მიმართულება უნდა მიეცეს სწავლებას ეკონომიკის ფაკულტეტებზე. ამისათვის საჭიროა საჩქაროდ გადაითარგმნოს და გამოიცეს ისეთი სახელმძღვანელოები, როგორიცაა მაგალითად ა. სამუელსონის — ეკონომიკა, უ. კოივისტოს — თანამედროვე ეკონომიკის პრობლემები და საფუძვლები, ვ. ლეონტიევის — ამერიკის ეკონომიკის სტრუქტურის გამოკვლევა, ა. სტონიერის — ეკონომიკის თეორიის საკითხები, ფ. ფაირჩაილდის — ეკონომიკა, მ. იოსეპის, ნ. სებერის და გ. ბასის — ეკონომიკური ანალიზი და პოლიტიკა, გ. სოილის — სიახლე ეკონომიკაში, რ. ალენის — მათემატიკური ანალიზი ეკონომისტებისათვის, ტ. კოინის, უ. ჰეინსის და ლ. ოსბორნის — ეკონომიკის მართვა და სხვა.

ამჟამად ჩვენთვის ყველაზე უფრო აქტუალურია კადრების მომზადება ისეთ დარგებში, როგორიცაა ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და მედიცინა. პირველ რიგში სწორედ ამ პროფილით უნდა გაიგზავნოს უცხოეთში ახალგაზრდობა შესაბამისი განათლების მისაღებად.

პოლიტიკურმა მოძრაობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს საქმეს. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ახალგაზრდებმა მოუკლეს ლექციებზე სიარულს, მინიმალური ცოდნის მიღებაც კი არ სურთ.

სრულიად შეუწყნარებელი ვითარება შეიქმნა ამას წინათ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. მოძალადეები, სხვა სახელს მათ ვერ ვუწოდებთ, თხოულობდნენ ინსტიტუტში უგამოცდოდ, ე. ი. უკანონოდ ჩარიცხვას. ალბათ შემდეგი ეტაპი იქნება მოთხოვნა, რომ ახალგაზრდას სწავლის გარეშე მიეცეს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი. ვფიქრობთ, ამგვარ ფაქტებს კომენტარი არც ესაჭიროება.

საქართველოს მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ გამოსავალი არსებობს თუ მთელი ხალხი თავისი შრომით, სიბრძნით და, როდესაც ეს საჭიროა, სიფრთხილითაც შეძლებს ამ მდგომარეობიდან გამოსვლას. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი განსაცდელში არ მიატოვებს ქართველ ხალხს.

# ალან ჩოჩიევის ალანური მელოდიები

გასული წლის 23 ნოემბრის შემდეგ სამაჩაბლოში გაჩაღდა საქართველოს და ქართველი ხალხის სიძულვილის კამპანია. თუ რა მოჰყვა იმ ეთნოკრიზისს, ახლა ყველასათვის ცნობილია: დაიღვარა სისხლი, დაიღუპა ხალხი. კრიზისი გრძელდებოდა წლევანდელი წლის პირველ ორ თვესაც, შემდეგ კი გარეგნულად თითქოს ჩაცხრა.

დღემდე მიმდინარეობს დამნაშავეთა ძიება, დღემდე პერიოდულად გრძელდება ოსური ეროვნების მოსახლეობის აქციები, მათი, განსაკუთრებით აგრესიული ჯგუფის მცდელობით თუ როგორ აღნიშნეს ადგილობრივმა ქართველებმა 9 აპრილის გლოვის დღე და 26 მაისის ზეიმი, ამაზე რესპუბლიკის პრესა იუწყებოდა, ჩვენი გაზეთის მკითხველთა ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

ანტიქართული ისტერიის გაღვივებაში რომ ლომის წილი „ადამონ ნიხასის" ლიდერებს მიუძღვით, მეტყველებს ეს ინტერვიუც, რომელიც მოსკოვში მისცა ოსი ახალგაზრდობის კავშირის ორგანოს გაზეთ „ირ"-ის კორესპონდენტს „ადამონ ნიხასის" შემქმნელმა და მისმა ახლანდელმა თავმჯდომარემ ალან ჩოჩიევმა.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს თარგმანს.

●

—რა მიგაჩნიათ ოსეთისათვის ყველაზე არსებითად 9 აპრილის შემდგომ პოლიტიკურ პროცესში?

ა. ჩ. ყველაზე არსებითი ის არის, რომ 9 აპრილის აქციამ, რომელსაც მრავალმხრივი ხასიათი აქვს, გამოიწვია პარტიული ხელმძღვანელობის გამოცვლა, ხოლო შემდეგ მოხდა საქართველოს კპ ცეკას და რესპუბლიკის უკიდურესი ყაიდის არაფორმალთა გაერთიანება. თუ ყოფილი ცეკა ჯ. პატიაშვილის მეთაურობით ცდილობდა შეემცირებინა ნაციონალისტური (და ნაცისტურიც კი) გადახრის ამპლიტუდა, რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა დღემდე ძნელია გაარჩიო ექსტრემისტთა და ნაციონალისტთა იდეოლოგებისა და პოლიტიკოსებისაგან. ეს არის მთავარი. გარდა ამისა, 9 აპრილმა შექმნა „9 აპრილის სინდრომი". ეს არსებითად ნიშნავს ცენტრის განეიტრალებას იმპერიის პერიფერიებში ურთიერთობათა რეგულირების საკითხში, ხოლო ზემოქმედების მთავარი ბერკეტის („სარეპრესიო ინსტიტუტები" და სხვა) მაგიერ ახალი არაფერი შექმნილა, და ამიტომ რესპუბლიკაში ყველაფერი დაუქვემდებარა არაფორმალებს, რომელთა ოდენობა გაიზარდა საქართველოს კპ ცეკას აპარატისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხარჯზე, ანუ ისინი ძლიერ შეერწყნენ ერთმანეთს, და რაკი 9 აპრილის შემდეგ არ ჰყავდათ გამანეიტრალებელი, ხელ-ფეხი გაეხსნათ და მოაწყვეს სისხლისღვრათა მთელი სერია, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია აფხაზეთისა და ოსეთის.

—როგორც გავიგეთ, ალან, საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელები არა მარტო „კრემლის მარიონეტები", როგორც მათ საქართველოში უწოდებენ, არამედ ქართველი არაფორმალების მარიონეტებიც არიან.

ა. ჩ. პრინციპულად ეს ასეა, მაგრამ აქ სიტუაცია უფრო ზუსტად უნდა გავარკვიოთ. ვიცი, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ერის ლიდერები არიან — უკიდურესად მემარცხენეებიდან უკიდურესად მემარჯვენეებამდე (მათ შორის საქართველოს კომპარტიის ლიდერებიც, რომლებიც მათგან შინაარსობრივად არაფრით განსხვავდებიან) — არის შირმა, რომელთა მიღმა მოქმედებს რეალური ძალები. ვიცი, რომ სხვადასხვა ფრონტების, პარტიების, ჯგუფების (რესპუბლიკის სახალხო ფრონტი, ჰელსინკის კავშირი და სხვა) დასახელება მხოლოდ შირმაა და მათ სახელწოდებებს არაფერი საერთო არა აქვთ იმ იდეებთან, რომლებიც იგულისხმება ცივილიზებულ ევროპულ სამყაროში. ეს კარგად გამოჩნდა აფხაზეთისა და განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთის ამბებში. ეს დეკლამაცია დეკორაციაა ევროპისათვის, ქართული დემოკრატიის თამაშით მის გასაბითურებლად. სინამდვილეში ამის მიღმა იმალება იმპერიული არსი. ა. დ. სახაროვმა ეს კარგად გაიგო, ჩვენ უფრო ადრე მივხვდით ამას და ვჰმბობდით, მაგრამ ყური არ გვიგდეს. ა. დ. სახაროვმა კი ამის შესახებ მთელ მსოფლიოს გააგებინა, თანაც საკმაოდ საფუძვლიანად. დღევანდელი პროცესები საქართველოს შესახებ მისი შეფასების და დასკვნის აბსოლუტურ სისწორეს მოწმობს, კერძოდ, რომ ეს არის მცირე იმპერია. ხოლო ამ მცირე იმპერიამ, რომელიც უმთავრესად ნაცისტურ პოლიტიკას ატარებს არაქართველების მიმართ, ევროპელთათვის შექმნა დიდი პოლიტიკური პალიტრის, ელფერისა და ჭურის დემოკრატიული ნაკრების შირმა. ეს წმინდა ფორმაა, რომლის უკან იმალებოდა და ახლაც ცდილობენ დამალონ ამ რესპუბლიკის იმპერიული არსი, მათ შორის, და მით უმეტეს — მისი სუვერენული ვარიანტით.

—თქვენ თქვით, რომ 9 აპრილის შემდეგ სამხრეთ ოსეთში ძველი სარეპრესიო მექანიზმი ვერ გამოიყენეს, ხოლო ახალი ჯერ არ შექმნილა. კონკრეტულად რა უნდა მოემოქმედა ცენტრს? როგორი რეაქცია გსურდათ გენახათ ამ დროს?

ა. ჩ. ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს სახელმწიფო კანონები, რომლებიც ცენტრმა ყველა საშუალებებით უნდა უზრუნველყოს. მხედველობაში მაქვს მოქალაქეთა უსაფრთხოების, პირადი ხელშეუხებლობისა და სხვათა დაცვა. რასაც მორცხვად „ქართველ მოპიკეტეებს" უწოდებენ, ძალადობას რომ ეწეოდნენ, პიკეტი როდი გახლავთ, ისინი არიან ბანდიტები. ეს წმინდა წყლის ბანდიტიზმი და ყაჩაღობაა და ნებისმიერი სახელმწიფოს, როგორიც არ უნდა იყოს იგი, და პოლიტიკური თვალსაზრისით როგორი განეიტრალებაც არ უნდა ხდებოდეს მისი ცენტრის, მოქალაქეთა უსაფრთხოების ინსტიტუტები უნდა მოქმედებდნენ. ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ აფხაზეთშიც, ოსეთშიც, ბაქოშიც, უზენში, ფერღანაშიც ამ ინსტიტუტებმა არ დაიგვიანეს თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად. ისინი მხოლოდ მაშინ ერევიან საქმეში, როცა სისხლი უკვე საკმაოდ ილვრება, რის თავიდან აცილების დროც ყოველთვის საკმაოა. სამხრეთ ოსეთში ასეთი დრო საკმარისზე მეტიც იყო. ძალადობის ტალღა აზვირთდა, ეს იყო აშკარა ბანდიტიზმი და ყაჩაღობა, რასაც ახორციელებდნენ დაქირავებული ადამიანები, რომელთა უმეტესობაც ყოფილი პატიმრები იყვნენ. ისიც კი ცნობილია, რომ მათ ყოველდღიურად საკმაოდ დიდ თანხას უხდიდნენ რანგის მიხედვით. (თანხასაც კი ასახელებდნენ, ზუსტად ვერ გეტყვით — 50-დან 150 მანეთამდე დღეში). ეს უკვე იმას მოწმობს, თუ ვინ დგას რესპუბლიკაში რეალური პოლიტიკის უკან. ეს არის ჩრდილოვანი ეკონომიკა. ეს ფული ხომ ვიღაცამ უნდა გაიღოს? ეს ყველაფერი ხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის ფულით. იგი შავბნელი ძალების გამოყენებით მიისწრაფვის ძალაუფლებისაკენ.

—მაშინ შეიძლება ასეთი კითხვა, — კი, ქართველების პიკეტები იყო, მაგრამ ხომ იყო ოსთა პიკეტებიც? რაშია მათი პრინციპული განსხვავება?

ა. ჩ. ასეთ კითხვას ხშირად იძლევიან ადამიანები, რომლებიც გაუთვითცნობიერებელნი არიან ოსეთის მდგომარეობაში, იმ არსში, რაც იქ ხდებოდა. განმარტება სავსებით უბრალოა: უნდა გავითვალისწინოთ უმთავრესი — ისინი ეგრეთ წოდებული „მშვიდობიანი მიტინგით" ხომ ოსეთში მოვიდნენ და არა ჩვენ მოვაწყვეთ პიკეტები თბილისის ქუჩებში. ისინი ოსეთში მოვიდნენ გარკვეული პროვოკაციული მიზნებით. ჩვენთან ამ მიტინგით ჩამოიტანეს „აფხაზური სცენარი" და მხოლოდ იმ დროს იქ მყოფი ახალგაზრდების სიმამაცემ და გონიერებამ შეაჩერა ოსეთის მიწაზე აფხაზური სცენარის გათამაშება, ხელი შეუწყვეს ტრაგედიის ალკვეთას. ერთადერთი საშველი იმაშია, რომ შეუპოვრობისა და პატრიოტიზმის გარდა, დიდია გონიერებაც. თორემ, მე მგონია, ოსეთში შედეგები ბევრად უფრო სისხლისმღვრელი იქნებოდა. ყველაზე საშინელება შეიძლებოდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ გონიერება უღალატებდა ჩვენს ახალგაზრდობას და ამ შემთხვევაში ოსების პიკეტებს გარკვეული მიზანი ჰქონდა — არ დაეშვათ ძალადობა უმთავრესად ავტონომიური ოლქის დედაქალაქსა და ოსურ სოფლებში, რომ ქართველი ნაციონალისტებისათვის საშუალება არ მიეცათ მთელი ქვეყნისთვის მოედოთ, როგორც ეს გაკეთდა აფხაზეთში, ოსების „ველურობისა და აგრესიულობის", მათი არადემოკრატიულობისა და უსამართლობის შესახებ, რომ მათ მოაწყვეს სისხლისღვრაო და ა. შ. ინფორმაციის საშუალებებზე მონოპოლიამ მათ საშუალება მისცა აფხაზები დაედანაშაულებინათ სისხლისღვრაში, რომელიც ეჭვგარეშეა, ქართველი ექსტრემისტების მოწყობილი იყო. ოსეთში ჩვენ ამას არ დავუშვებდით. ამ თვალსაზრისით, ოსების პიკეტები ამ როლს ასრულებდნენ — არ შეეშვათ პროვოკატორები ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, იმ რაიონებში მაინც, სადაც ოსი მოსახლეობა ცხოვრობს, რომ იქ არ მოეწყოთ პროვოკაციები და მასობრივ ინფორმაციაზე მონოპოლიით მთელ ქვეყანაზე არ ეყვირათ ამის შესახებ.

—მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მაინც ამტყუნებენ ოსებს ბანდიტიზმში, შოვინიზმში, ქართველების კარ-მიდამოზე თავდასხმებში და ძალადობით გაუპატიურებაშიც კი.

ა. ჩ. იცით რა, საქმე იმაშია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მონოპოლია ნიშნავს იმას, რომ, თუ არ არსებობს რეალური ფაქტები, რომელთა გამოყენება შეიძლება ასეთი იდეოლოგიური პროვოკაციებისათვის, მაშინ მათ უბრალოდ შეთხზავენ, და ისინი შეთხზეს. ბევრია ასეთები. აღსანიშნავია, რომ ყველა ისინი თარიღდებიან 16 დეკემბრის შემდგომი პერიოდით. 23 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ძალადობა ცალმხრივი იყო, და ჩვენ შევძელით შეგვეკავებინა საპასუხო რეაქცია. განსაკუთრებით ახალგაზრდობას ვუხსნიდით, რომ ამ პროვოკაციას გარკვეული პოლიტიკური მიზანი აქვს. როცა ისინი ამას ხვდებოდნენ, გვეთანხმებოდნენ და კრიჭაშეკრულნი სისხლისგან იცლებოდნენ, მაგრამ თავს იკავებდნენ პასუხის გაცემისაგან. 16 დეკემბრიდან კი დაისახა პროცესი, როცა უკვე ჩაიშალა ზოგიერთი მომენტი... მაგრამ აქ ნეგატიური როლი შეასრულა გენერალ ცაგოლოვის ჩამოსვლამ, არა იმდენად ჩამოსვლამ, რამდენადაც პოლიტიკამ, რომელსაც მისი ზელით ახორციელებდნენ ჩვენთან, ოსეთში, ოსი ხალხის ოპონენტები დემოკრატიზაციის პროცესში. მაგრამ ეს სპეციალურად და დიდხანს სასაუბროა. აქ საჭიროა პოლიტოლოგიური ანალიზი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით იმ დღეებში, როცა ეს ხდებოდა. თვით ცაგოლოვს გადავუშალეთ ბანქო მისი ჩამოსვლისთანავე, ხოლო შემდეგ განვუმარტეთ მას ვითარება. შემდეგში სამანიპულაციო სირთულე არ ყოფილა, მაგრამ მან მაინც აირჩია პოზიცია, რომელიც ფაქტიურად ანტიოსურია. დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ პრინციპულად ჩვენ წავაგეთ და წავაგეთ მისი პოლიტიკის გამო, მაგრამ ეს სპეციალურად სასაუბროა და ჩვენ როდისმე დავუბრუნდებით მას. ანალიზი აუცილებლად გაკეთდება — ჩვენ ყველა გაკვეთილი უნდა გავითვალისწინოთ.

სამხრეთ ოსეთში პარტიულ-ფინანსურმა ოლიგარქიამ ამ გენერლის პოლიტიკის მეშვეობით მთავარი მიზნები პოლიტიკურად განახორციელა.

—რა მთავარი პოლიტიკური ოპონენტები გაუჩნდნენ „ადამონ ნიხასს" იმ დროს?

ა. ჩ. თავიდანვე ჩვენი მთავარი ოპონენტი იყო ჩვენი საოლქო კომიტეტი მისი პირველი მდივნის სახით, მაგრამ ობიექტურად რომ ვთქვათ, ჩვენ იძულებული გავხდით გვებრძოლა ჩვენი საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ უკვე მთლიანად ჩამოყალიბდა საქართველოს კპ ცკ-ს ალიანსი არაფორმალებთან, ეს იყო უკვე განუყრელი ტანდემი, რომელმაც ჩვენ ისეთ პოზიციაში ჩაგვაყენა, როცა საკუთარი საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლით ვებრძოდით საქართველოს არაფორმალთა იდეებს ოსეთში — ქართული ენის დანერგვის, ადმინისტრაციული მეთოდებით რესპუბლიკის არაქართული მოსახლეობის გამრავლების შეზღუდვის, ავტონომიის გაუქმებისა და სხვათა თაობაზე. რაკი ამ ტანდემში ჩვენი საოლქო კომიტეტი სავსებით მარიონეტულ ორგანიზაციად გადაიქცა, გვიხდებოდა ამ საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, რათა გაგვენეიტრალებინა ამ იდეების ზეგავლენა ოს მოსახლეობაზე, რომელიც ფსიქოლოგიურად და მორალურად იჩაგრება. მაშასადამე, ჩვენი მთავარი მტერია იმპერიული სისტემა, მაგრამ მთავარი რეალიზატორი სამხრეთ ოსეთში იყო მცირე ქართული იმპერია. 9 აპრილის შემდეგ მოხდა პარტიული ოლიგარქიისა და ქართული არაფორმალების კონსოლიდაცია, და ჩვენს წინააღმდეგ გაჩნდა უაღრესად განმტკიცებული მოწინააღმდეგე — ეს არის ჩვენი საოლქო კომიტეტი (პირველი მდივნის მოხსნის შემდეგაც) და აი ეს ტანდემი, ანუ მოწინააღმდეგე, ძალზე ძლიერი იყო, ხოლო ახლა უფრო ძლიერია, რაკი პარტიულ-ფინანსურმა ოლიგარქიამ მოიგო ბრძოლის რაუნდი კადრების საკითხში, რაც გამოიხატება პირველი მდივნის დანიშვნით.

—ახლახან პრესაში გამოცხადდა, რომ შეიქმნა „ადამონ ნიხასის" პოლიტიკური ალტერნატივა, „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული კავშირი". როგორ დაახასიათებთ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობას და შეიძლება თუ არა მის პლატფორმას ეწოდოს შემთანხმლებლური, მათ პლატფორმაში ხომ არის საქართველოს მთლიანობისა და ურღვევლობის პუნქტი?

ა. ჩ. „დემოკრატიული კავშირის" შესახებ ბევრი არაფრის თქმა შემიძლია, რადგან მისი საქმიანობა არ დაწყებულა. როცა ვითარება გაირკვევა, შევძლება რაიმე შეფასება, ხოლო რაც შეეხება პლატფორმას, ძლიერ საეჭვოდ მეჩვენება თეზისი, რომ ის მხარს უჭერს „ერთიანი, განუყოფელი" საქართველოს პოზიციას და ამავდროულად იცავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიას. მე მგონია, რომ ორივე ეს თეზისი ან შირმაა გულუბრყვილოებისათვის, ან წარმოიშვა როგორც აზრის გარდასახვა ლოზუნგისა „განუყოფელი, ერთიანი" საქართველოსი და მასთან დაკავშირებული ლოზუნგისა „საქართველო ქართველებისათვის" თუ ეს არ მოხდა, მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიის დაცვა ფიქტიურია და ოსი საზოგადოების მოსატყუებლად არსებობს.

პრინციპულად როცა ვლაპარაკობდით ავტონომიური ოლქის სტატუსის ამაღლებაზე ავტონომიურ რესპუბლიკამდე, აქ ჩვენ არ ხელვყოფდით საქართველოს ერთიანობასა და განუყოფლობას, რადგან ავტონომიური რესპუბლიკა მაინც რჩებოდა საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკაში, მაგრამ აქ აქცენტი სავსებით სხვა რამეზეა: ვფიქრობ, რომ ეს არცთუ კვალიფიციური, დიპლომატიური ფოკუსია, რომლითაც ვიღაც-ვიღაცეების დაბნევა სურთ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია.

—როგორ უყურებთ საერთოდ პოლიტიკაში ლავირებას?

ა. ჩ. საკუთრივ ლავირების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ, გააჩნია, ვისა და ვის, ან რისა და რას შორის?

ვფიქრობ, თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების საკითხში ლავირება არ შეიძლება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თავისუფლება — ეს თავისუფლებაა, რომ არ ილავირო და ამის შესახებ დაუფარავად განაცხადო.

მე ავტონომიური ოლქის სტატუსის ავტონომიურ რესპუბლიკამდე ამაღლების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და ამის შესახებ ვუთხარი „ადამონ ნიხასის" წევრებს. ესეც ლავირებაა. უნდა ითქვას, არა ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ, არამედ უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებების შესახებ. პრინციპულად კი ისეა, რომ, დაე, ერქვას „ავტონომიური ოლქი", ოღონდ მას უნდა ჰქონდეს მოკავშირე რესპუბლიკის რეალური უფლებები. მე მხარი არ დამიჭირეს, მითხრეს, რომ ეს ზედმეტად მკვეთრი მოთხოვნაა, აი, აფხაზებსაც სურთ მოკავშირე რესპუბლიკაო... მე ჩვეულებრივ ვლაპარაკობ: რომელ ხალხს არ სურს მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები? რატომ მხოლოდ აფხაზებს? რატომ ვაყენებთ ჩვენვე თავს ისეთი ხალხის პოზიციაში, რომელსაც ნაკლები თავისუფლება სურს? მაგრამ ჩემი პოზიცია „ადამონ ნიხასმა" ვერ გაიგო.

—შემდეგი კითხვა, რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ეხება ოსეთ—ოსეთის ურთიერთობას. როგორ უყურებთ ოსეთ—ოსეთის მომავალ ურთიერთობას?

ა. ჩ. იდეა „გათიშე და იბატონე", ისე ღრმად იყო დანერგილი, რომ ოსებს შორის ხელოვნური ჯებირი შექმნეს და მოხდა გარკვეული გაუცხოება, გაუგებრობა, რაც დაკავშირებულია კავკასიაში სამოქალაქო ომთან, შესაძლებლობა შეიქმნა დანერგილიყო გაუცხოება სამხრეთ და ჩრდილო ოსებს შორის და ეს დღევანდლამდე გვაწუხებს, მაგრამ მთლიანობაში ჩვენი შიში უსაფუძვლო იყო, ხოლო ჩვენი ოპონენტების ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან, როგორც 28 ნოემბრის შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, სამხრეთელმა ოსებმა ძლიერი პრაქტიკული მხარდაჭერა ჰპოვეს ყველა დონეზე. იყო ნეგატიური მიდგომაც სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებისადმი, მაგრამ არა დახმარების თვალსაზრისით. კერძოდ, „ადამონ ნიხასის" ზოგიერთი პოლიტიკური ნაბიჯი შეფასდა ნეგატიურად. მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ არსებული ეროვნული პოტენციალი ძლიერი აღმოჩნდა. საერთოდ, ნოემბრის მოვლენებმა სამხრეთ ოსეთში ძლიერ შეარყია ცენტრისკენული ტენდენციები ოს ხალხში და ამჟამად შესამჩნევი პროცესი მიმდინარეობს ეროვნული კონსოლიდაციისა. და-

რწმუნებული ვარ, ეს ხანგრძლივი იქნება და ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ამ პროცესმა რაც შეიძლება მეტი რეალური შედეგი მოგვცეს. ამ თვალსაზრისით ამ პერიოდის ოსეთ-ოსეთის ურთიერთობა ძლიერ გვაიმედებს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოფიციალური ხელისუფლების, განსაკუთრებით პარტოკრატიის პოზიცია მნიშვნელოვანწილად ტრადიციული რჩება, ანუ გათიშვის კურსი იგივეა. ოღონდ ხიმართლეს იქაც აღიარებენ, რომ ოსები ძალიან დიდხანს იყვნენ იზოლირებულნი სისტემისაგან მოკავშირე რესპუბლიკების, ცენტრის სახარჯებლოდ, და ნავარაუდევია, გადაიდგას რეალური ნაბიჯები ოსი ხალხის ორივე ნაწილის კულტურული და სამეურნეო ინტეგრაციისათვის. საერთოდ, ჩვენს დიდ ეროვნულ მინუსად მიმაჩნია (მხედველობაში მაქვს ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ოფიციალური ხელისუფლება ატარებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში), რომ, როცა მთელ მსოფლიოში ხდება ინტეგრაცია, განსაკუთრებით ერთ ეთნიკურ ფორმირებებში, ჩვენთან ოსეთის გაერთიანების თემა, რომელიც, მართალია, „ადამონ ნიხასს" პროგრამაში არა აქვს, მაგრამ ჩვენი ისტორიის მთელი საბჭოთა პერიოდის იდეაა, არ მუშავდება არც იდეოლოგიურად, არც პოლიტიკურად, არც იმ პუნქტებში, რომელიც ჩვენ გვაქვს „ადამონ ნიხასის" პროგრამაში, იგულისხმება კულტურისა და ეკონომიკის ინტეგრაციული შესაძლებლობები. შეხედეთ, უკვე ღიად ლაპარაკობენ გერმანიის გაერთიანებაზე, კორეის, ჩრდილო და სამხრეთ იემენის გაერთიანებაზე. თანაც ეს ხდება საცხებით სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სხვადასხვა სახელმწიფოების ჩარჩოებში. იხლა გვრჩება ვივარაუდოთ, რომ ან საქართველოში სხვა სოციალური წყობაა (საყოფაცხოვრებო დონეზე ანეკდოტებში ასეც ხატავენ), ხოლო რუსეთში, რომელსაც ჩრდილო ოსეთი ეკუთვნის, სხვა წყობაა. ან უფრო დრამატულ სიტუაციაში ვართ, ვიდრე გვგონია, ეგრეთწოდებული მრავალსაუკუნოვანი „ძმობის" წყალობით: ეს სიტყვა კიდევ დიდხანს იქნება ბრჭყალებში, იმის მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, რა პროცესები მიმდინარეობს დიდ და მცირე იმპერიებში.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც დაკავშირებულია ოსეთ-ოსეთის კავშირთან, მაგალითად. ვამბობთ: „საბჭოთა პერიოდში", რაღა იყო საბჭოთა პერიოდამდე? აქ სიტუაცია ერთნიშნა როდია. მნიშვნელოვანწილად სამხრეთ ოსეთის დღევანდელი ბედისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთს და შესაბამისად ცენტრს. ის, რასაც ვუწოდებთ სამხრეთ ოსეთს (თუალგომ) ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, არ შედიოდა საქართველოს სამეფოში. იმ პერიოდში, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა (გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო, როგორც სამეფო არ არსებობდა: ეს სპარსეთის პროვინცია იყო და მეტი არაფერი. რუსებმა დაიპყრეს ამიერკავკასია და, ოსეთი, როგორც დღეს გამოაშკარავდა, გასაბჭოების შემდეგ საქართველოსთვის დაიპყრეს რუსული ხიშტებით. ის, რომ ქართველი მეფეები ოდესღაც თავს ესხმოდნენ ოსეთს (დვალეთს), ხოლო ოსეთი (დვალეთი) ხარკს უხდიდა ქართველ მეფეებს, არაფერზე არ მიუთითებს, ის არ ნიშნავს, რომ ის შედიოდა საქართველოში. ეს იყო ფეოდალური ომები. იყო პერიოდები, როცა ხარკს უხდიდნენ, იყო პერიოდებიც, როცა არ უხდიდნენ და თვითმმართველები იყვნენ, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისისათვის ოსები არ სცნობდნენ ქართველ თავადებს. საკმარისია წავიკითხოთ 1831 წლის „კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები". აქ ყველაფერი ზუსტად და აშკარად წერია.

ოსეთზე პრეტენზიები მათ მერე გაუჩნდათ, როცა მთელი ზონა დაიპყრო რუსეთმა და ის შევიდა რუსეთის იმპერიაში. თვით საქართველო მაშინაც როდი არსებობდა — იყო თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია. დვალეთი შეიყვანეს თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. უნდა აღინიშნოს რომ ჩრდილო ოსეთის ნაწილი მიზურამდე აგრეთვე შედიოდა გორის მაზრაში. ქართველმა არაფორმალებმა, ალბათ, ეს ყველაფერი კარგად არ იციან, თორემ მიზურზეც განაცხადებდნენ პრეტენზიას. კვლავ ვიმეორებ, ოსეთი დაიპყრეს საქართველოს რუსული ხიშტებით. საზღვარი გატარდა ბუნებრივ გეოგრაფიულ მიჯნაზე — უღელტეხილმა ხალხებიც გაყო. ამავე დროს ოსი ხალხი ისტორიულად არასოდეს ყოფილა გაყოფილი ამ უღელტეხილით. ის გაითიშა მხოლოდ რევოლუციისა და კავკასიაში ამ პროცესის შემდეგ. ფაქტობრივად სამხრეთ ოსეთი ცარიზმმა აჩუქა საქართველოს.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციამ მოიტანა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა?

ა. ჩ. გარკვეული თვალსაზრისით კი სიტყვას „დემოკრატიული" ამ პერიოდისათვის ჩვეულებრივ ბრჭყალებში ვსვამ იმიტომ, რომ თუ დემოკრატიული იყო, მაშინ ბევრი რამ გაუგებარია იმ პერიოდის საქართველოს ისტორიულ პროცესებში. არსებობს სავსებით დამაჯერებელი საბუთები, კერძოდ, ბეხოფერის მასალები (დიდი ინგლისელი დიპლომატი, ამავე დროს, როგორც მაშინ იყო მიღებული, ჯაშუშიც), რომელიც პირდაპირ ლაპარაკობდა საქართველოზე: „საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო ჩემს მეხსიერებაში რჩება, როგორც პატარა ერის იმპერიალისტურობის მაგალითი თავის საზღვრებს გარეთ ტერიტორიების დაპყრობისა და სახელმწიფოს შიგნით ბიუროკრატიული ტირანიისა. მისი შოვინიზმი ყველა საზღვარს სცილდება". ასეთი სიტუაცია შეიქმნა რუსეთის იმპერიის დაშლასთან დაკავშირებით და სამხრეთ ოსეთისა და ოსი ხალხის ბედი მნიშვნელოვანწილად იმ მოვლენებმა განსაზღვრეს.

როცა ქართველები ამბობენ: „ეს ჩვენი მიწაა", ისინი ჩვეულებრივ იხსენებენ თავიანთი სახელმწიფოებრობის პიკს — თამარ მეფის დროს და სხვა ექსტრემისტებს ყველა პიკური პერიოდი ნორმალურ პერიოდებად მიაჩნიათ ამ თვალსაზრისით, ისინი ალბათ გვიწვევენ გავიხსენოთ, რომ ჩვენი წინაპრები ოდესღაც ფლობდნენ ტერიტორიებს ოკეანიდან ოკეანემდე: კატალონიიდან და ჩრდილო აფრიკიდან — პრაქტიკულად სამხრეთ კორეამდე. იაპონურ ეპოსთან დაკავშირებული ამასწინანდელი შრომები პირდაპირ ლაპარაკობენ, რომ სკვითები ამ ადგილებამდეც მოსულან. მაგრამ ეს მხოლოდ ისტორიული ფაქტია, რომელიც უნდა შეფასდეს, ხოლო თუ პოლიტიკაში გამოვიყენებთ, ეს პოლიტიკური მითი და ნაციზმია და მეტი არაფერი.

საგნებს რეალურად უნდა ვუყუროთ. მგონია, რომ ქართველები უნდა უმადლოდნენ რუსეთს იმისათვის, რომ ისინი მან გადაარჩინა თურქულ-სპარსული გენოციდისაგან და ამისათვის, რომ საქართველო ამ გარდამტეხი ისტორიული პერიოდიდან დანაკარგებით როდი გამოსულა, არამედ შენაძენით, მათ რიცხვში ოსეთიც შეიძინა იმპერიული ხიშტების მეშვეობით.

ოსი ხალხის მომავალს თქვენ უყურებთ, როგორც ერთიანს ეროვნული და ტერიტორიული პრინციპით? როგორც ერთიან ოსეთს, თანასწორუფლებიანს თანასწორთა შორის?

ა. ჩ. თუ არ დაირღვა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება თავისთავად ვერ მოგვიტანს თავისუფლებას. გაერთიანება ნიშნავს არსებულ იმპერიულ სისტემაში ბევრად დიდი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნას. უნდა შეიცვალოს სისტემა. ამ თვალსაზრისით ა. დ. სახაროვის, რეგიონთა შორისი დეპუტატების ჯგუფის პლატფორმა ერთადერთი სწორია, ის ყველაზე ნაკლებ ზარალს, ნაკლებ სისხლისღვრას მოიტანს. ყველა სხვა შემთხვევაში სისხლისღვრა მოიმატებს.

სახალხო დეპუტატების ყრილობაზე წონიანად მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების ხმა ისმის, ხოლო ავტონომიურ ფორმირებებს რაც შეეხება, მათი ხმა თუ ისმის, სუსტად. ისე ხომ არ გამოვა, რომ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს გასვლის საკითხი გადაწყდება, ხოლო სხვა ნაციონალური ფორმირებების საკითხს არც განიხილავენ და აღმოვჩნდებით ფაქტის წინაშე?

ა. ჩ. ჯერ-ერთი უზენაეს საბჭოში სახალხო დეპუტატები ძალზე ცოტაა. იქ ძალზე ძლიერია პარტოკრატიის პოზიციები და ილუზია არ უნდა გვქონდეს. თქვენ თვითონ ნახეთ რა ხდებოდა პირველ და მეორე ყრილობებზე, რა მონაწილეობას ღებულობდნენ მასში სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის დეპუტატები. არც სამხრეთ ოსეთს არა ჰყავს დეპუტატები უზენაეს საბჭოში დ. ხუგაევის გამოკლებით, რომელმაც ძალზე მორიდებით ვილაცისაგან დაშინებულმა, რაღაც თქვა. ჩვენი დანარჩენი ე. წ. სახალხო დეპუტატები დეპუტატები კი არა, სტატისტები არიან. მეორეც, შეიძლება ვცდები, მაგრამ მიმაჩნია, რომ სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლის იდეა ან პოლიტიკური იავნანაა, ან საქართველოში აღარ არიან ფხიზლად მოაზროვნე პოლიტიკოსები. თუ დადგება სსრკ-დან საქართველოს გასვლის საკითხი, კარგად ვიცი, ჩემი ხალხის პოზიცია და თქვენც კარგად იცით, რომ ჩვენ სსრკ-დან არ გამოვალთ. 23 ნოემბერი სწორედ ის აქცია იყო, რომელსაც უნდა დაეცვა თვითგამორკვევის ჩვენი უფლება.

ამასთან დაკავშირებით თქვენი შეფასება 1989 წლის 23 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ოკუპაციისა.

ა. ჩ. თქვენი შეკითხვით უკვე შეაფასეთ იგი. შემიძლია დავუმატო: ეს იყო შეიარაღებული ნაცისტური ოკუპაცია ყველა მეთოდითა და იდეოლოგიური დამუშავებით.

რა მიზნები ჰქონდა 23 ნოემბრის აქციას?

ა. ჩ. ისინი, ვინც იდეოლოგიას აყალიბებდნენ არაფორმალებისა და ფორმალების ქართულ ტანდემში, გულდასმით ამზადებდნენ აქციებს ოსეთისთვისაც და აფხაზეთისათვისაც. აფხაზეთში მათ საწადელს მიაღწიეს. ოსური ამოცანა მათ გაცილებით იოლად ეჩვენებოდათ, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ საოცრად ყველაზე მილიტარისტული ერი ვართ მსოფლიოში. ჩვენ ყველაზე მეტი გმირი და გენერალი გვყავს ერთ სულ მოსახლეზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამით ვამაყობთ. იმ ხალხთან, რომლებიც თავიანთ საუკეთესო ხიზმრებში კვლავ იქნევენ ხმლებს, ადვილია პოლიტიკის გატარება: ჩამოვა უამრავი ხალხი, ჩამოიყვანენ შეიარაღებულ დაქირავებულ ბანდიტებს, გარდა ამისა რესპუბლიკის შინაგან ჯარებს და გამოიწვევენ ამ „ბრიყვ ოსებს", რომლებიც, რა თქმა უნდა, ჩაებმებიან დანის ტრიალში, დაიწყებენ სროლას და ა. შ. შემდეგ მათ გადაუვლიან შინაგანი ჯარები, არაფორმალები და მსოფლიოს გააგებინებდნენ, რომ ეს იყო თავდაცვის აქცია, ჯარმა შეასრულა დაცვის ფუნქციები, რომ იყო თავდასხმა, გვამები და ა. შ. ა., ეს იყო მთავარი მიზანი — მოხდებოდა ოსების დისკრედიტაცია. როგორც ველური ერისა, ავტონომიის გაუქმება და სხვა დღის წესრიგში დადგებოდა დაუფარავად. ყველაფერ ამას საბოლოო ჯამში მათ ვერ მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, საქართველოს პრესა და ტელევიზია „ამხელენ" ოსებს, როგორც ველურებს. გამოიგონეს რომელიღაც ქალბატონის გაუპატიურება (რომელიც მხუბუქი ყოფაქცევისა აღმოჩნდა), აკვანში ჩვილის მოკვლა და ა. შ. ახლა ყველამ ვიცით, რაც შეემთხვა ჩვილს — ეს იყო უბედური შემთხვევა, მაგრამ დედ-მამას აიძულებენ სიცრუე თქვან. ყველაფერი ეს ადრე თუ გვიან საპნის ბუშტივით გასკდება ან არადა, უნდა მოკლან ჩვილის დედ-მამა, თუმცა ამას აზრი აღარა აქვს. მხოლოდ სულელები დაიჯერებენ, რომ ოსები იმისათვის შეცვივდნენ სახლში, რომ 9 თვის ბავშვი მოეკლათ, მაგრამ ველურების სახე მხოლოდ ასე შეიძლება შეიქმნას.

რატომ მოხდა, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი ჩვილი წაიყვანეს 30 კილომეტრზე მდებარე ქართულ ქალაქ გორში, როცა სოფელი, სადაც მკვლელობა მოხდა, ერთ კილომეტრშია ქალაქ ცხინვალიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე?

ა. ჩ. ესეც საკითხავია, რაც იმპერიულ ამბიციებთან, იმპერიულ მანერასთან, იმპერიულ ცნობიერებასთან არის დაკავშირებული. მერე რა თუ ეს მოხდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე? ჩვენ ვინა ვართ? ისინი ბატონ-პატრონები არიან, როგორც სურთ, ისე იქცევიან, მიუფურთხებიათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის...

რა შეემთხვა ოთხ ჭაბუკ ოსს, რომლებიც ჩვილის მკვლელობაში ეჭვმიტანისათვის დააკავეს?

ა. ჩ. ისინი კარგად მიტყეპეს, ხოლო შემდეგ გაუშვეს, რადგან აშკარა გახდა, რომ მათ ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა ჰქონდათ.

მიუხედავად ამისა, თბილისში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები და შიმშილობანი. გაჩნდნენ „ლტოლვილები" სამხრეთ ოსეთიდან, ქალები, რომლებმაც შიმშილობა გამოაცხადეს საქართველოს კპ ცეკას მისაღებში.

ა. ჩ. დიახ, ამას ვუწოდებ ცინიზმს და იდეოლოგიური დამუშავების გებელსურ მეთოდებს. ახლა თქვენ უნდა წარმოიდგინოთ რა მოხდებოდა, ჩვენ რომ რაიმე ნამდვილი საბაბი მიგვეცა ასეთი იდეოლოგიური დამუშავებისათვის, როგორ გაიშლებოდა ეს კამპანია. გვანცვიფრებს ამის გამკეთებელი ქართული ინტელიგენციის არაჩვეულებრივი ცინიზმი. მხედველობაში არ მყავს ის ნაწილი, რომელიც შეიძლება ასე არ ფიქრობს, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას: მას არ ჰყოფნის სიმამაცე და ინტელიგენტობა. ჩემთვის ვაჟკაცობა და ინტელიგენტობა განუყოფელია: ან ინტელიგენტი ხარ და მაშასადამე ვაჟკაცი, ან ინტელიგენტი არა ხარ და მაშინ უბრალოდ ცინიკოსი ხარ. შემძრა აბულაძის ხელმოწერამ აზერბაიჯანელებისადმი მიმართვაზე, როცა შენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ცალმხრივი ომი „მოძმე" ოსი ხალხის წინააღმდეგ და შენში ვერ პოულობ ინტელიგენტობას ეს საჯაროდ განაცხადო, მაგრამ ეხმაურები ბაქოს მოვლენებს — ეს ცინიზმია. ეს დეკორაციაა, ალბათ, იმავე ევროპისათვის: აი, ჩვენ ქართველები დემოკრატები ვართ და სხვებს ვასწავლით დემოკრატიულობას.

დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოჩნდა იგივე დეზინფორმაცია, რაც ქართულ პრესაში. რით აიხსნება ეს?

ა. ჩ. შესაძლებლობებით. ქართველები უფრო მობილური ხალხია, ვიდრე ჩვენ. გარდა ამისა ჩრდილოვან ეკონომიკას ფული არ ენანება მთავარი იდეის რეალიზაციისათვის. როცა ბევრი ფული გაქვს ჩნდება ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი. ამაში მათ ვერ გავეჯიბრებით, რადგან ჩვენი მიზანი იმაში როდია, რომ მათნაირი მდიდრები ან ცინიკოსები გავხდეთ. იდეა იმაშია, რომ გავთავისუფლდეთ, გათავისუფლება კი შეიძლება ბევრი ფულის გარეშეც.

აფხაზური გაზეთის „აიდგილარას" ერთ-ერთ გამოშვებაში დაუფარავად მიანიშნეს, რომ საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიდერებს ძლიერი მფარველი ჰყავთ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის სახით.

ა. ჩ. ეჭვი მეც არ მეპარება, მაგრამ ვამჯობინებდი ზუსტად მცოდნოდა, რომ ერთნიშნად მემტკიცებინა, მაგრამ ის, რომ ეს სისტემა ასე მუშაობს და ეს რომ ამ სისტემისათვის სავსებით დამახასიათებელია, შაფიქრებინებს, რომ ეს ასეა.

მინდა დავასრულო ჩემი აზრი სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის თაობაზე. მისი შეფასება ცალსახად შეუძლებელია: აქ ცხადად ჩანს ორი პერიოდი. 23 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე — ეს ერთი საქმეა. ხოლო 16 დეკემბრის შემდეგ — სხვა, 1989 წლის 23 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე პერიოდს ვაფასებ როგორც რევოლუციის შემდეგ უმნიშვნელოვანესს, რომლითაც ოსებს აქვთ უფლება იამაყონ. ამ პერიოდში ოსებმა კავკასიელებს შორის პირველებმა აჩვენეს ბრმა ძალადობის პირობებში ჭეშმარიტი დემოკრატიული ქცევის მაგალითი. ვნახეთ ორმხრივი ომი აზერბაიჯანში აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, 9 აპრილს ქართველები იბრძოდნენ...

სობჩაკის კომისიამ შემდეგში ცხადად თქვა: არაფორმალებიც დამნაშავენი არიან, მათაც უნდა აგონ მორალური და სამართლებრივი პასუხი იმაზე, რაც მოხდა. სამწუხაროდ, აფხაზეთში ჩვენი ძმები წამოეგნენ პროვოკაციაზე და საშუალება მისცეს სახელი გაეტეხათ იმ პოლიტიკისა და მიზნებისათვის, რომლებსაც ისინი აყენებდნენ გარდაქმნის პერიოდში. ჩვენ, ოსებმა კი, არა მარტო არ მივეცით ამის საშუალება, არამედ 16 დეკემბრამდე ხორცი შევასხით იმ შინაარსს, რომელიც უნდა შეხამებოდა ქართველების მიერ ევროპელთათვის განკუთვნილ შირმას. ნახეთ, რა სახელწოდებები აქვთ მათ მოძრაობებს — „საქართველოს ჰელსინკის კავშირი", „წმინდა ილია მართლის საზოგადოება", „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", „საქართველოს დემოკრატიული პარტია", „საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია" და ა. შ. ყველაფერი ტრიალებს დემოკრატიული და ჰუმანური ფორმების ირგვლივ მაშინ, როცა მათი შინაარსი აშკარა ნაცისტური და იმპერიულია. ჩვენი თავმდაბლური სახელწოდებით „ადამონ ნიხასი" თითქმის ერთ თვეს არ ვპასუხობდით მათ პროვოკაციებს. 16 დეკემბრის შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდანაც იყო რამდენიმე თავშეუკავებლობა, მაგრამ ისინი ახლოსაც ვერ მოვლენ იმ ავაზაკობასა და ნაციზმთან, რასაც ქართველი ექსტრემისტები ჩადიოდნენ.

რამდენიმე სიტყვა გვითხარით გაკვეთილებისა და უახლოესი პერსპექტივის, ამოცანების შესახებ.

ა. ჩ. თუ ვილაპარაკებთ გაკვეთილების შესახებ, პრინციპულად უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა შეფასება, რომელიც „ადამონ ნიხასმა" მისცა საქართველოში პოლიტიკური პროცესის განვითარებას, უკლებლივ სწორი გამოდგა. თუ რამეში არასწორი იყო, მხოლოდ შეფასების მასშტაბებში ყველაზე დიდი გაკვეთილია ის,

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასასრული)

რომ თვითონ ჩვენ დავუშვით რამდენიმე დიდი შეცდომა. როცა მრავალჯერ მოგვმართეს სომხებმა, რუსებმა და აზერბაიჯანელებმა რესპუბლიკაში ინტერფრონტის შექმნის თაობაზე უარი ვუთხარით. თანაც პირადად მე ვთქვი უარი პრეზიდიუმის, საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან მოუთათბირებლად. დაირღვა დემოკრატიზმის პრინციპი, დღემდე მადანაშაულებენ, რომ საქართველოში ინტერფრონტი არ შეიქმნა. ეს მთავარი გაკვეთილია. მეორე მნიშვნელოვანი გაკვეთილი ჩვენ თვითონ ჩავუტარეთ ქართველებს და არამარტო ქართველებს, არამედ იმ რეგიონების მთელ საზოგადოებას, სადაც ლაპარაკობენ გარდაქმნის ძალდაუტანებელ მეთოდებზე, მაგრამ, პრაქტიკულად მიმართავენ რეალურ ძალადობას. გარდა ამისა, მსაყვედურობენ, რომ არ შევედით კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეაში. ცხადია, რომ ინტერფრონტის იდეის ინტენსიური გადამუშავება ხდება. ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანში ინტერფრონტი იქნება. ასამბლეაშიც შევალთ, თუმცა, პირადად მე ამით დიდ ენთუზიაზმს ვერ ვგრძნობ იმიტომ, რომ ვერ ვხედავ ამ ასამბლეის მკაფიო პოლიტიკურ პრაქტიკას.

ჩრდილო ოსეთი?

ა. ჩ. ჩრდილო ოსეთს ნეიტრალური პოზიცია უკავია მთიელთა ასამბლეისადმი. არ ვცდილობ გადავათქმევინო. ჯერ ვნახოთ, რას აკეთებენ. თუმცა, მამხილებელი გამოსვლები ნალჩიკის ყრილობაზე, როცა ნათაძე და მისი დამქაშები პრაქტიკულად გაძევებული იქნენ, გვიჩვენებს, რომ მათ არ დაუშვეს ინფორმაციისადმი თვითნებური მიდგომა და მოითხოვეს რეალური მტკიცებანი. ესეც ერთ-ერთი კონკრეტული ფაქტია, რომ ის ჭეშმარიტად დემოკრატიული მოძრაობაა.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, რეალიზებული იქნეს ის პოლიტიკური პოტენციალი, რომელიც სამხრეთ ოსეთში ნოემბრის მოვლენებმა შექმნეს. ეს ისეთ პროპაგანდისტულ მუხტად უნდა ვაქციოთ, რომელიც გვიჩვენებს, რომ კავკასია ველურები, ნაცისტები, ექსტრემისტები როდია, რომ კავკასიაში არიან ევროპული დემოკრატიული აზროვნების ადამიანებიც.

ხშირად „ადამონ ნიხასს" საყვედურობენ, რომ ეს მოძრაობა საკმაო აგიტაციას არ ეწეოდა იმ ოსებში, რომლებიც ავტონომიური ოლქის გარეთ ცხოვრობენ. მათ აქვთ მხოლოდ დეზინფორმაცია ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. რით ახსნით ასეთ არააქტიურობას?

ა. ჩ. თქვენი მტკიცება სწორია ნაწილობრივ: რაღაც ინფორმაციას მათაც ვაწვდით. ზოგიერთი ჩვენი წარმომადგენელი ჩადიოდა ამ რეგიონებში, მაგრამ ეს სპორადულად ხდებოდა. ჩვენ დაკავებული ვიყავით ოსეთის შიგნით. სამართალდამცავი ორგანოებიც ბევრს გვაწვალებდნენ სისხლის სამართლის საქმეებით, საოლქო კომიტეტსაც ნეგატიური პოზიცია ეკავა. ყველაფერმა ამან გარკვეული სიძნელეები შეგვიქმნა. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის გებელსისეული პროპაგანდა თვით ქმნის მოაზროვნე ოსებში უარყოფით დამოკიდებულებას ამ საშუალებებისა და მეთოდების მიმართ.

არ აპირებთ „ადამონ ნიხასის" ლიდერები მთელი ოსეთის დემოკრატიული ძალების გაერთიანებას?

ა. ჩ. ვაპირებთ, მაგრამ ეს პროცესი ხომ დამოკიდებული არ არის მხოლოდ სურვილზე. ის ობიექტურად უნდა მომწიფდეს. მიმაჩნია, რომ გაერთიანება უნდა მოხდეს ერთიანი ეთნიკური ბედისა და ეთნიკურად ერთიანი მომავლის მიხედვით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ქვეყნის საერთო დემოკრატიზაციის კონტექსტში უნდა მოხდეს. ჩვენ დავსახეთ ეს მომენტები, გამოვიმუშავეთ ერთიანი პროგრამა ძალზე აქტიურ საზოგადოება „რუსს"-თან ჩრდილო ოსეთში. დავუკავშირდით „ადამონ ცადის" რომელშიც კარგი ინტელექტუალური ძალებია თავმოყრილი.

რამდენიმე სიტყვა გვითხარით ოსურ-ინგუშურ და ოსურ-ქართულ მომავალ ურთიერთობათა შესახებ.

ა. ჩ. ჯერ ერთი, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ის, რაც ინგუშებს გაუკეთეს 1944 წელს, გადამეტრელი გაკიცხვის ღირსია და ასეც აკეთებს ყველა მოაზროვნე და დემოკრატიულად განწყობილი ადამიანი. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ვერცერთი ხალხი ვერ გადაურჩა რეპრესიებს. ის, რომ ოსი ხალხი არ გაასახლეს იმ დროს — იმათი დამსახურებაა, ვისზეც წელან მოგახსენეთ. ჩვენ ყველაზე მილიტარისტული ერი ვართ და იმ დროს კარგად ვემსახურებოდით სამშობლოს დაცვას (იმ დროს ნამდვილად სამშობლო იყო სსრკ, რაკი ჩვენთან მოვიდა მტერი). ოსები იმ დროს პირველ ადგილზე იყვნენ ერთ სულ მოსახლეზე გმირებისა და გენერლების რიცხვით. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჩეჩენ-ინგუშეთში სხვა პროცესები იყო. მიუხედავად ამისა, არავის არ ჰქონდა უფლება მთელი ხალხების გასახლებისა, მაგრამ ეს არ იყო ერთი რომელიმე ხალხის მიმართ პრაქტიკა და ამიტომ დანაშაული ამაშიც სისტემას მიუძღვის. საკითხი სხვა რამეშია: ამავე სისტემამ გაცილებით ადრე ამ მიწებიდან აჰყარა თერგის კაზაკები. მაშ, რა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ეს არ შეიძლებოდა 1944 წელს, ხოლო შეიძლებოდა 1918-19 წლებში? რაღა არის ნათქვამი ინგუში იდეოლოგების პრეტენზიაში ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მარჯვენა სანაპირო რაიონზე? — ეს ისეთივე ცინიკურია, როგორც ქართველი იდეოლოგების ანტიოსური პროპაგანდა. ხომ დასაბუთებულია, რომ კაზაკების მიწები ისტორიულ წარსულში (თათარ-მონღოლთა შემოსევამდე), ათას ხუთას წელიწადზე მეტ ხანს ეკუთვნოდათ ოსალანებს. ახალ დროში ამ ადგილებზე კაზაკები ცხოვრობდნენ დაახლოებით 200 წელს, ინგუშები — 24 წელიწადს, ახლა უკვე 45 წელიწადია ოსები ცხოვრობენ და ოსების იქიდან გასახლება ახალი პოლიტიკური დანაშაული იქნება. იქ ხომ ადამიანთა მთელი თაობები აღიზარდა. ეს ისეთი საკითხია, რომელიც უნდა გადაწყდეს მხოლოდ დემოკრატიულ საფუძველზე. გარდა ამისა, ქალაქ ძაუჯიკაუში (ვლადიკავკაზი) მისი დაარსებიდანვე, და შას შემდეგაც 1920 წლამდე ინგუშები პრაქტიკულად არ სახლობდნენ. ამიტომ ამ ქალაქზე პრეტენზიებიც უსაფუძვლოა.

რაც შეეხება ოს-ქართველთა ურთიერთობას, შემიძლია ვთქვა, რომ თუ ვინმემ შეიტანა პოზიტიური წვლილი, ეს გააკეთეს ოსებმა 1989 წლის 23 ნოემბრის შემდეგ. გავიხსენოთ, რომ 20-იან წლებში, საქართველოს მენშევიკების თარეშის დროს, ძლიერ დაიღვარა ოსების სისხლი. ის თარეში ახლაც სავსებით ცინიკურად ინიღბება კლასობრივი დაპირისპირებით. იმ დროის ბრძანებაში აშკარად ნათქვამია: „სადაც არ უნდა შეხვდეთ ოსს — კაცსა თუ ქალს, მოხუცსა თუ ბავშვს — მოკალით, ოსები ყველანი წითლები არიან" შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს სიტყვამ „წითელი", სიკვდილი ნავარაუდევი იყო განურჩევლად, რაკი ოსები ყველანი დამნაშავენი იყვნენ, რადგან ისინი ყველანი „წითლები" იყვნენ. ამჟამინდელმა ამბებმა გვიჩვენეს, რომ თუ იმპერიულ სისტემაში ვინმემ რამე გააკეთა სიტყვა „მოძმეთვის" ბრჭყალების მოსახსნელად, ესენი კავკასიელი ოსები იყვნენ.

დიდი მადლობა, ალან, საინტერესო და შინაარსიანი საუბრისათვის.

პუბლიკაცია მოამზადეს

ბელა ბელაძემ და თამაზ საჯეურმა.

●

**თუმცა, ეს პუბლიკაცია ნათლად წარმოაჩენს ა. ჩოჩიევის პიროვნებასა და მის მრწამსს, მაინც, მკითხველისთვის რიგი საკითხების ბოლომდე გასარკვევად, კომენტარებისთვის რედაქციამ მიმართა მწერალ გურამ ფანჯიკიძეს.**

# ეჰ, ალან, ალან!

## გურამ ფანჯიკიძე

ცუდი დრო დადგა.

განუკითხაობამ მოიცვა ქვეყანა.

ცრუ დემოკრატიამ ფარდა კი არ ახადა სინამდვილეს, ჩვენი უბედურებების ნამდვილი მიზეზები კი არ გამოაჩინა, მათ სათავეებს კი არ მიაგნო და მოაშთო, პირიქით, ყველაფერი არივ-დარია და თავი და ბოლო დაუკარგა.

აქაოდა, ხომ ხედავთ, რა დემოკრატიული ქვეყანა გავხდითო, კანონი აღარ კანონობს, მტყუანს და მართალს განმკითხავი აღარავინ ჰყავს, ერთმანეთში აირია სიმართლე, ჭორი, ცილისწამება, პროვოკაცია, უვიცობა... სიტუაციას ბევრგან სათავეში მოექცნენ უნიჭო, გაუნათლებელი ავანტიურისტები, სარგებლობენ რა მთავრობის, ჩემის აზრით, შეგნებული უმოქმედობით, წყალს ენერგიულად ამღვრევენ და, არც თუ უშედეგოდ, უკვე ერის მეთაურობასაც იჩემებენ. შედეგებმაც არ დააყოვნა. თავისთავად საშინელმა პროცესებმა კიდევ უფრო საშინელი დრო მოგვიტანა. მთელს საბჭოთა კავშირში იფეთქა ეთნოკრიზისებმა. იღვრება უამრავი ადამიანის სისხლი. ათი ათასობით უდანაშაულო ოჯახი იძულებული ხდება, მიატოვოს სახლ-კარი და სადღაც შორს, ათასობით კილომეტრს იქით, ეძიოს თავშესაფარი.

მე არ ვაპირებ მსგავს მოვლენათა საერთო ანალიზს, მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე მინდა ვილაპარაკო, უფრო სწორად, ერთ კონკრეტულ ინტერვიუს მინდა გავუკეთო კომენტარი, რომლის ავტორის „დიდი დამსახურებაა" ქართველებსა და ოსებს შორის მართლაც ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის სრული განადგურების მცდელობა, შუღლისა და უნდობლობის დათესვა, პროვოკაციული აზრებითა თუ ცრუმეცნიერული არგუმენტებით ხალხის დაბნევა და, საბოლოოდ, უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრა.

ამ ინტერვიუს ავტორი გახლავთ „ადამონ ნიხასის" შემქმნელი და დღევანდელი თავმჯდომარე ა. ჩოჩიევი. მე, სამწუხაროდ, უკვე მეორედ მიხდება პასუხი გავცე ა. ჩოჩიევს. დიდი ვერაფერი სიამოვნებაა, ელაპარაკო რეგვენსა და სინდისგარეცხილ პიროვნებას, მაგრამ მეტ გამოსავალსაც ვერ ვხედავ.

ინტერვიუ, რომელიც მან მოსკოვში ჩამოართვა ოსი ახალგაზრდობის კავშირის გაზეთ „ირ"-ის კორესპონდენტმა, ნიმუშია უვიცობისა, უნამუსობისა, პროვოკაციისა და უმადურობისა.

თუ მკითხველი ჩოჩიევის ინტერვიუს გულდასმით გაეცნობა, ადვილად შეამჩნევს, რომ ინტერვიუერიც თვითონაა და მოპასუხეც. მაგრამ ეს არაა მთავარი. რა მოხდა, შეიძლება კაცს რაღაც სათქმელი აწუხებდეს და მიმართოს ასეთ ჟურნალისტურ ხერხებს. მთავარი ისაა, რაც ზემოთ აღვნიშნე და შევეცდები, დავასაბუთო ჩემი სიმართლე. თანაც მკითხველი წინასწარ მინდა გავაფრთხილო, რომ კომენტარს გავუკეთებ მხოლოდ შედარებით მნიშვნელოვან მომენტებს.

დავიწყოთ უვიცობით.

ჩოჩიევი წერს: „ის, რასაც ვუწოდებთ სამხრეთ ოსეთს (თუალგომ) ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, არ შედიოდა საქართველოს სამეფოში. იმ პერიოდში, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა (გეორგიევსკის ტრაქტატი) საქართველო, როგორც სამეფო, არ არსებობდა: ეს სპარსეთის პროვინცია იყო და მეტი არაფერი (ხაზი ყველგან ჩემია—გ. ფ.), რუსებმა დაიპყრეს ამიერკავკასია და ოსეთი, როგორც გამოაშკარავდა, გასაბჭოების შემდეგ, საქართველოსათვის დაიპყრეს რუსული ხიშტებით. ის, რომ ქართველი მეფეები ოდესღაც თავს ესხმოდნენ ოსეთს (დვალეთს), ხოლო ოსეთი (დვალეთი) ხარკს უხდიდა ქართველ მეფეებს, არაფერზე არ მიუთითებს. ეს არ ნიშნავს, რომ ის შედიოდა საქართველოში. იყო პერიოდები, როცა არ უხდიდნენ და თვითმმართველები იყვნენ. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისისათვის ოსები არ სცნობდნენ ქართველ თავადებს. საკმარისია წავიკითხოთ 1881 წლის „კავკასიური არქეოლოგიური კომისიის აქტები". აქ ყველაფერი ზუსტად და აშკარად წერია. ოსეთზე პრეტენზიები მათ მერე გაუჩნდათ, რუსეთმა რომ მთელი ზონა დაიპყრო. თვით საქართველო მაშინაც როდი არსებობდა — იყო თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია, დვალეთი შეიყვანეს თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. ქართველმა არაფორმალებმა, ალბათ, ეს ყველაფერი კარგად არ იციან, თორემ მიზურზეც განაცხადებდნენ პრეტენზიას. კვლავ ვიმეორებ, ოსეთი დაიპყრეს საქართველოს რუსული ხიშტებით. საზღვარიც გატარდა ბუნებრივ გეოგრაფიულ მიჯნაზე — უღელტეხილმა ხალხებიც გაყო. ამავე დროს, ოსი ხალხი ისტორიულად არასდროს ყოფილა გაყოფილი ამ უღელტეხილით. ის გაითიშა მხოლოდ რევოლუციისა და კავკასიაში ამ პროცესის შემდეგ. ფაქტობრივად, სამხრეთ ოსეთი ცარიზმმა აჩუქა საქართველოს".

როგორც ვხედავთ, უვიცების დოლი გრძელდება. „უვიცები" მრავლობითში იმიტომ ვიხმარე, რომ ა. ჩოჩიევი მარტო როდია. ქვემოთ იმ წყაროებსაც დაგისახელებთ, საიდანაც იგი სარგებლობს თავისი მეცნიერული წიაღსვლისას.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ჩოჩიევის ამ ბრძნული პასუხიდან?

1. თურმე, სამაჩაბლო არასდროს არ შედიოდა საქართველოს სამეფოში;

2. თურმე, გეორგიევსკის ტრაქტატამდე ყოფილა ერთიანი, მთლიანი ოსეთის სამეფო.

3. ოსეთი ყოფილა იგივე დვალეთი;

4. გეორგიევსკის ტრაქტატამდე თურმე საქართველო ყოფილა ირანის პროვინცია, ხოლო ტრაქტატის შემდეგ პერიოდშიც კი საქართველო კვლავ არ არსებულა, არსებობდა თურმე თბილისის გუბერნია, ქუთაისის და ა. შ. გუბერნიები. დვალეთი კი (ჩოჩიევის გაგებით დვალეთი, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგივე ოსეთია) შეუყვანიათ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში.

5. სამხრეთ ოსეთი, თურმე, ცარიზმს უჩუქებია საქართველოსთვის და საზღვარიც ჩრდილო და სამხრეთ ოსეთს შორის გეოგრაფიულ მიჯნაზე — უღელტეხილზე გაუყვანია.

ძვირფასო მკითხველო! განა შეიძლება ამ სისულელეზე მეცნიერული პასუხის გაცემა? განა შეიძლება, სერიოზულად ედავო ამ „დებულებების" ავტორს? განა შეიძლება, საერთოდ გამოეპასუხო ა. ჩოჩიევს, რომელმაც სამადლოდ დაიცვა დისერტაცია თბილისში და საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი მისი მეცნიერული „შესაძლებლობანი"?!

მაგრამ, რას იზამ, იძულებული ხდები, ედავო. ინტერვიუ უკვე გამოქვეყნდა, საქმეში გაუთვითცნობიერებელი ხალხი მოტყუვდა. ამიტომაც ხშირდება ყველაფერს, თუნდაც უვიცობის უნიკალურ ნიმუშებს, პასუხის გაცემა.

მე ერთხელ „ლიტერატურულ საქართველოში" ა. ჩოჩიევს შევახსენე, ვინ არიან და საიდან მოვიდნენ ოსები საქართველოში. იძულებული ვარ, ზოგიერთი რამ ხელახლა მოვაგონო ინტერვიუს ავტორს.

გადავშალოთ ქართული ენციკლოპედია (საქართველოს სსრ, 1981 წ. გვ. 387): „თემურ ლენგის შემოსევებმა ბოლო მოუღეს ალანთა (ოსთა) სახელმწიფოს. ჩრდ. კავკასიის ბარიდან გამოდევნილი ოსები (ხედავთ, პატ. ჩოჩიევო, სად ყოფილა ოსეთის სამეფო?) სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთში და სხვ.). გაიფანტნენ. ძირითადმა მასამ კი თავი შეაფარა კავკასიონის ქედის ვიწრო და მწირ ხეობებს. შემდგომში მათ დაიწყეს ქედის სამხრ. კალთებზე, საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლა. XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისში ქართლის ბარში მოხვედრილი ოსთა დიდი ჯგუფი შეეცადა აქ დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალებთან ბრძოლაში ოსები დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ კავკასიონის მთებში უკან დაეხიათ. აქ, ცენტრ. საქართველოს მაღალმთიან ზოლში, თავი მოიყარა ოსურმა მოსახლეობამ, XVII-XVIII სს-ში კი აქედან დაიწყო ოსების გავრცელება საქართველოში მთისწინა და ბარის ზოლებში".

ამ ვრცელ, ნათელ და უტყუარ ციტატას, მხოლოდ იმას დავძენ, რომ მისი ავტორები არიან გ. თოგოშვილი და ბ. ფლიევი.

არ კმარა გ. თოგოშვილისა და ბ. ფლიევის ავტორიტეტი? მაშინ ოსი ხალხის შესანიშნავ მეცნიერს, ბატონ ვასო აბაევსაც მოვიშველიებ. სწორედ მან კიდევ უფრო მეტი რამ დაასაბუთა მეცნიერულად: ოსები თვით ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი ჩამოსახლებული არიან.

აი, რას წერს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ოლღა თედეევა: „თუკი ბატონი ვასო (იგულისხმება ვ. აბაევი) ჩრდილოეთ კავკასიაში ორი ათასი წლის წინ ჩამოსახლებულ ოსებს „პრიშელცებს" უწოდებს, რაღა უნდა ვუწოდოთ რამდენიმე საუკუნის წინ ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში — სამაჩაბლოში ჩამოსულ ოსებს?" („ლიტ. საქ.", 2, XII. 89 წ.).

რა ვქნათ ახლა, ბატონო ალან, აღარავის დავუჯეროთ და აღარავის ვენდოთ, არც თქვენიანებს, არც ჩვენიანებს და არც სხვებს?

წელან მკითხველი შეიძლება გაოცდა კიდეც, ჩოჩიევის ინტერვიუდან მოტანილ ციტატაში სამჯერ რომ ამოიკითხა „დვალეთი", თანაც როგორი ფორმით, ორჯერ: „ოსეთი (დვალეთი), ხოლო მესამედ პირდაპირ „დვალეთი". ეტყობა, მესამე შემთხვევაში პირდაპირ „დვალეთი" იმიტომ ახსენა, რომ სჯერა, მკითხველი უკვე დარწმუნა მათ იდენტურობაში.

საიდან გაჩნდა „დვალეთი?" იგი ადრე არ უხმარიათ არც ჩოჩიევს და არც სხვა ოს ექსტრემისტებს. ვფიქრობ, ეს სიტყვა ჩოჩიევმა და სხვებმა „სამაჩაბლოსა" და „შიდა ქართლის" საწინააღმდეგოდ გამონახეს. დიახ, მაინც საიდან ამოატივტივა ჩოჩიევმა „დვალეთი"? თუკი მანამდე იცოდა მისი არსებობა, რატომ აქამდე არ გახსენებია იგი? საიდან დაასკვნა, რომ „დვალეთი" იგივე „ოსეთია?"

ვფიქრობ, „დვალეთის" არსებობა მან შეიტყო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. გაგლოითის „მეცნიერული" გამოკვლევიდან „დვალეთის" ტოპონიმიკის შესწავლისათვის „ძველი ერისთავთას" მონაცემების მიხედვით", რომელიც ავტორმა წარმოადგინა თბილისში, ონომასტიკაში მეორე რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე 1989 წელს. იგივე დებულებებს იმეორებს თავის სტატიაში — „საკითხი დაზუსტებას მოითხოვს" — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ძათიათი (გაზ. „სოვეტსკაია ოსეტია", 13. IX. 89). სხვათა შორის, ეს ის ძათიათია, რომელმაც იმავე „სოვეტსკაია ოსეტიაში" (17. VI. 09) გა-

მოაქვეყნა წერილი „სადაა ჭეშმარიტება?“ სადაც მან, თავისი ჭკუით, პასუხი გასცა ჩემს ვრცელ წერილს „აუცილებელია ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოს“ („ლ. ს.“ 26. V. 89). ამ წერილისათვის ამხანაგ ძათიათს მაშინვე გავეცი საკადრისი პასუხი („ლ. ს.“ 7. VII. 89). ამჯერად, იძულებული ვარ მას და მის თანამოაზრე ი. გაგლოითს ერთად მივაგო საკადრისი. სხვა წვრილმან „აღმოჩენებთან“ ერთად, ორთავე ავტორის უმთავრესი „აღმოჩენა“ ის არის, რომ თურმე შიდა ქართლის ტერიტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი შუა საუკუნეებში ყოფილა დვალეთი და რომ შუასაუკუნეების დვალებსა და ოსებს შორის არ არსებობდა ეთნიკური სხვაობა.

ხედავთ, თურმე რა კოზირებს ინახავდნენ „გადამწყვეტი“ მომენტისათვის ჩვენი ძმები, ოსი ისტორიკოსები?!

რ. ძათიათი წერს: „შიდა ქართლის ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე დიდი ლიახვის ველზე არც ძველი, არც შუასაუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით არ გადიოდა კეხვის ვიწროებს ზევით. ამ ზღვრის ზემოთ ისტორიულმა ტრადიციამ დააფიქსირა სხვა ისტორიული პროვინცია — დვალეთი!“..

ახლა ი. გაგლოითს მოვუსმინოთ: „ძეგლი ერისთავთა“ დვალეთს უწოდებს ტერიტორიას, რომელიც მოიცავს დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელებს მდინარე ქსნის შენაკადებით“.

ამ წერილებს საკადრისი პასუხი გასცა ბატონმა ჯონდო გვასალიამ. მან წლევანდელი წლის სამი სექტემბრის „კომუნისტში“ გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი „რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებები“. თუმცა რა, ა. ჩოჩიევისათვის რა მნიშვნელობა აქვს ნამდვილ მეცნიერულ კვლევას. ჩვენ მაინც გვინდა დვალეთის თაობაზე მცირეოდენი განმარტება გავაკეთოთ, მკითხველი რომ თვალნათლივ დავარწმუნოთ ა. ჩოჩიევის უვიცობაში.

დიახ, როგორც მოგახსენეთ, ა. ჩოჩიევისათვის დვალეთი ცნობილი გახდა ამ ორი ოსი მეცნიერის წერილებიდან. ჩვენის მხრივ, კი გვინდა მას მოვახსენოთ, რომ დვალეთის თაობაზე ერთი და ორი გამოკვლევა როდია დაწერილი. აი თუნდაც, რას ვკითხულობთ ქართულ ენციკლოპედიაში: „დვალები, იბერიულ-კავკასიური ტომი ძველ საქართველოში. ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტოლემე) პირველად მოხსენიებულნი არიან ახ. წ. I-II სს-ში. თალის, ვალის, უალის სახელწოდებებით, სახლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილებს შორის — ისტორიულ დვალეთში. მეცნიერები დვალურ ენას აკავშირებენ ნახურ (ინგუშურ-ჩეჩნურ) და ქართველურ (ზანურ) ენებთან. დვალები ადრინდელ შუა საუკუნეებშივე მოექცნენ ერთიან ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. VI საუკუნიდან დვალეთში ქართველი მისიონერები ქრისტიანობას ავრცელებენ. ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა შემოსევების (XII ს.) შედეგად კავკასიონის მთიან ზოლში დაიწყო მიგრაციის პროცესი. დვალეთში სახლდებოდა ოსური მოსახლეობა, დვალები კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდიოდნენ. XIII ს. დასაწყისათვის დვალების ასიმილაციის პროცესი დასრულდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა რაჭისა და იმერეთის მოსახლეობას, დვალეთში დარჩენილი ნაწილი კი — ოს მოახალშენეებს“ (ვ. გამრეკელი, ქსე. ტ. 3, გვ. 490).

უმალვე მიგიხვდით პატარა ეშმაკობას, თუ ოსეთისა და დვალეთის ეთნიკურ იდენტურობას „დაგვიმტკიცებთ“, მაშინ გაცილებით მეტი პრეტენზია გაგიჩნდებათ საქართველოს ტერიტორიებზე. თქვენდა უნებურად გაგცათ თქვენმავე ფინტმა. გიჭირთ, ძალიან გიჭირთ ფაქტებით ლაპარაკი და ახლა დვალეთის ვერსიას იმიტომ ჩაე[illegible]უჭით.

აქ აღარ შევუდგებით სხვა მეცნიერთა ნააზრევის მოტანას და არც ვრცელ ციტატებს ამოვწერთ „ძეგლი ერისთავთას“ ფურცლებიდან, დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვთ, იხილოს ჯ. გვასალიას წერილი, აგრეთვე, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და დ. გვრიტიშვილის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV ს. ს.)“.

ამჯერად, ყურადღება მეორე „საკითხზე“ გვინდა გავამახვილოთ. თურმე ერთიანი ოსეთი ცარიზმს გაუყვია, საზღვარი მექანიკურად კავკასიონის ქედზე გაუტარებია და უღელტეხილს აქეთ მოქცეული სამხრეთი ნაწილი საქართველოსთვის უჩუქებია. მანამდე, თურმე, ოსი ხალხი არასდროს არ ყოფილა გაყოფილი ამ უღელტეხილით.

რა ვქნათ, ისევ ვნაყოთ წყალი? მეტი გზა არა გვაქვს.

სად იყო შიდა ქართლის ჩრდილო საზღვარი?

ლეონტი მროველის აზრით: „ტფილისთაგან და არაგვითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფანავრამდე“ („ქართლის ცხოვრება“, I, 1955 წ. გვ. 24).

ვახუშტი ბაგრატიონის რუკას თუ დავხედავთ, შიდა ქართლში შედიან ხევი და დვალეთი, რომლებიც კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობენ. ამიტომაც ამბობს: „და უფლოსისაგან ეწოდა ზენასოფლები შიდა — ქართლის“. (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 84).

სხვათა შორის, შიდა ქართლს ზენა სოფელს უწოდებდა ლეონტი მროველიც: „და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკარასთამდე უწოდა ამა ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 10).

სომეხი ანონიმი ავტორი წერს: „არაგვი ერთვის მტკვარს და ამით ამთავრებს ქართველთა ზემო ქვეყანას (სომხური გეოგრაფია, ვენეცია, 1881, გვ. 78). ჯ. გვასალია სამართლიანად მიუთითებს, რომ „ზემო ქვეყანა“, „ზენა სოფლის“ თარგმანს წარმოადგენს, რამდენადაც ძველ ქართულში სოფელი ქვეყანას ნიშნავსო.

ი. გიულდენშტედტის ცნობით (მან 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში), შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვარს კავკასიონის ქედი წარმოადგენსო. ერთი სიტყვით, შუასაუკუნეებში, ადრინდელ საუკუნეებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, არავითარი სამხრეთ ოსეთი არ არსებულა.

განა სასაცილო არ არის ამის დასამტკიცებლად ძველი ისტორიკოსები და ჟამთააღმწერელნი შევაწუხოთ, როცა აგერ, ახლა, მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხინვალში მხოლოდ ოთხი ოსური ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლების აღწერით ქართლ-კახეთის სამეფოში ოსების რაოდენობა მხოლოდ 6 ათასი კომლით განისაზღვრებოდა?! არ იცის ეს, ამხ. ჩოჩიევმა? თუ არ იცის, მაშინ ძალზე იოლად მტკიცდება „ადამონ ნიხასის“ ლიდერის უვიცობა.

უვიცობა უვიცობად იყოს, ახლა ჩოჩიევის უსინდისობაზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

როგორი ნამუსგარეცხილი უნდა იყო კაცი, რომ დაწერო ასეთი რამ: თითქოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა და ქართველი ექსტრემისტები „ძლიერ შეერწყნენ ერთმანეთს, და, რაკი 9 აპრილის შემდეგ არ ჰყავდათ განმანეიტრალებელი, ხელ-ფეხი გაეხსნათ და მოაწყვეს სისხლისღვრის მთელი სერია, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია სისხლისღვრა აფხაზეთში და ოსეთში“.

ან: „ხოლო ამ მცირე იმპერიამ (საქართველომ.—გ. ფ.), რომელიც უმთავრესად ნაცისტურ პოლიტიკას ატარებს არაქართველების მიმართ, ევროპელთათვის შექმნა დიდი პოლიტიკური პალიტრის, ელფერისა და ჭურის დემოკრატიული ნაკრების შირმა“.

ან: „რასაც მორცხვად „ქართველ მოპიკეტეებს“ უწოდებენ, ძალადობას რომ ეწეოდნენ, პიკეტი როდი გახლავთ, ისინი ბანდიტები არიან“.

ან: „ძალადობის ტალღა აზვირთდა (იგულისხმება ოსეთში. გ. ფ.), ეს იყო აშკარა ბანდიტიზმი და ყაჩაღობა, რასაც ახორციელებდნენ დაქირავებული ადამიანები, რომელთა უმრავლესობა ყოფილი პატიმრები იყვნენ. ისიც კია ცნობილი, რომ მათ საკმაოდ დიდ თანხას უხდიდნენ რანგის მიხედვით“.

ან: „ისინი ოსეთში მოვიდნენ გარკვეული პროვოკაციული მიზნებით. ჩვენთან ამ მიტინგით ჩამოიტანეს აფხაზური სცენარი და მხოლოდ იმ დროს იქ მყოფი ახალგაზრდების სიმამაცემ და გონიერებამ შეაჩერა ოსეთის მიწაზე აფხაზური სცენარის გათამაშება“.

ან: „ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიამ მას საშუალება მისცა აფხაზები დაედანაშაულებინა სისხლისღვრაში, რომელიც, ეჭვგარეშეა, ქართველი ექსტრემისტების მოწყობილი იყო“.

ან: „სამწუხაროდ, აფხაზეთში ჩვენი ძმები წამოეგნენ პროვოკაციას და საშუალება მისცეს სახელი გაეტეხათ იმ პოლიტიკისა და მიზნებისათვის, რომლებსაც ისინი აყენებდნენ გარდაქმნის პერიოდში“.

ძვირფასო მკითხველო, ამის მთქმელ კაცს რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა პროვოკატორი და ნამუსგარეცხილი?! ვინც ჩემს წერილებს იცნობს, დამეთანხმება, რომ მათში ვერსად წააწყდება მსგავს გამოთქმებს. მაგრამ, ამჯერად, როგორ გინდა შეიკავო თავი, როცა ჩოჩიევის უსინდისობა ყოველგვარ ზღვარს გადადის. მან ხომ მშვენივრად იცის, აფხაზეთში რაც მოხდა და როგორც მოხდა. განა ქართველებისათვის შეურაცხმყოფელი არ იქნება, ამ ბრალდებებისაგან რომ თავი დავიცვა და ახსნა-განმარტებებს მოვყვე?! ერთს კი ვიტყვი: ყოველი აქ მოტანილი ციტატა ცალცალკეც საკმარისია იმისათვის, რომ ჩოჩიევს პასუხი აგებინონ. ალბათ ცხინვალში მშვიდობიანი მიტინგის ჩატარების ინიციატორნი და ორგანიზატორნი ჩოჩიევს პასუხისგებაში მისცემენ ასეთი საზიზღარი ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის.

ჩემის მხრივ, მინდა „ადამონ ნიხასის“ „მამაც“ ლიდერს ვუთხრა, რომ ის ცილს ცალკეულ ადამიანებს ან პარტიებს კი არ სწამებს, არამედ მთელ ერს გვიწოდებს „ნაცისტებსა“ და „სისხლისმღვრელებს“.

ერთ ადგილზე ჩოჩიევი მორცხვად ამბობს: „სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდანაც იყო რამდენიმე თავშეუკავებლობა, მაგრამ ისინი ახლოსაც ვერ მივლენ იმ ავაზაკობასთან და ნაციზმთან, რასაც ქართველი ექსტრემისტები სჩადიოდნენ“.

ნუთუ ერთი კაპილარი მაინც არ გაგაჩნია შუბლზე, ამხანაგო ჩოჩიევო?! მოვიტანო ზღვა ფაქტები, როგორ „ინტელიგენტურად“ იქცეოდნენ ოსი ექსტრემისტები ქართველების მიმართ? მაშინ ხომ გაზეთის სამი ნომერი მაინც დამჭირდება იმ საზიზღრობათა ჩამოსათვლელად! ჩემი აღშფოთებული შეძახილი ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, მხოლოდ სამ მაგალითს მოვიტან, ოსი „რაინდი“ ექსტრემისტების მხოლოდ სამ ნამოქმედარს გავაცნობ მკითხველს, მით უმეტეს, რომ ამ ფაქტზე თქვენ თვითონვე ლაპარაკობთ თქვენსავე ინტერვიუში: „... საქართველოს პრესა და ტელევიზია „ამხელენ“ ოსებს როგორც ველურებს, გამოიგონეს რომელიღაც ქალბატონის გაუპატიურება (რომელიც მსუბუქი ყოფაქცევისა აღმოჩნდა)...“

ხედავთ, მეგობრებო, გამოიგონესო. თანაც თურმე ის ქალბატონი მსუბუქი ყოფაქცევისაც ყოფილაო. ეს ეკადრება „ადამონ ნიხასის“ ბელადს, კაცს, რომელიც ამავე ინტერვიუში საზეიმოდ აცხადებს „ჩემთვის ვაჟკაცობა და ინტელიგენტობა განუყოფელია“-ო?!

მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიტან რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებლო დარგის პროკურორის გ. წურწუმიას „სპეცმოხსენებიდან“, რომელიც მან იმ პერიოდში რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელ ამხ. ნ. შოშიაშვილს გადასცა.

„1989 წ. 7 დეკემბერს გორის საავადმყოფოში მოიყვანეს 1976 წელს დაბადებული მოქალაქე მ. ა-ძე.

... მას ჰქონდა სხეულის მრავალი დაზიანება, მათ შორის ყელში დანით მიყენებული ჭრილობა, ტვინის შერყევა, სხეულის ისეთი დაზიანებანი, სასამართლო ექსპერტიზის თანახმად, ქალის ძალით გაუპატიურებას რომ მოსდევს ხოლმე.

ცხინვალში მ.ა-ს ჩვენებით, იგი ქუჩაში გააჩერა ოსური წარმომავლობის უცნობი ახალგაზრდების ჯგუფმა და მას შემდეგ, რაც გაიგეს მისი ჩასვლის მიზნის შესახებ, დამუქრებით შეიყვანეს შენობაში, რომელიც საერთო საცხოვრებელი აღმოჩნდა. აქ იგი დაახლოებით 10 კაცზე მეტმა გააუპატიურა. 3 დღის მანძილზე მ.ა-ძე ჩაკეტილი ჰყავდათ და რიგრიგობით აუპატიურებდნენ, თან უცენზუროდ და დამამცირებლად აგინებდნენ.

შემდეგ იგი სხვა საერთო საცხოვრებელში გადაიყვანეს, სადაც უკვე ოსური წარმოშობის სხვა პირები შეურაცხყოფდნენ. აქ იგი 4 დღის განმავლობაში 15 კაცზე მეტმა გააუპატიურა.

ყოველივე ამის შემდეგ, მ. ა.-ძის სიტყვებით, იგი ავტომანქანაში ჩასვეს, რომელიც მილიციისას წააგავდა, ოთხმა მთვრალმა მამაკაცმა იგი ქალაქგარეთ მდებარე რომელიღაც სახლში მიიყვანა, სადაც გაგრძელდა მისი გვემა და შეურაცხყოფა. მას „ქართველ ლორს“ და „ზვიად გამსახურდიას აგენტს“ ეძახდნენ. აქაც ოთხივემ გააუპატიურა იგი. შემდეგ ორმა ღამით უკაცრიელ ადგილზე გაიყვანა, ერთმა ყელში დანა გამოუსვა და თოვლში მოისროლა. მან გონება დაკარგა. კარგა ხნის შემდეგ, გონს რომ მოეგო, ყვირილი დაიწყო. იქ აღმოჩნდა სოფელ მონასტრის მკვიდრი ომარ ზოზიაშვილი ცოლთან ერთად. მათ მ. ა-ძე სახლში წაიყვანეს და დახმარება აღმოუჩინეს.

ამის შემდეგ, ო. ზოზიაშვილის სახლში მოვიდნენ ოსური წარმოშობის მამაკაცები, თავი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებად წარუდგინეს და მ. ა-ძე თან წაიყვანეს, ვითომ მილიციაში, ფაქტიურად კი თავისთან სახლში მიიყვანეს. სწორედ ამ სახლში იპოვეს მ. ა-ძე ქართველმა მამაკაცებმა და საავადმყოფოში მოათავსეს იგი (ეს მამაკაცები არაფორმალური ორგანიზაციის წევრები გამოდგნენ).

ის პირები, რომლებიც მოტყუებით ცდილობდნენ გადაემალათ მ.ა-ძე საგამოძიებლო ორგანოებისაგან, აღმოჩნდნენ ცხინვალის რაიონის სოფელ დამპალეთის მცხოვრებნი, უმუშევარნი როლანდ რუბენის ძე ბიბოევი და პეტრე ანდროს ძე ბიბოევი. დაკითხვისას ორივემ აღიარა მ. ა-ძე ო. ზოზიაშვილის ბინიდან წაყვანის ფაქტი, მაგრამ თავიანთი საქციელის ახსნა ვერ მოახერხეს, აღნიშნული პირები 1989 წლის 9 დეკემბრიდან დაკავებულნი არიან და იმყოფებიან გორის შინაგან საქმეთა განყოფილების იზოლატორში. მოწმდება აღნიშნულ დანაშაულში მათი მონაწილეობის საკითხი“.

აი, თურმე რა გამოუგონია საქართველოს ტელევიზიასა და პრესას. აი, თურმე რა ინტელიგენტობის მაგალითებს აძლევდნენ ოსები ქართველ ექსტრემისტებს!

თურმე მარტო ამით როდი დამთავრებულა ქართველ ჟურნალისტთა „გამოგონებანი“. შემდეგ, როგორც ჩოჩიევი ამბობს: „გამოიგონეს აკვანში ჩვილის მოკვლა და ა. შ. ახლა ყველამ იცის, რაც შეემთხვა ჩვილს — ეს იყო უბედური შემთხვევა, მაგრამ დედმამა აიძულეს სიცრუე თქვან. ყველაფერი ეს ადრე თუ გვიან საპნის ბუშტივით გასკდება...“

ინტერვიუერი უმალვე ეკითხება ჩოჩიევს, რა შეემთხვა იმ ოთხ ჭაბუკს, ჩვილის მკვლელობაში ეჭვის შეტანისათვის რომ დააპატიმრესო. ჩოჩიევიც ღიმილით პასუხობს (ღიმილი ინტონაციაში იგრძნობა. გ. ფ.): ისინი კარგად გატყიპეს და გაუშვეს, რადგან ამ საქმესთან მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ხოლო ამ ამაზრზენ მოვლენასთან დაკავშირებულ პროტესტს ჩოჩიევი ასე ახასიათებს: „ამას ვუწოდებ ცინიზმს და იდეოლოგიური დამუშავების გებელსურ მეთოდებს(?), წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რაიმე ნამდვილი საბაბი რომ მიგვეცა, ასეთი იდეოლოგიური დამუშავებისათვის, როგორ გაიშლებოდა ეს კამპანია? გვანცვიფრებს ამის გამკეთებელი ქართული ინტელიგენციის არაჩვეულებრივი ცინიზმი“.

მართლაც რომ, გვანცვიფრებს ჩოჩიევის ყოველგვარ ზღვარს გადასული უსინდისობა და ცინიზმი. განა მან შესანიშნავად არ იცის, ვინ მოკლა ჩვილი ბავშვი? ხოლო იმ ოსების გასაგონად, რომლებმაც შეიძლება მართლაც არ იციან მკვლელის ვინაობა, ხმამაღლა ვამბობთ, რომ იგი მოკლა ელბრუს ალექსანდრეს ძე [illegible], რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მართალია, იგი ამჟამად იმალება, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ხედავთ, ბატონებო, საქართველოს ტელევიზიამ და პრესამ ვიღაც ქალის გაუპატიურება გამოიგონა, თანაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალისა, შემდეგ აკვანში ჩვილის მოკვლა და ა. შ-ო. აი, ახლა ამ „ა. შ.“-ზე გვინდა გავამახვილოთ პატივცემული ინტერვიუერის ყურადღება. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ ამ „ა. შ.“-დან, თორემ ყველაფერი რომ მოვყვეთ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, გაზეთის სამი ნომერი არ გვეყოფა. თანაც მოვიტანთ არა ნაამბობს, ან თვითმხილველის ჩანაწერს, არამედ რესპუბლიკის პროკურატურის ცნობას „სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც აღძრულია მილიციის თანამშრომლებზე თავდასხმის, მათი იარაღის გატაცებისა და მათთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტის. გამო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე სტატიის მე-3 ნაწილისა და 133-ე სტატიის მე-2 ნაწილის თანახმად:

„წინასწარი გამოძიებით, დადგენილია შემდეგი: 1989 წლის 25 ნოემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის განკარგულებით მილიციის თანამშრომელთა ჯგუფი (დაახლოებით 200 კაცი), რომელიც საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ცხინვალში იყო მივლინებული ეროვნებათაშორის ურთიერთობის ნიადაგზე შექმნილი მწვავე სიტუაციის გამო, რვა ავტობუსით უკან იქნა გაგზავნილი მათი დისლოკაციის ადგილებისაკენ. აღნიშნულ კოლონას ხელმძღვანელობდა საქ. შსს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი შ. ა. ცინცქალაძე. ცხინვალიდან გამგზავრებისას აღნიშნული ავტობუსები გააჩერა ოსური წარმომავლობის დაახლოებით ორი ათასი კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა. ისინი გარშემოერტყნენ პირველ ორ ავტობუსს. ამ ჯგუფის ყველაზე აქტიური წევრები, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ხელყუმბარებით, ავტომატებით, გადაჭრილლულიანი თოფებით და ცეცხლგამჩენი ბოთლებით, ძალის გამოყენებითა და მუქარით თავს დაესხნენ პოლკოვნიკ ცინცქალაძესა და მილიციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც დატყვევებულ ორ ავტობუსში იმყოფებოდნენ (ისინი ახპინძისა და ადიგენის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები აღმოჩნდნენ), სცემეს მათ, წაართვეს 31 იარაღი და საბრძოლო ვაზნები. ამის შემდეგ იძულებით მოათავსეს ცხინვალის საქალაქო საბილიარდოს სარდაფში და იქ უკანონოდ დაახლოებით 10 საათის განმავლობაში ამყოფეს 16 საათიდან ღამის 3 საათამდე.

დღესდღეობით გამოძიებამ მხოლოდ რვა გატაცებული პისტოლეტი ამოიღო. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულის მონაწილეთა დადგენა და მხილება გაჭიანურდა და ძალზე გაძნელდა, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების არაერთი პასუხისმგებელი მუშაკი. მათ შორის, ცხინვალის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი კ. ი. თედეევი, სამხრეთ ოსეთის შსს უფროსის მოადგილე ტ. გ. ტაბახმელაშვილი, სამხრეთ ოსეთის შსს სამსახურის უფროსი გ. შ. ხანაკოევი, სამხრეთ ოსეთის შსს პოლიტგანყოფილების ინსპექტორი ტ. ზ. გუჩმაზთი, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ბოხიკოევი, ჯავის რაიონის სახალხო მონაწილე, თუმცა, თვითოეული საოლქო აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები ა. ვ. თედეევი, ტ. ბ. ხანაკოევი და სხვები. აღნიშნულ პირთაგან დაკითხვისას არავინ არ დაასახელა დანაშაულის არცერთი მონაწილე, თუმცა თვითოეული მათგანი რამდენიმე საათის განმავლობაში უშუალო თვითმხილველი იყო ესოდენ თავხედური დანაშაულისა“.

(დასასრული მე-8 გვ.)

(დასასრული)

რა სასაცილოდ ჟღერს ყოველივე ამის შემდეგ ჩოჩიევის სიტყვები: „1989 წლის 23 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე პერიოდს ვაფასებ, როგორც რევოლუციის შემდეგ უმნიშვნელოვანესს, რომლითაც ოსებს აქვთ უფლება იამაყონ. ამ პერიოდში ოსებმა, კავკასიელებს შორის პირველებმა, აჩვენეს ბრმა ძალადობის პირობებში ჭეშმარიტი დემოკრატიული ქცევის მაგალითი!“.

სახელი და დიდება თქვენ — „ადამონ ნიხასელებო“! მართლაც რომ „საამაყო“ საქმეები დაუტოვეთ შთამომავლობას. იმედი გვაქვს, მარტო ამით არ დაკმაყოფილდებით და კიდევ უფრო გაზრდით სიას საქმეთა საგმირონისა!

ხედავთ, ამხანაგო ინტერვიუერო, სინამდვილეში როგორ ყოფილა საქმის ვითარება?

თქვენ კი, ამხანაგო ჩოჩიევო, კაცს, რომლისთვისაც ვაჟკაცობა და ინტელიგენტობა განუყოფელი ყოფილა, შეგფერით ამ საზიზღარ ფაქტებს გამონაგონი დაარქვათ?

სამწუხაროდ, უპასუხისმგებლობა, პროვოკაცია, ცილისწამება ორგანული თვისებაა ჩოჩიევისა. მაგალითად, ერთგან იგი იგონებს რა ქართველ მენშევიკებს, ნაწყვეტი მოაქვს ერთი მათი ბრძანებიდან: „სადაც არ უნდა შეხვდეთ ოსს — კაცსა თუ ქალს, მოხუცსა თუ ბავშვს, — მოკალით! ოსები ყველანი წითლები არიან!“

სად, რომელ ბრძანებაში ამოიკითხა „ადამონ ნიხასის“ ლიდერმა ეს სიტყვები? მსგავსი ბრძანება რომ მართლა ყოფილიყო, განა მთელს მსოფლიოს არ დაუგზავნიდნენ ამ ბრძანების ქსეროასლს?

არ იფიქროთ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა იგი ყოველგვარი საბუთისა და წყაროს მითითების გარეშე ავითარებს თავის დებულებებს. თუნდაც ის გავიხსენოთ, ოსეთის გაერთიანებული და დიდი სახელმწიფო დასაბამიდან არსებობდა და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში არასდროს არ შედიოდაო. დიახ, დიდი, გაერთიანებული ოსეთი თურმე დასაბამიდან არსებობდა, ხოლო საქართველო, როგორც ჩოჩიევი ამბობს, ცარიზმის დაპყრობამდე სპარსეთის პროვინცია ყოფილა, ხოლო დაპყრობის შემდეგაც ვერ ჩამოყალიბებულა მთლიან პროვინციადაც და, თურმე, მხოლოდ ცალკეული გუბერნიების სახით შესულა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ხოლო „ორად გახლეჩილი“ ოსეთიდან სამხრეთი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაში მას შემდეგ აღმოჩენილა(!), როცა რუსის ხიშტებით დაპყრობილი სამხრეთ ოსეთი ცარიზმს საქართველოსთვის მიუძღვნია.

თუკი საქართველო არ არსებობდა, როგორღა აჩუქეს სამხრეთ ოსეთი საქართველოს?! განა თვითონვე არ წერს, დვალეთი (მისი ჭკუით ოსეთი) თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შევიდაო?! მადლობის მეტი რა გვეთქმის ცარიზმზე, მაგრამ, მაინც გვინდა ჩოჩიევს მოკრძალებით შევბედოთ, რომ ცარიზმამდე ვერცერთ ისტორიულ წყაროში ვერ ამოიკითხავს სახელმწიფოებრივი თუ გეოგრაფიული ერთეულის — სამხრეთ ოსეთის — სახელწოდებას. იგი, სამწუხაროდ, მხოლოდ ცარიზმის პერიოდში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ოკრუგი, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიშალა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი კი კომუნისტებმა შექმნეს 1921 წ. ანექსიის შემდეგ, 1922 წ. 20 აპრილს. და თუ სალი აზრით გვეყოფა მოვლენათა შესაფასებლად, ცარიზმმა კი არ გვაჩუქა ოსეთი ჩვენ, პირიქით, ჯერ ცარიზმმა, შემდეგ კი კომუნისტურმა საბჭოთა კავშირმა მოგვინდომა მისი წართმევა, მონათლა რა შიდა ქართლი და სამაჩაბლო სამხრეთ ოსეთის სახელწოდებით.

ახლა ჩოჩიევისა და ადამონ ნიხასელების უმადურობაზეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. მინდა თვალნათლივ დავინახო ურწმუნოთომები, როგორ „დაგვიჩაგრავს“ პატარა იმპერიას ოსი ხალხი, იმპერიას, რომელიც, თურმე, ნაცისტურ პოლიტიკას ატარებს არაქართველების მიმართ. ულოგიკო ფაქტია, მაგრამ, რას იზამ, არსებობს ორი ოსეთი — სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი. ჩრდილოეთ ოსეთი, რომელიც „აყვავებული და გაფურჩქვნილია“ რსფსრ-ს შემადგენლობაში, და სამხრეთ-ოსეთი — რომელიც „გმინავს და იტანჯება“ მცირე იმპერია საქართველოში.

სხვათა შორის, „აყვავებული და გაფურჩქვნილი“ ჩრდილო ოსეთიდან ასეთი დეპეშაც მივიღეთ იმ პერიოდში, ალან ჩოჩიევი რომ რევოლუციის შემდეგ უმნიშვნელოვანესად თვლის ოსეთის ცხოვრებაში: კოლეგებო, თუ სამხრეთ ოსეთში სისხლი დაიღვრება, არ დაგავიწყდეთ, რომ ჩრდილოეთ ოსეთში 12 ათასი ქართველი ცხოვრობსო. დიახ, ამ საშინელ დეპეშას, რომელიც ქართველ მწერლებს გამოგვიგზავნეს, ხელს აწერდა ლიტერატურული ჟურნალის „მახ დუგის“ რედაქტორი ახსარ ქოზათი. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს დეპეშაც დაემატება 23 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე ოსებისათვის საამაყო პერიოდის სახელოვან ფურცლებს.

განა ასეთი მუქარა შეფერის ინტელიგენტ კაცს? განა ჩრდილოეთ ოსეთის მწერლების საჩივარი „ლიტერატურნაია როსიაში“ (29. XII. 89) ჰგავს მწერლების ნამოქმედარს? ვთქვათ, ჩვენც მათ ჭკუაზე დავდექით და ანალოგიური დეპეშა გავუგზავნეთ ჩრდილოეთ ოსებს, ხომ არ გავიწყდებათ, რომ სამხრეთ ოსეთში, ანუ შიდა ქართლში, 65 ათასი ოსი ცხოვრობს, ხოლო დანარჩენ საქართველოში 12000 კი არა, 100 ათასი და ჭკუით იყავით-თქო, დაგვამშვენებდა ასეთი საქციელი ჩვენ, ქართველებს, თუნდაც მცირე იმპერიელებს?! იქნებ, ჩოჩიევმა მოიტანოს თუნდაც ერთი მაგალითი, რომ იმ ასი ათასი ოსიდან, სამაჩაბლოს გარეთ რომ ცხოვრობს, ერთი კაცი მაინც შეავიწროვეს ქართველებმა? იქნებ, პარარელურად გაგვეხსენებინა, რა ხდება ყირგიზეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში და სხვაგან და სხვაგან?!

არა, ჩვენ ასეთ დეპეშას ვერასდროს ვერ გავგზავნით, მსგავსი საქციელი ოდითგან არ ახასიათებდა ქართველ კაცს. აქ არ შევუდგები ჩემი ნააზრევის ფაქტებით დადასტურებას, ოღონდ ქალბატონ ოლღა თედეევას სიტყვებს კი შევახსენებ ალან ჩოჩიევს და მისთანებს (და, არავითარ შემთხვევაში ჩვენს მეგობარ ოს ხალხს): „იმრავლა ჩვენმა ხალხმა, აღარ დაეტია სამაჩაბლოში (სამაჩაბლო სამხრეთ ოსეთის ძველი ქართული სახელი გახლავთ) და აგერ, სულ ცოტა ხნის წინ — გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელმა ქართლმა და კახეთმა გაუღო კარი ოსებს და საუკეთესო მიწებზე კომპაქტურად დაასახლა. აი, აქ მცხოვრებ ოსებს რაღა ვუწოდოთ?“ „ლ. ს“. 1, XII, 89), ამხ. ჩოჩიევო, ხედავთ, როგორ აფასებს მოვლენებს ჭეშმარიტი ინტელიგენტი და მეცნიერი?!

ახლა კი, თუ ნებას დამრთავთ, რუსეთის ფედერაციაში „აყვავებული და გაფურჩქვნილი“ ჩრდილოეთ ოსეთი მინდა შევადარო საქართველოს მცირე იმპერიაში „მგმინავ“ სამხრეთ ოსეთს. ერთხელ უკვე ვწერდი და კვლავ მინდა გავიმეორო: საქართველოში ოსებს აქვთ ოსური თეატრი, ინსტიტუტი, უკვე გამოსაცემადაა მომზადებული ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის ოთხტომეული, ხოლო, რა ხანია გამოვიდა ოსური ლიტერატურის სამტომეული.

დიდი სიამაყით გვინდა გავიხსენოთ ისიც, რომ 1979 წლის აღწერით ავტონომიურ ოლქში მცხოვრები 65077 ოსიდან მშობლიურ ენას ფლობდა 64257 და მხოლოდ 820 კაცი ვერ ლაპარაკობდა მამა-პაპათა ენაზე! ასეთი მაჩვენებელი თითქმის არ არის საბჭოეთის არცერთ ავტონომიურ ოლქსა თუ რესპუბლიკაში. ეს მაშინ, როცა სრულიად საწინააღმდეგო სურათის მოწმენი ვხდებით „აყვავებულ და გაფურჩქვნილ“ ჩრდილოეთ ოსეთში. ე. ი. ნამდვილ ოსეთში, თუმცა, ჯობია, სიტყვა თვით ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ მეცნიერებს მივცეთ.

აი, რას წერს გაზეთ „პრავდის“ მოწინავეში ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ა. გალაზოვი:

**«Национальную молодежь, к примеру, лишили родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения, в городских уроки осетинского языка включались. в расписание факультативно. Всякое обращение к этим вопросам рассматривалось отдельными «деятелями» как покушение на интернациональные основы Советского государства».**

(„პრავდა“, 11, XII, 89).

ახლა ორჯონიკიძელ ი. დამბეგოვასაც მოვუსმინოთ:

**«В 60-е годы был проведен перевод всех осетинских школ на русский язык обучения. Считалось, что совершенное владение языком межнационального общения открывает путь к расцвету и сближению нации...**

**...Нам нужна действительно национальная школа — в том виде, в каком она прекратила существование сорок лет назад.**

(„ხობეხედნიკი“, №45).

და ეს მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთში 83 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ოსურ ენაზე.

და თუ დღეს მაინც ისე არ დგას საქმე სამხრეთ ოსეთის ოსურ სკოლებში, როგორც საჭიროა, განა ეს ქართველების ბრალია? განა ჯერ კიდევ 1967 წლის 10 ოქტომბერს საოლქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი გ. სანაკოევი სიამაყით არ ამბობდა სსრკ უმაღლესი საბჭოს III სესიაზე: „1953 წლიდან ჩვენში მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნით, ოსეთის სოფლის სკოლებში მე-5 კლასიდან, ხოლო ქალაქში პირველი კლასიდან, სწავლა წარმოებს რუსულ ენაზე“. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბავშვების სწავლება რუსულ ენაზე შესანიშნავ შედეგს იძლევა, მოსწავლეები უფრო ღრმად ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს“... და ა. შ. („კომუნისტი“, 13.X,1967 წ.),

ერთი ძალზე საგულისხმო და ჭკუისსასწავლებელი ფაქტი მინდა გავიხსენო ისტორიიდან.

1925 წლის 15 ივლისს ჩრდილოეთ ოსეთის ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ტაკოევმა ასეთი რამ განაცხადა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე:

„ამხანაგებო, მე წარმოგზავნილი ვარ ჩრდილოეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაერთიანების საკითხის გამო... (ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო საქართველოს ფარგლებში — გ. ფ.). ...იქნებ, ვისმე ეგულისხმება, რატომ არის ორიენტაცია საქართველოზეო. იმიტომ, რომ ოსეთი არსებობდა და მხარდამხარ ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკასთან. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო პასუხისმგებელი მომუშავენი, თვალნათლივ ჰხედავენ, რომ სადაო ნაციონალური პოლიტიკაც ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში. („კომუნისტი“, 13.XII.89).

და თუ ეს ყველაფერი ასეა, და, როგორც ფაქტები ლაღადებენ, ნამდვილად ასეა, რაღას გვერჩიდნენ საქართველოში მცხოვრები ოსები? საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული მეგობრობა რატომ გაცამტვერეს რამდენიმე თვის განმავლობაში? გვინდა ვკითხოთ „ადამონ ნიხასის“ მესვეურებს, რატომ გადაჰკიდეს მეზობელი მეზობელს, სოფელი სოფელს, რატომ დაანგრიეს და ააფორიაქეს შერეული, ოსურ-ქართული ოჯახები? რატომ შეცვალეს ძმობა და მეგობრობა ზიზღით და მტრობით? განა რაიმე ლოგიკას ემორჩილება მათი განზრახვა, წაართვან ქართველებს მამაპაპური მიწა, ის მიწა, სადაც ისინი ასე მიიღეს, დაასახლეს და იძმეს, ენა და კულტურა შეუნარჩუნეს? რა ნამუსით იბრძვიან ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებისათვის, სადაც პირველი ეროვნული ნიშანი — მშობლიური ენა — თითქმის აღარ არსებობს?! იმას მაინც აღარ ითვალისწინებდნენ, მშობლიურ მიწაზე მცხოვრები ქართველები რომ ვერ მოუწონებდნენ განზრახვას და არ მოისურვებდნენ სამშობლოდან, სამაჩაბლოდან გამოყოფას?!

საოცარია, საიდან დაებადათ მსგავსი იდეები! იქნებ, ვიღაცამ წააქეზათ და გააბრიყვათ. არც ესაა გამორიცხული.

გნებავთ, უფრო შორეული მაგალითიც მოვიტანოთ? ინებეთ: გაზეთ „რევოლუციური დროშის“ 1918 წლის 16 ივნისის ნომერში სათაურით „ოსების შუამდგომლობა“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც ვკითხულობთ: „სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს გერმანიის რწმუნებულს გრაფ შულენბერგს, რომ მან იშუამდგომლოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე“.

ხედავთ, ამხ. ჩოჩიევო, რა საღად აზროვნებდნენ თქვენი წინაპრები და ჯერ კიდევ როდის ჰქონიათ განზრახული საბჭოთა კავშირისაგან გამოყოფა და მაშინდელ დამოუკიდებელ საქართველოსთან შეერთება? (იგულისხმება ჩრდილოეთ ოსეთი. — გ. ფ.). პირადად თქვენ და, საერთოდ, ადამონ ნიხასელებს კი რა ღმერთი გაგიწყრათ, რამ დაგიხშოთ აზროვნების უნარი?!

ყველა „რევოლუციურ“ მოძრაობას თავისი ყვარყვარე ჰყავს. ყვარყვარიზმის ხანა თქვენც შეგყრიათ, ძვირფასო ალან! იმუქრებით კიდეც! ჯერ იყო და გუდაუთის გაზეთ „ბზიფის“ ფურცლებზე იქნიეთ მუშტები, ძვირფასო აფხაზო ძმებო, ჯერ მხოლოდ მორალური მხარდაჭერა მიიღეთ ოსი ძმებისაგან, ცოტაც დაგვაცალეთ და მერე ჩვენ ვიცითო...

შეასრულეთ კიდეც თქვენი მუქარა. ზემოთ ხომ უკვე მოვიტანეთ თქვენი გმირობის“ მაგალითები. ახლა ინტერფრონტით გვაშინებთ: „ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანში ინტერფრონტი იქნება“, — რიხით ეუბნებით ინტერვიუერს.

შიშით მუხლები ხომ აგვიკანკალეთ, საკუთარი პერსონაც მთელი სიდიადით წარმოადგინეთ მკითხველის წინაშე. თურმე, ჩვენ, ქართველები, თქვენი მადლობელი უნდა ვიყოთ, დღესდღეობით ინტერფრონტი რომ არ შექმნილა რესპუბლიკაში. თურმე, თქვენ, ალან ჩოჩიევი ყოფილხართ საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ერის ლიდერი და მთავარსარდალი. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ თქვენი სიტყვები: „მრავალჯერ მოგვმართეს სომხებმა, რუსებმა და აზერბაიჯანელებმა რესპუბლიკაში ინტერფრონტის შექმნის თაობაზე. უარი ვუთხარით. თანაც პირადად მე ვთქვი უარი პრეზიდიუმის, საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან მოუთათბირებლად. დღემდე მადანაშაულებენ, რომ საქართველოში ინტერფრონტი არ შეიქმნა“.

შევარცხვინე ის სომხები, რუსები და აზერბაიჯანელები, შენს ჭკუაზე რომ ივლიან, შევარცხვინე ის ინტერფრონტი, რომლის იდეოლოგიური მამა და მთავარსარდალი შეიქნები. ისე კი მტკიცედ მჯერა, არცერთი ნორმალური სომეხი, რუს ან აზერბაიჯანელი შენთან არ მოვიდოდა (თუკი მოვიდა ვინმე საერთოდ), შენთან მხოლოდ შენისთანები მოვიდოდნენ, საყვარელო ძმა ალან!

ძვირფასო მკითხველო, აღარ მინდა თქვენი ყურადღება სხვა ბრალდებების კომენტარით გადავღალო თავშივე ვთქვი, მხოლოდ უმთავრეს მომენტებს განვიხილავ-მეთქი. ზოგიერთმა შეიძლება ისიც კი თქვას, საერთოდ კი საჭირო იყო ამდენი კომენტარიო?

ნამდვილად საჭირო იყო. დღეს გამეფებულ ქაოსში პასუხგაუცემელმა ბრალდებებმა შეიძლება დიდი ვნება მოგვიტანოს. ბოლოს და ბოლოს, ისტორია ყველა მოვლენას სამართლიანად შეაფასებს და თავის ადგილს მიუჩენს, მაგრამ მას თუ წინ ჩვენი სამართლიანი ბრძოლა არ მიუძღვის, ზოგჯერ შეიძლება სიმართლეც გამრუდდეს. ისტორიამ იცის მსგავსი მაგალითები.



კავკასიონი.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პლენერი ამართლებს დანიშნულებას



23 სექტემბერს დამთავრდა ქუთაისის მესამე საერთაშორისო პლენერი, რომელიც, როგორც ცნობილია, 20 აგვისტოს დაიწყო.

პლენერის ორგანიზატორები იყვნენ სსრკ მხატვართა კავშირი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის და საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია.

მონაწილეობდა 32 მხატვარი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბელორუსიიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან, მონღოლეთიდან, კუბიდან და რუმინეთიდან.

შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა ბაგრატის ტაძარზე, გეგუთის ციხე-დარბაზში, გელათის სამონასტრო კომპლექსში, მოწამეთაში, მარტვილში, ნიკორწმინდაში, სვანეთში.

ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიმართა მესამე საერთაშორისო პლენერის მონაწილეთა გამოფენა.

შემოქმედებითი მუშაობისაგან თავისუფალ დღეებში პლენერის მონაწილეები ეწვივნენ თბილისს, დაესწრნენ ქართული ფოლკლორის საღამოებს, დაათვალიერეს ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმი და სახვითი ხელოვნების გალერეაში მოწყობილ ცნობილ ქართველ მხატვართა გამოფენა, ნახეს ქართული კინოფილმების რეტროსპექტივა და ა. შ.

პლენერი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ორგანიზატორთა მონდომებასა და გულისხმიერებაზე მეტყველებს თუნდაც ის მშვენიერი ბუკლეტი, რომელშიც მოთავსებულია ოცდათორმეტივე მონაწილე მხატვრის სავიზიტო ბარათი.

მონაწილეების ერთსულოვანი აზრით, ქუთაისის პლენერი, დაძაბული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე, იყო შესანიშნავი დადასტურება ხელოვნების მაღალი იდეალების გამარჯვებისა.

ზაირა ბერელიძე



გელათის ეზოში.

ბონდო დადვაძის ფოტო.

# მამულიშვილთა საყურადღებოდ!

ახლახან მესხეთის ქ. ახალციხეში გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი.

ამ ახალი უმაღლესი სასწავლებლის მრავალმხრივი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ყველასათვის ნათელია...

უნივერსიტეტის ახალშობილ ფილიალში რომ პროფესიონალი სპეციალისტები აღიზარდონ, აუცილებელია მდიდარი ბიბლიოთეკა.

მოგმართავთ ყველას, ქართველი ერის შვილებს, საქართველოს კეთილმოსურნე არაქართველებს, ვისაც ჩვენი ერის მომავალი ედარდება: **ახალციხის ფილიალს ერთი ისეთი წიგნი მაინც გამოუგზავნეთ** (დაზღვევით), **რომელსაც მიუძღვნით თქვენს საყვარელ ადამიანს** (მხატვრული, ენათმეცნიერული, კრიტიკული, ისტორიული, ეკონომიური, მათემატიკური... ლიტერატურა); წიგნთან ერთად გთხოვთ გამოგვიგზავნოთ შეტყობინება — ამით გვექნება წიგნის არდაკარგვის გარანტია, თანაც შევადგენთ შეტყობინებათა კატალოგს, რომ მომავალ თაობებს შევუნახოთ ამ უჩვეულო თხოვნის შესრულების ამსახველი მასალა...

ჩვენი მისამართია: ახალციხე, რუსთაველის 90.

თუკი უდროობის ან სხვა მიზეზთა გამო არ გიხერხდებათ ახალციხეში წიგნის გამოგზავნა, თბილისშიც შეგიძლიათ წიგნის გადმოცემა; კერძოდ, ჭავჭავაძის I, თსუ, ახალი ქართული ენის კათედრა (მერაბ ბერიძე) ან ძერჟინსკის 8, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (ტარიელ ფუტკარაძე).

## გამოვიდა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“

„ტექინფორმმა“ გამოსცა 1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. გამომცემელნი მიუთითებენ, რომ დეკლარაცია გადმობეჭდილია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1989 წლის 15 დეკემბრის ნომრიდან. ამ გამოცემას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ასევე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სიტყვები:

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ გამსჭვალულია ჰუმანურობის, სამართლიანობის, საყოველთაო მშვიდობისაკენ სწრაფვის სულისკვეთებით. ის გამოხატავს მსოფლიოს ყველა ხალხის ნებას, პოზიციას. ამ დეკლარაციაში ჩაქსოვილი მაღალი იდეალების ხორცშესხმა იოლი საქმე არ არის... წინ სამართლიანობისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლის გრძელი და ძნელი გზა გვიდევს“.

# ქართველები ლიტვაში

დღეს ჩვენი სტუმარია ლიტვაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოება „ივერიის“ თავმჯდომარე **დალი ბოგვეშვილი-იოდიშიენე.**

●

ლიტვაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოება „ივერია“ 9 აპრილის შემდეგ შეიქმნა. იმ დღეებში ძალიან გვიჭირდა ლიტვაში მცხოვრებ ქართველებს, დარდი და ბოღმა გულში აღარ გვეტეოდა... ჩვენი საპროტესტო წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „ადგიმიმახმა“ („საიუდისის“ პირველდაწყებითი ორგანო). ამ საქმეში მხარი დაგვიჭირა გაზეთის მაშინდელმა რედაქტორმა, დღეს ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ოზოლასმა. ამ ადამიანმა საოცრად განიცადა ჩვენი ეროვნული ტრაგედია...

23 აპრილს ქალაქ ვილნიუსში ჩატარდა 70 000 კაციანი დემონსტრაცია, რომელსაც წინ სამი ქართველი მოვუძღოდით — ჟურნალისტი ზურაბ ჯავახიშვილი, თბილისისა და ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმდროინდელი სტუდენტი ბესო ბოჭორიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი — ჟურნალისტი და მთარგმნელი.

იმ დღეს, ყველა ლიტველმა უდანაშაულო მსხვერპლთა პატივსაცემად სანთელი და ყვავილი მოიტანა. ვილნიუსის კათედრის მოძღვარმა კაზიმერას ვასილაუსკაუსმა კათედრის მოედანი გადმოჭრა და ვარდების თაიგული მოგვართვა, რაც იშვიათად ხდება ხოლმე.

დაარსების დღიდანვე ჩვენი საზოგადოება აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და უშუალოდ „საიუდისის“ ქვედანაყოფი გახდა. (ამას ადასტურებს ლიტვური პრესაც). ერთხელ, დიდი ფორუმის დროს, ოფიციალურად განვაცხადე: ქართველს, რომელიც ლიტვაში ცხოვრობს და ლიტველი ხალხის ნება-სურვილი არ მოსწონს, შეუძლია საქართველოში გაემგზავროს და იქ, თანამემამულეების წინაშე აგოს პასუხი-მეთქი.

ჩვენი საზოგადოების ძირითადი მიზანი, რა თქმა უნდა, მომავალში ლიტვა-საქართველოს კულტურული ურთიერთობის განმტკიცება იქნება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხის სულიერ დაახლოებას, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მას გარკვეულწილად პოლიტიკურ პროცესებშიც უხდება მონაწილეობის მიღება.

ჩვენთან ხშირად იკრიბებიან სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები; გვაქვს შეხვედრები ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან (ლიტვაში აღმასკომი აღარ ფუნქციონირებს), პარლამენტის წევრებთან. ბლოკადის პერიოდში ქართველმა ხალხმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ლიტველებს. მომავალში, უკეთესი იქნება თუ საქართველოდან ჩამოსულნი ჩვენს საკოორდინაციო ცენტრს მომართავენ.

უახლოეს პერიოდში სათვისტომო საკუთარ ჭერქვეშ დაიდებს ბინას, რაც მისი მეტად ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი იქნება... ქართველ ხალხს კი ვუსურვებ, ჩვენი მომავალი შეხვედრა და საუბარი ქალაქ ვილნიუსში, დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოში გამართულიყოს.

ქართული სათვისტომო უამრავ ფუნქციას ასრულებს... იქ მცხოვრებ თუ ჩამოსულ ქართველთა დამხმარე და ჭირისუფალი ვართ. ერთი თვის წინათ, ლიტვაში, ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა გორის რაიონის სოფელ ფხვენისის მცხოვრები სიმონ რაჭაბაშვილი, რომელსაც აქაურმა ექიმებმა ლიტველის გული გადაუნერგეს. ისინი ჩვენთან ერთად განიცდიდნენ ავადმყოფის მძიმე მდგომარეობას.

ჩვენი საზოგადოება ვილნიუსში მცხოვრები 38 ქართველისაგან შედგება (თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე — სერგი ამირგულაშვილი და ზურაბ ჯავახიშვილი).

ლიტვაში 675 ქართველი უნდა იყოს, მაგრამ ან ენციკლოპედიური მონაცემებია მოძველებული, ან ზოგიერთ ქართველს არ სურს გამოგვეხმაუროს...

შესაძლოა, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ქართველი არ ეთანხმება ლიტვის პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ ქართული გენი მათ ყოველთვის უკან ახევინებს. ამიტომაც, ლიტვის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგო ფრონტში ქართველს ვერ შეხვდებით.

## ეკა ბაქრაძე

# ა მ ე რ ი კ ა — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ახლახან ქართველი ბავშვების ერთ ჯგუფთან ერთად ამერიკაში იმოგზაურა ეკა ბაქრაძემ. მან ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებაზე, იქიდან დანახულ მშობლიურ გარემოზე, ლექსების ციკლი შექმნა.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ ციკლიდან.

●

შენ ჩემს ნატვრისფერ შორეთში ჩანხარ,
ვით გაოცება და მოჩვენება,
მხოლოდ საკუთარ სიმაღლეს გავხარ
ანდა სიმაღლის ამოჩემებას...
ეგზომ მკაცრი და მიუწვდომელი,
შენ საკუთარი სიმართლით სუნთქავ,
და არ გაღელვებს დაუცხრომელი
ჩემი ფუსფუსი... დარდი და სულთქმა,
შენ საზრუნავიც სხვაგვარი გიჩნს და
საკუთარ ჭირსაც საკუთრივ სწამლობ,
მე გიწილადებ დათმენის ნიჭს და
სიმართლეს — ახლა შენგან რომ ვსწავლობ...
გაივლის დრო და ალბათ, ოდესმე,
მიხვდები ჩემი დუმილის მიზეზს,
რისი იმედი უნდა მქონდეს მე,
როცა ყურჩხული ხახაში მიმზერს...

●

ჩვენ გვიმალავდნენ შენს ბრწყინვალებას,
და ათასგვარი მიეთმოეთით
გვარწმუნებდნენ, რომ...
სწორედ ამიტომ,
ძვალსა და რბილში გამჯდარი შიში —
„სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“,
აგორებულ ქვასავით წამომეწია და...
განწირული ბოჩოლასავით
(მთელი სიცოცხლე საბელშებმული რომ
დაკლარუნობდა),
მდუღარე ცრემლით გამომიტირეს...
ბოლოს რაც არის, არის,
სადაც სხვა — იქ ჩემიცო...
ხელი ჩაიქნიეს და:
ახლა შენთან ვარ...
ოცნების და ნატვრის ედემად,
დაგსახა ოდენ,
ვინც ესოდენ მკვიდრად გაშენა,
ხარ შეუვალი...
სიკეთის და სინათლის კბოდე,
უცხო რამ სხივი,
ღვთიურ გონის უცხოდ მამშვენად.
ვიცოდი, შენი სიდიადე დამლლიდა ერთობ,
მაინც არ გიფრთხი—უფრო მეტიც: კიდევაც მართობს,
ეს ფაცი-ფუცი საქმიანი შენი იერი...
ხარ მშვენიერი, უფრო კარგი, ვიდრე მეგონე,
უფრო დამყოლი, უფრო მკაცრი და ლმობიერი...

●

ავფორიაქდი...
ნეტავ ახლა ჩემს სახლში ვიყო,
(ბატონი სოსო თანაგრძნობის თვალით მიყურებს),
ჩემს დარდს და სევდას საგზალივით,
ლელასთან ვიყოფ,
ავენიუებს შევღიმილებ და თავს ვიტყუებ...
დაეშმაკობენ გოგონები,
დარდიმანდობენ ბიჭები,
მე გულზე დარდი მადნება, —
ეზოში გამიჩეხეს ფიჭვები.
ჩემი ალუჩა გაზაფხულზე,
აწი ვერასოდეს გამახარებს,
ირგვლივ ყველაფერი გადათხარეს,
(ეს რა ლოჯიები აიტეხეს),
დილით სადარბაზო აჩხორეს და
კინაღამ თავი გავიტეხე...
ავფორიაქდი...
თავს როგორმე უნდა ვუშველო,
ვიდრე მოვარდნილი კაეშანი,
ვეებ ლოდივით აგორდება.
კადრი იცვლება და სანუგეშოდ,
ჩემი მყუდრო სახლი მაგონდება.

●

ბებო ქოთქოთებს. დილიდანვე დამზარეულობს,
— „მე შეგაჩვიეთ ზარმაცებო, მზამზარეულსო“,
და ამ საბაბით არ შორდება სამზარეულოს...
თეონამ, ალბათ, მოიწყინა...
როგორ მინატრის...
ახლოს რომ იყოს, მეტყვის:
— მოდი, ფქვილი გავფქვნათო, —
როგორც ყოველთვის...
მერე სადმე კვერცხებს მიამთხვლევს,
მერე გულღიად შემომჩივლებს:
— ახლა რა ვქნათო?!..
მე წარბს ავზიდავ...
გავიმკაცრებ ხმას და ცხადია,
დავუცაცხანებ: „დაინახე, გოგო, რა ქენი!“
ნეტავ იცოდე, „სოფაფილა“ მომაქვს შენთვის და,
როგორც გენებოს, ისე გაფქვენი...
პაატა, ალბათ, წერილს ელის.
ქეთიმ დარეკა.
დეიდას ისევ გაუწვრილა გული კითხვებით.
(რას დაარწმუნებ, რომ ამჯერად თბილად მაცვია).
პაპა კი ყველას ჩუმად უსმენს,
აბა, რას იზამს,
ერთი უთქმელი, დინჯი კაცია...
მე მენატრებით... (ვიცი, გივი ისევ დამხვდება),
ყველა მიყვარხართ... (ნეტავ ახლა თქვენთან მამყოფა),
მაიკო, ლალი, თამუსია რა ამბით მელით...
ისევ სიტყვები... ღმერთო ჩემო, სიტყვა არ მყოფნის...

●

— მე კოლორადოს უმშვიდესი ცხოვრებით
ვცხოვრობ...
კარბონდეილის ეგზოტიკა ბანგივით მნუსხავს,
ვაგროვებ ჩემს წილ ალტაცებას, ღიმილს და სითბოს—
ამერიკული კოლორიტის არასრულ ნუსხას...
ამ „რაფტინგებმა“, „შოპინგებმა“ და პიკნიკებმა
შეგვიყოლიეს, ჩვენც სილაღის საზღვარს ვცილდებით,
ახლა, რომ მნახოთ, გეფიცებით, არ დამიჯერებთ,
ამ სითამამით ათჯერ უფრო გაგიკვირდებით.
ასე მოჩქეფავს კოლორადოს სავსე ცხოვრება,
ვიდრე ოქროსფერ კანიონებს ეწვევა ბინდი.
მეგობრებისთვის ვაგროვებ — „პრეზენტ“-ს
„ვალუტა“ ელვის სისწრაფით მიდის...

## პოეზიის ერთი ლექსი

## ნოდარ ჯალაღონია

# შრომის ვეტერანის მ ე დ ა ლ ი

ერთადერთი ჯილდო, რომელიც მარგუნეს,
მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე

სულში ათასგვარ ფიქრებს აგიშლის
საკუთარ თავთან გაუცხოება.
რისთვის ვიცოცხლე? ვისთვის
ვიცოცხლე?
რას შევალიე ჩემი ცხოვრება?

თუმცა, არასდროს გამიყიდია,
სულს სევდა მაინც ველარ ავხსენი.
ფიქრი თოკივით ჭერზე ჰკიდია
და ძილ-ღვიძილში აღარ მასვენებს.

ვერ გამიგია მაინც აქამდე
მადლი ვაკეთე თუ ვზიდე ცოდვა.
მთელი ცხოვრება მეც წყალს
ვნაყავდი,
თუ ჩემი შრომა იყო ქვის კოდვა.

მითხარ, უფალო, სანამ მომკლავდე,
ვისთვის ვთესავდი და ვისთვის ვმკიდი.
თავისუფლების ბორკილს ვლოკავდი,
თუ მეც ამირანს მკერდს ვუკორტნიდი.

ჩემი სამშობლოს ბორკილს ვლოკავდი,
თუ სხვებთან ერთად ურო მეჭირა...
ნუთუ მეც ყველას ჰანგზე ვროკავდი,
რომ ჩემი თავი გადამერჩინა.

ნუთუ ამაო არის იმედი,
ნუთუ იმედი არის ამაო.
ნუთუ მიწამდე ისე მივედი,
რომ ჩემი თავი გადამერჩინა.

ის ჩემი ოფლი იყო კანდელი,
თუ წყალი იყო, წყალი, უბრალო...
ღირსი ვინც არის დღის ხვალინდელის
მარტო შენ ერთმა უწყი, უფალო.

თორემ დღეს ბევრი ფეხებს ულოკავს,
მამულს და... (მიჭირს მათი ყურება),
გადაუგდია ახლა ურო და
იმ რკინის ბორკილს ეჯაჯგურება.

ზოგისთვის კიდევ თავშესაფარი
და მყუდრო ბინა გახდა სიბერე.
თუმცა, თვითონაც იცის რაც არის,
მამულიშვილის პოზას იფერებს.

მე კი, ამ „ჯილდოს“ როცა დავყურებ,
აღარ ასვენებს ფიქრი გონებას.
რისთვის ვიშრომე? რას ვემსახურე?
ვის შევალიე ჩემი ცხოვრება?

ნუთუ ეს ჯილდო უნდა ვატარო,
როგორც ბეჭედი ჩემი წარსულის.
ჩემი უმიზნო, ჩემი უაზრო,
ჩემი მონური შრომის დასტური!

## ნუგზარ აფხაზავა

### ბეტონის კოლოფი. მესამე სართული

სამი წელია
მოიწევს ჩემკენ
და აჰა, ჩემი აივნის სვეტს
მოეალერსა,
ათრთოლებული ალვის ხის წვერო.

### „სი...“

ოთხნახევარი მილიარდი
სპორტსმენი მირბის
ფინიშისაკენ,
რომელსაც ჰქვია იდუმალი სიტყვა:
„სი.....“.

### მთებზე ჩამოთოვა!

ჩამოუბერა შემოდგომის ცივმა ნიავმა,
ფოთლები შეკრთნენ.
დღეს ავტობუსში ახალგაზრდა
მანდილოსანმა,
„დაბრძანდით, ბიძია“-ო, —
მითხრა.

### გაორება

საოცარია კაცის არსება:
ვარ ერთდროულად ამაყიცა და...
საცოდავიც —
კლდეზე ამოსული
ბალახივით.

### დილა, იმედი

ჩამოიარა, თეთრმა ღრუბელმა,
ჯერ უჩინარი მზის სხივებით,
აალებულმა,
და ერთი წუთით გაანათა
ჩემი ოთახი.

### აისბერგი

მზეს აუნთია აისბერგი... ხომ ლამაზია?
მაგრამ იცოდე: ამ ცბიერი
მზეთუნახავის
შვიდი მერვედი
წყლის სიღრმეშია ჩამალული...
უფრთხილდი აისბერგს, კაპიტან!

### ჩვენსავით...

შორი ქვეყნიდან მოფრენილმა
ჩვენმა მერცხლებმა,
რა ჟრიამულით მოგვახარეს მაისის
მოსვლა!
ხოლო მერე კი, შემოდგომაზე,
რა უხმაუროდ წავიდნენ უკან...

# თეირანის კონფერენცია

მერაბ კვიტაშვილი

სხვათა შორის, მე შევამჩნიე, რომ სტალინის სიტყვებს ზუსტად თარგმნიდნენ ხოლმე, თითქმის სიტყვასიტყვით, ხოლო მოლოტოვის და სხვა საბჭოთა მოხელეთა სიტყვებს საკმაოდ ხშირად ამახინჯებდნენ. ფაქტიურად, რამდენჯერმე მე უნდა ჩავრეოდი და გასწორება მეთხოვა. ჩემის აზრით, თეირანში ყველაზე კარგი თარჯიმანი მაიორი ბირსი იყო, ჩერჩილის ჯგუფის წევრი. იგი შესანიშნავად ფლობდა ორივე ენას, ინგლისურსა და რუსულს, და მაშინვე სწვდებოდა არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას, არამედ ნათქვამის მთავარ აზრს.

რაკი ბირსი ვახსენე, მასთან დაკავშირებით ბარემ ერთ პატარა ეპიზოდსაც გავიხსენებ. წინა წელს, ბრიტანეთის სამხედრო მისია, რომელსაც გენერალ-ბრიგადირი უეი მეთაურობდა, საკმაოდ დიდი ხნით იმყოფებოდა საქართველოში. ამ მისიის ერთ-ერთი წევრი იყო იულიუს ედვარდსი — მამულაიშვილის ნათესავი, რომელიც ადრე მოვიხსენიე. თბილისში ყოფნის დროს, უეიმაც და ედვარდსმაც ცოლები შეირთეს. უეის მეუღლე გახდა ცნობილი მომღერალი ქალი ქეთო ჯაფარიძე და ედვარდსისა კი ნახევრად რუსი, ნახევრად ოსი თბილისელი ქალიშვილი. როდესაც უეის მისიამ დატოვა საბჭოთა კავშირი, არც ქეთო ჯაფარიძეს, არც ედვარდსის ცოლს უფლება არ მისცეს თავიანთ ქმრებს გაჰყოლოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უეიმ, ედვარდსმა და ბრიტანეთის ხელმძღვანელობამ ყოველი ღონე იხმარეს, საბჭოთა მთავრობა სასტიკ უარზე იყო ცოლებისთვის ქმრებთან ერთად წასვლის ნება მიეცა.

თეირანში ედვარდსს უნდოდა კიდევ ერთხელ ეცადა ბედი და მთხოვა თუ შევძლებდი, მომეწყო მისი შეხვედრა ბრიტანეთის ელჩთან მოსკოვში, კლარკ-კერთან (შემდეგში, ბარონი, ლორდი გახდა), რომელიც კონფერენციას ესწრებოდა. მე მივმართე ბირსს, რომელთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა და ვკითხე, თუ შეძლებდა ამის გაკეთებას. მგონი, იმ დღესვე თუ მომდევნო დღეს ბირსმა მითხრა, რომ ამა და ამ დროს ის კლარკ-კერთან ერთად საელჩოს ბაღში იქნებოდა და მე და ედვარდსი, ვითომ შემთხვევით, იქ უნდა მივსულიყავით. ჩვენც ასე მოვიქეცით და როდესაც ჩავუარეთ ერთ მყუდრო ადგილს, სადაც ისინი ისხდნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, ბირსი ადგა და ელჩთან წარმადგინა. მე ჩემი მხრივ იულიუსი წარვუდგინე ბირსს და კლარკ-კერს. მაშინ იულიუსმა ელჩს თავისი საქმე უამბო და დახმარება სთხოვა. კლარკ-კერმა თანაგრძნობა გამოთქვა, მაგრამ უთხრა, რომ იმაზე მეტს, რაც უკვე გაკეთდა, ვერაფერს შეძლებდა. მან უაღრესად არადიპლომატიური სიტყვები იხმარა, როდესაც საბჭოთა ხელმძღვანელობას შეეხო და თქვა, რომ მათ ცივილიზებული ადამიანური მოქცევა არც კი ესმითო, მაგრამ მაინც შეპირდა, რომ კიდევ და კიდევ შეეცდებოდა რამეს გამხდარიყო.

ბოლოს და ბოლოს, საბჭოელებმა ნაწილობრივ მაინც შეასრულეს მისი თხოვნა, თუმცა, ქეთო ჯაფარიძეს მაინც არ მისცეს წასვლის უფლება, ედვარდსის ცოლი, ტონია, გამოუშვეს და მე მას ომის შემდეგ ინგლისში შევხვდი.

მაგრამ გავაგრძელებ ჩემს ამბავს...

პლენარულ სხდომას და შემდეგ სტალინთან სადილს სხვებთან ერთად ესწრებოდა ამერიკის საჰაერო ძალების გენერალი ჰენრი ჰ. არნოლდი, რომელსაც ყველა იცნობდა, როგორც „ჰეპ“ არნოლდს, ომის შემდეგ გამოცემულ თავის წიგნში „გლობალური მისია“ ეს სახელგანთქმული ამერიკელი გენერალი ხშირად ახსენებს სტალინს. ბევრი მისი ნათქვამი საინტერესო უნდა იყოს ქართველებისთვის. აი, როგორ აღწერს იგი მას: „სხდომის შემდეგ მე კარგა ხანს ველაპარაკე სტალინს ჩვენი თვითმფრინავების შესახებ... სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათი ხასიათის, მათი თავისებურებების, მათი შეიარაღების, და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთესად იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი... სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი მოსაზრების და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი და თავის რწმენაში გაბედული... მან, ალბათ, ცოტაოდენი ინგლისური იცოდა... სტალინს წითლით მოსირმული ღია ყავისფერი ფორმა ეცვა. შარვალზე ორი ზოლით, მხრებზე განიერი ოქროს სამხრეები, ძალიან დიდი ოქროს ვარსკვლავით, საბჭოთა კავშირის ემბლემით და რუსეთის ჯარის მარშლის ნიშნით... მას მხოლოდ ერთი მედალი ეკეთა — ოქროსკიდიანი წითელი ბანტი, რომელზედაც ოქროსავე ვარსკვლავი ეკიდა. მაღალი არ იყო. დაახლოებით 5 ფუტი და 9 დუიმი, მაგრამ ლამაზი, კარგი შესახედაობის ჯარისკაცი... იგი ბევრ და ჭკვიანურ შეკითხვებს მაძლევდა... როდესაც სადღეგრძელოებს ამბობდნენ, სტალინი ჩამოუვლიდა მაგიდას და ყოველ სამხედრო პირს ჭიქას მიუჭახუნებდა ხოლმე, ღვინოს სვამდა მხოლოდ საკუთარი ბოთლიდან, რომელშიც, ამბობდნენ, წყლის მეტი არაფერი არისო, დანარჩენები კი შამპანურს ვსვამდით...“ არნოლდი ცდება, როდესაც წერს, სტალინი წყლის მეტს არაფერს სვამდაო. ის ბევრსაც სვამდა და დალევაც შეეძლო. ამ მხრივ, ყოველ შემთხვევაში, ის ნამდვილი ქართველი იყო. ყველაზე ძალიან მას კონიაკი უყვარდა და ჩერჩილმა მას თავისი საყვარელი კონიაკის მთელი ყუთი მიუძღვნა.

რაც შეეხება ჰეპ არნოლდის ნათქვამს სტალინის შესახებ, ქართველებისთვის საინტერესო იქნება კიდევ უფრო სახელგანთქმული ამერიკელის უ. ავერელ ჰარიმანის მიერ გამოთქმული აზრი. აი, რას წერს იგი: „ჩემთვის ძალზე ძნელია სტალინის მიერ პირადად ჩემს მიმართ გამოჩენილი თავაზიანობა და ყურადღება შევუთავსო მისი მასობრივი ლიკვიდაციების შემაძრწუნებელ სისასტიკეს. ისინი, ვისაც სტალინი პირადად არ გაუცვნია, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მაქვს ნანახი — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური ალღოს ნიჭი, მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რისი გამოჩენის უნარი მას ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ომის წლებში, ჩემის აზრით, ის უფრო უკეთ იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი, და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი, გარკვეული მხრით, ომის ლიდერებს შორის იგი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. ამავე დროს, ის, რასაკვირველია, სისხლისმსმელი ტირანიც იყო. უნდა ვაღიარო, რომ ისეთი გაუგებარი და წინააღმდეგობებით სავსე პიროვნება, როგორიც სტალინია, მე ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია და დაე, საბოლოო შეფასება მას ისტორიამ გამოუტანოს“. („სპეციალური დესპანი ჩერჩილთან და სტალინთან: 1941-1946)“.

იმ ღამეს ჩერჩილის საცხოვრებელ ნაწილში უნდა მეყარაულა. როგორც წინათ ვახსენე, ამ მიზნისთვის ოფიცერთა სპეციალური ჯგუფი გვყავდა გამოყოფილი და იმ დღეს რამდენიმე სხვა ოფიცერთან ერთად ჩემი რიგიც იყო. ჩერჩილი ვერავითარ ყარაულებს ვერ იტანდა და ჩვენ ძალზე ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით, რომ თვალში არ მოვხვედროდით, რაც არც ისე ადვილი იყო. ის წამდაუწუმ გამოდიოდა და შედიოდა თავის ოთახში. მაგრამ, როგორც იქნა, დაიძინა. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, რადგანაც იგი ძალზე ხმამაღლა ხვრინავდა. ჭეშმარიტად გიგანტური ხვრინვა იცოდა. მე დაახლოებით ღამის ორ საათზე შემცვალეს და ჩემს კაბინეტში წავედი, რომ იქ ტახტზე რამდენიმე საათით მაინც წამეძინა. საშინლად დატვირთული დღე მქონდა და ძალზე დაღლილი ვიყავი. მეორე დღე, 30 ნოემბერი კიდევ უფრო ძნელი, მაგრამ ძალიან საინტერესო დღე უნდა ყოფილიყო. ჩერჩილს 69 წელი უსრულდებოდა. მართლაც, იმ დღეს რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვან შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ჩერჩილისთვის საჩუქრების შოვნა. ფაქტიურად ეს წინა დღეს გაკეთდა. პოლკოვნიკ რაიანის აზრით, სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან საჩუქრები უნდა მოერთმია სპარსეთსა და ერაყში მყოფ ბრიტანეთის საბრძოლო ჯარებსა და იმ ორ პოლკს (2/11 სიკხებისა და ბუფების ნაწილებს), რომლებიც კონფერენციის დაცვისათვის სპეციალურად ჩამოიყვანეს თეირანში. რაიანმა თითოეულ ბატალიონს ამ მიზნით გარკვეული თანხა დაურიგა. ამასთან დაკავშირებით ერთი პატარა ინციდენტი მოხდა, რომელიც ძალზე კარგი მაჩვენებელი იყო ბრიტანეთის ჯარის, მისი ტრადიციების, მისი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ხასიათისა. ბუფების ინგლისის ძალზე ცნობილი და უძველესი ტრადიციების მქონე პოლკის ერთი ახალგაზრდა ოფიცერი გამოცხადდა რაიანთან და ძალზე ამაყად უარი თქვა საჩუქრის საყიდლად ფულის აღებაზე. მან განაცხადა, რომ მისი პოლკის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ფინანსური დახმარების გარეშეც ძალიან კარგად შეუძლიათ იყიდონ საჩუქარი. რასაკვირველია, ეს ძალზე უმნიშვნელო ინციდენტი იყო, მაგრამ დამამახსოვრდა, როგორც ინგლისელების თავმოყვარეობისა და ოდნავ ქედმაღლური თუ სნობური სიამაყის ღირსშესანიშნავი მაგალითი. ვერცერთი ერი ვერ მოიპოვებს პატივისცემას, თუ მას არა აქვს ამგვარი ეროვნული ქედმაღლობა და საკუთარ თავში, მის ძალასა და შესაძლებლობაში მტკიცე რწმენა.

ბოლოს, საჩუქრები იყიდეს. „Paic“-იდან მოიტანეს შესანიშნავი სპარსული მინიატურა სპილოს ძვლის ფირფიტაზე, რომელიც მავი ხავერდის სარჩულიან ინკრუსტირებულ სპილოს ძვლის ყუთში იდო. ის მართლაც ძალზე ლამაზი იყო.

30 ნოემბერს, ადრე დილით, ჩერჩილი საბჭოთა საელჩოში გაემართა და პირადი საუბარი ჰქონდა სტალინთან. საუბარს მხოლოდ და მხოლოდ მათი თარჯიმნები ესწრებოდნენ. მთელი კონფერენციის განმავლობაში სტალინი აშკარად არ მალავდა, რომ მას არ სჯეროდა, თუ ინგლისელები მართლა აპირებდნენ მეორე ფრონტის გახსნას ჩრდილოეთ საფრანგეთში. ის ეჭვობდა, რომ მათ ბალკანეთიდან შეტევა ერჩიათ. ჩერჩილი მოვიდა მასთან, რათა დაერწმუნებინა, რომ თვითონაც და ბრიტანეთის მთავრობაც ძალზე მოწადინებული არიან გახსნან მეორე ფრონტი საფრანგეთში, მაგრამ ამისთვის უზარმაზარი სიძნელეების გადალახვა იყო საჭირო და სტალინს მოთმინება უნდა გამოეჩინა. როდესაც ყველაფერი მზად იქნებოდა, დასავლეთის მოკავშირეები მთელი თავიანთი ძალებით შეუტევდნენ საერთო მტერს. არ ვიცი, შეძლო თუ არა ჩერჩილმა მისი დარწმუნება, მაგრამ სტალინმა ძალზე მტკიცედ განაცხადა, რომ წითელი არმიის შედეგები დამოკიდებული იყო ჩრდილო საფრანგეთში შეტევის წარმატებაზე, თუ 1944 წელს ევროპის ფრონტზე რაიმე დიდი ცვლილება არ მოხდება, თქვა მან, რუსებს ძალზე გაუჭირდებათ ომის გაგრძელებაო.

როგორც კი ჩერჩილი საბჭოთა საელჩოდან დაბრუნდა, მისი დაბადების დღის აღსანიშნავი ცერემონია დაიწყო. ჩვენ მას ველოდებოდით საჩუქრებითა და მისალოცი სიტყვებით. ცერემონიას ესწრებოდა სპეციალური საპატიო ყარაული, რომელიც თეირანში მყოფი სხვადასხვა სამხედრო ნაწილებისაგან გვყავდა შედგენილი. ისინი იყვნენ უბრალო ჯარისკაცები, რომლებსაც რითიმე ჰქონდათ თავი გამოჩენილი.

მისასალმებელი სიტყვებისა და საჩუქრების გადაცემის შემდეგ ჩერჩილი გაემართა საპატიო ყარაულის დასათვალიერებლად და აქ გამოიჩინა თავისი ხასიათის ყველაზე უსიამოვნო შტრიხი, სახელდობრ, სხვათა განწყობის სრული უგულებელყოფა. მან ჩაუარა ჯარისკაცთა რიგს და ხუთს თუ ექვსს ხელი ჩამოართვა, მერე კი უეცრად შემოტრიალდა და დანარჩენებისთვის, ვინც ელოდა რიგის მიახლოვებას მისთვის ხელის ჩამოსართმევად, აღარავითარი ყურადღება აღარ მიუქცევია, ის არც კი დაფიქრებულა იმაზე თუ რას ნიშნავდა ეს მათთვის. მომავალში ის ჯარისკაცები შეძლებდნენ ეთქვათ, რომ სიცოცხლეში ერთხელ მათ ხელი ჩამოართვეს თავიანთ ეროვნულ გმირს და ერთ-ერთ უდიდეს ადამიანთაგანს, რომელიც კი ოდესმე შობილა ინგლისის მიწაზე. მაგრამ ჩერჩილისათვის იმ ჯარისკაცებსა და მათ განწყობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. უნდა გითხრათ, რომ ამან ჩემზე და, ალბათ, ყველა სხვა დამსწრეზეც ძალზე მტკივნეული შთაბეჭდილება დატოვა. ვერავინ უარყოფს ჩერჩილის სიდიადეს, მაგრამ მას ჭეშმარიტად აკლდა თავმდაბლობა და უბრალო ადამიანური თანაგრძნობა. მისი ხასიათის ზოგიერთი მხარე და განსაკუთრებით ის, თუ როგორ ეპყრობოდა იგი თავის ხელქვეითებს, უაღრესად არასასიამოვნო იყო.

საპატიო ყარაულის დათვალიერების შემდეგ, ჩერჩილი გაემართა იქითკენ, სადაც საკმაოდ ბევრი ოფიცერი და საელჩოს თანამშრომლები იყვნენ შეკრებილნი და დაიწყო ლაპარაკი. ეს არ იყო წინასწარ მომზადებული სიტყვა. ის ლაპარაკობდა იმაზე, რაც თავში მოუვიდოდა. ძალზე უბრალო, მაგრამ მართლაც ამაღელვებელი სიტყვებით ილაპარაკა იმაზე თუ რის გამო იყო ეს ომი, რატომ უნდა გადაეტანა ინგლისს ყველა ეს სიძნელე და გაეღო უამრავი მსხვერპლი, რატომ იყო აუცილებელი გაგვემარჯვა და არ დაგვეშვა კაცობრიობის „ათასეული წლებით“ (ჰიტლერის გამოთქმა) დამონება. რატომ იყო საჭირო, რომ ამ გამარჯვების მოსაპოვებლად ბრიტანეთი დაკავშირებოდა ისეთ ქვეყნებს, ვისი პოლიტიკური სისტემა და იდეოლოგია ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ იმას, რაც ინგლისელებს სწამდათ (ეს აშკარად საბჭოთა კავშირს ეხებოდა). ამ დროს ჩერჩილი პირდაპირ ჩემს წინ გაჩერდა და, ვგონებ, ეს სიტყვები ჩემს გასაგონად იყო ნათქვამი. მან იცოდა, როგორი ანტისაბჭოთა და ანტირუსი ქართველი ვიყავი და ამით მეუბნებოდა, რომ მხოლოდ ომმა შექმნა საჭიროება დავკავშირებოდით საბჭოთა რეჟიმს, რომელიც მას ისევე სძულდა, როგორც ნებისმიერ სხვას. ალბათ, იმასაც მიმითითებდა, რომ თუმცა მე ინგლისელი ოფიცრის ფორმას ვატარებდი, უნდა შემეგნო შექმნილი მდგომარეობის აუცილებლობა და შევრიგებოდი ამ ფაქტს.

სხვათა შორის, სწორედ იმ დილით თუ წინა დღით, ელჩმა, კლარკ-კერმა ჩემი თანდასწრებით შესთავაზა ჩერჩილს, რომ მე სტალინისათვის წარვედგინე როგორც ერთადერთი ქართველი ოფიცერი ბრიტანეთის ჯარში. ელჩი ფიქრობდა, რომ შესაძლოა, ეს სტალინს ესიამოვნებოდა. მაგრამ ჩერჩილმა ეს წინადადება არ მიიღო. მან, ეტყობა, იფიქრა, რომ სტალინზე ეს ფაქტი სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას მოახდენდა.

ჩერჩილი [illegible] სცემდა და ლაპარაკობდა, რაც მართლაც რომ შესანიშნავი რამ იყო. იმდენი მაგნეტიზმი იყო ამ ადამიანში, ისეთი ნათლად შესამჩნევი ძალა და ღრმა რწმენა იმისა, რასაც ამბობდა, რომ შეუძლებელი იყო მის სიტყვებს მსმენელზე შთაბეჭდილება არ მოეხდინა და არ აეღელვებინა. ჩერჩილმა იცოდა, როგორ უნდა აღეფრთოვანებინა ხალხი. ეს იშვიათი ნიჭია, რომელიც ჭეშმარიტ ლიდერს უნდა ჰქონდეს და ისიც სწორედ ჭეშმარიტი ლიდერი იყო.

ცერემონიის შემდეგ ჩერჩილი საბჭოთა საელჩოში წავიდა, სადაც ამჯერად რუზველტი მასპინძლობდა და სადილს ჩერჩილისა და სტალინის გარდა მხოლოდ მათი თარჯიმნები ესწრებოდნენ. ამბობენ, რომ იქაც „ოვერლორდის“ დეტალებზე იყო ლაპარაკი და იგივე საკითხი იქნა განხილული პლენარულ სხდომაზე, რომელიც მოგვიანებით, ნაშუადღევის 4 საათზე ჩატარდა. ამ სხდომას ყველა სამხედრო მეთაური ესწრებოდა.

სწორედ იმ დღეს ჩერჩილის დაბადების დღე იყო და მან კონფერენციის ყველა დამსწრე მიიწვია ბანკეტზე, რომელიც ბრიტანეთის საელჩოში უნდა ჩატარებულიყო. თავის „რკალის შეკვრაში“ ჩერჩილი წერს: „ენკავედემ მოითხოვა შეემოწმებინათ ბრიტანეთის საელჩოს ყოველი კუნჭული, სტალინის მოსვლის წინ მათ ყოველი კარის, ყოველი ფარდის უკან შეიხედეს და მათმა გენერალმა დაახლოებით ორმოცდაათი შეიარაღებული რუსი პოლიციელი დააყენა ყველა კარისა და ფანჯრის წინ. ამერიკელი უშიშროების სამსახურის ხალხიც მრავლად იყო...“

ამ შემთხვევაზე ღირს ცოტა უფრო მეტ ხანს შეჩერება, მით უმეტეს, რომ პირადად მე უშუალო მოწმე და მონაწილე ვიყავი ყველაფერ იმისა, რაც მოხდა.

დაახლოებით 2 საათზე საბჭოთა გენერლების, სხვა რანგის ოფიცრების და სამოქალაქო პირების მთელი ჯგუფი შალვა წერეთლის წინამძღოლობით გამოცხადდა ბრიტანეთის საელჩოში. რასაკვირველია, ბერიაც მათ შორის იყო. მათ მოითხოვეს შეემოწმებინათ ის შენობა და მის გარშემო მდებარე ტერიტორია, სადაც ბანკეტი ეწყობოდა. ბრიტანეთის ელჩი და უშიშროების პასუხისმგებელი პირები უმალ დათანხმდნენ და მე დამავალეს გავყოლოდი მათ საინსპექციო ტურში. თან სერჟანტი და ორი მცირე რანგის ოფიცერი გავიყოლე, რათა საჭიროების შემთხვევაში მათთვის საჭირო ინსტრუქციები მიმეცა. ჩემი ვალდებულება იყო საბჭოელების ყველა მოთხოვნა შემესრულებინა, თუკი ისინი მთლად ზღვარს არ გადავიდოდნენ, რის შემთხვევაშიც გენერალ-ბრიგადირ დუგლასის ან პოლკოვნიკ რაიანის თანხმობა უნდა მიმეღო.

საელჩოს მთავარი შენობა დიდი დახლართული შენობა იყო. უამრავი ოთახებით, გადასასვლელებით, დერეფნებით, კიბეებითა და კარ-ფანჯრებით, რომლებიც როგორც გარეთა, ასევე შიგნითა კედლებში იყო დატანებული, მთავარ სასადილოს ფართო, დიდებული, ძველებური სტილით მორთული დარბაზი ეკავა. მას საკმაოდ დიდი წინა ოთახი ჰქონდა, საიდანაც სამი კარი გადიოდა. სასადილო დარბაზსა და წინა ოთახს შორისაც ორმაგი კარი იყო.

პირველ ყოვლისა, ბერიამ სასადილო ოთახის დათვალიერება მოისურვა და მაშინვე მოითხოვა, რომ წინა ოთახის სამი კარიდან ორი არა მარტო ჩაეკეტათ, არამედ შიგნიდან აეჭედათ და რაიმეთი დაეფარათ. თვით დარბაზით ბერია კმაყოფილი დარჩა. თუმცა, მას რამდენიმე ფანჯარა ჰქონდა, ისინი მიწიდან საკმაოდ მაღლა იყო გან-

(გაგრძელება მე-12 გვ.)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 37-38.

(გაგრძელება)

ლაგებული და ბერია აპირებდა გარეთ ფანჯრებთან ბევრი გუშაგი დაეყენებინა. მიუხედავად ამისა, მან მოითხოვა, რომ ფანჯრები ან დაეკეტათ, ან მათზე ფარდები ჩამოეფარებინათ.

ამის შემდეგ მთელი შენობის დათვალიერება დაიწყო და მე პირდაპირ გავვოცდი იმით, თუ რა გულდასმით ჩაატარა მან ეს ოპერაცია. ბერია და მისი ხალხი მიდგნენ და ყველა ოთახი, ყველა კარი და ფანჯარა დეტალურად შეამოწმეს, შემდეგ რამდენიმე თავიანთი კაცი გაგზავნეს სახურავის შესამოწმებლად და მე მათთვის კიბე უნდა მომეტანინებინა. პირველი შემოვლის მერე ყველანი დაბრუნდნენ, რომ ისევ შეემოწმებინათ ზოგიერთი ოთახი. განსაკუთრებული ყურადღებით დაათვალიერეს ის კაბინეტები, რომლებიც მისალები სალონისკენ მიმავალი დერეფნის გასწვრივ მდებარეობდა. მალე სტალინი სწორედ ამ დერეფნით გაივლიდა, რომ მისულიყო მისაღებ სალონში, სადაც სტუმრები სადილის წინ მცირე სასმელისთვის უნდა შეგროვილიყვნენ.

ბერიამ გამოგვიცხადა, რომ სადილის წინ სტუმრებს რამდენიმე საბჭოთა ოფიცერი შეუერთდებოდა, მაგრამ ისინი სასადილო დარბაზში აღარ შევიდოდნენ.

ინსპექციის დროს ბერია ჩერდებოდა ყოველი კარის, ფანჯრის, გასასვლელის ან კიბის წინ და იტყოდა ხოლმე: „ეს კარი უნდა დაიკეტოს და შეიარაღებული საბჭოთა გუშაგი დადგეს ორივე მხარეს“, ან „ეს ფანჯარა უნდა აიჭედოს და აქაც გუშაგი უნდა იქნეს დაყენებული“, ან „ამ ოთახში და გასასვლელში ჩვენი ხალხი დადგება ავტომატებით“. ზოგჯერ ვინმე სხვა საბჭოთა ოფიცერი წამოაყენებდა ხოლმე რაიმე წინადადებას. ბოლოს მე პროტესტი განვაცხადე და ძალიან ზრდილობიანად ვუთხარი ბერიას, რომ თუ მისი ყველა წინადადება, ან უფრო სწორედ ბრძანება შესრულდებოდა, საელჩო შეიარაღებულ ბანაკს დაემსგავსებოდა. ის ძალიან გაბრაზდა და ქართულად დაახლოებით შემდეგი სიტყვებით მიპასუხა: „მერე რა! მე არ მენაღვლება რას დაემსგავსება, თუკი უხიფათო იქნება“.

ამ ინსპექციამ თითქმის ორი საათი გასტანა და საბოლოოდ, რაც საკვირველია, ყველაფერი გაკეთდა, ისე, როგორც ბერიას სურდა. ამასობაში ჩვენ უნდა ავჩქარებულიყავით, რომ დროზე მოგვესწრო ყველაფერი. მე ჩემი სერჟანტი გავგზავნე პოლკოვნიკ რაიანთან, რათა მოეხსენებინა ყველაფერი და წამოეყვანა დურგლები ფანჯრებისა და კარებების ასაჭედად.

ერთი რამ, რაც მე მოვითხოვე და ბერიაც, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც დავითანხმე, იყო ის, რომ ყველგან, სადაც საბჭოთა გუშაგი იქნებოდა დაყენებული, ინგლისელი გუშაგიც უნდა მდგარიყო. იმასაც მივაღწიე, რომ როგორც კი გუშაგები ადგილებზე იქნებოდნენ, საელჩოს შენობაში მხოლოდ წერეთელს, ნაჭყებიას და იმ საბჭოთა ოფიცრებს შეეძლებოდათ შემოსვლა, რომლებიც სტუმრად იყვნენ დაპატიჟებული,

როგორც იქნა, დავიშალეთ და მე წავედი, რომ ცოტა რამ მეჭამა და, თუ შევძლებდი, წამეძინა კიდეც. წინ გრძელი და მომქანცველი საღამო მელოდა, მაგრამ ჭერ ექვსის ნახევარიც არ იყო, რომ უკანვე დამიძახეს, რადგან საბჭოთა გუშაგები უკვე მოსულიყვნენ. მათ კრუგლოვი მეთაურობდა (ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, ის კრუგლოვი უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი გვარი დანამდვილებით ვერ გავიგე). ეს შევატყობინე გენერალ-ბრიგადირ დუგლასს, ვთხოვე, ინგლისელი გუშაგები გამოეგზავნა, და მთავარი შენობისკენ გავემართე, საბჭოელები უკვე მელოდებოდნენ, მაგრამ ინგლისელი ჯარისკაცების მოსვლამდე შენობაში არ შესულან. როდესაც ყველა მოგროვდა, წავედით და გუშაგები შენობის შიდა და გარეთ მიჩენილ ადგილებზე გავანაწილეთ. ამასობაში დურგლებმა დაამთავრეს თავიანთი სამუშაო და კრუგლოვიც კმაყოფილი დარჩა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მე საველე ფორმაში ვიყავი, მაგრამ ეხლა კი შემეძლო ჩემს ბინაში წავსულიყავი, გამეპარსა, დამებანა და საპარადო ფორმა გადამეცვა. დაახლოებით რვის ნახევარზე საელჩოში დავბრუნდი, მალე სტუმრებმაც დაიწყეს მოგროვება. ჯერ ამერიკელების რამდენიმე ჯგუფი (გამოჩნდა, მოგვიანებით საბჭოელებიც მოვიდნენ.

წრიული მისასვლელი გზიდან მთავარი შენობის შესასვლელამდე ფართო კიბე ადიოდა. ჩერჩილი ამ კიბის თავში იდგა და სტუმრებს ესალმებოდა, მე კი კიბის დაბლითა მხარეს, მარცხნივ ვიდექი. რუზველტი სხვა შემოსასვლელიდან შემოვიდა. ის სავარძელში იჯდა და მისთვის სპეციალური ასასვლელი იყო მომზადებული.

დაახლოებით რვა საათზე თუ ცოტა უფრო მოგვიანებით, ორი საბჭოთა მანქანით მოვიდა 12 კაცი, სტალინის პირადი დაცვის პირველი ცვლა და აგრეთვე ცალკე მანქანა, რომელშიც ისხდნენ წერეთელი, ნაჭყებია და კიდევ ერთი ქართველი ოფიცერი; წერეთელს ის ჩემთვის არ წარუდგენია, მაგრამ ვიცოდი, რომ ქართველი იყო, რადგან ერთმანეთში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. სამივე გადმოვიდა მანქანიდან და წერეთელმა მისალმების შემდეგ მითხრა, რომ ეს ოფიცერი კიბესთან, ჩემს მოპირდაპირე მხარეს დადგებოდა, დანარჩენები კი არ გადმოსულან მანქანებიდან, რომლებიც წრიული შემოსასვლელის იქითა მხარეს იყო დაყენებული, რამდენადაც მახსოვს, ნაჭყებია მათთან დარჩა.

ძალიან მალე მოვიდნენ მოლოტოვი, ვოროშილოვი და რამდენიმე სხვა საბჭოელი და ბოლოს თვით სტალინიც, რომელსაც ორი სხვა მანქანა მოჰყვებოდა მისი პირადი დაცვის კიდევ 10-12 კაცით. რამდენადაც შემიძლია ვთქვა, ყველანი ქართველები იყვნენ, რადგან მათ შორის მხოლოდ ქართული ლაპარაკი მესმოდა. იხეთი ამაზრზენი შესახედაობის ხალხი, როგორც ისინი იყვნენ, ჩემს სიცოცხლეში არ მენახა, ყოველი მათგანი მკვლელს ჰგავდა და, ალბათ, იყვნენ კიდეც მკვლელები.

სტალინი გადმოვიდა მანქანიდან და გაემართა პირდაპირ კიბეებისაკენ, რომლის ზემოთა საფეხურზე მას ჩერჩილი ელოდებოდა. ამ დროს წერეთელი, რომელმაც სტალინს მანქანის კარი გაუღო, შემობრუნდა და ჩემს გვერდზე დადგა. მე იხეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იგი მე მითვალთვალებდა. როდესაც ბერია საელჩოს დასათვალიერებლად იყო მოსული, შევეკითხე თუ შეიძლებოდა სტალინისთვის (მარშლისთვის-მეთქი, ვუთხარი) წარვედგინე. მან ჩემი კითხვა უპასუხოდ დატოვა. არც ჰო უთქვამს, არც არა, უბრალოდ, არ მიპასუხა. შესაძლოა, წერეთელმა იფიქრა, რომ მე შევეცდებოდი სტალინს დავლაპარაკებოდი ან რაიმე უარესიც ჩამედინა. ეტყობოდა, ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ერთი ნაბიჯიც რომ გადამედგა სტალინისაკენ, იქვე დამახლიდა ტყვიას. მთელი კონფერენციის განმავლობაში არც ქართველები და არც საერთოდ საბჭოელები ერთი წუთითაც კი არ მენდობოდნენ.

იმ საღამოს სტალინი ძალზე შთამბეჭდავად და ლამაზადაც კი გამოიყურებოდა. მას მარშლის ფორმის ზემოდან ეცვა გრძელი სამხედრო ფარაჯა და ხელი ნამდვილი ნაპოლეონური ჟესტით ჰქონდა ფარაჯაში გაჩრილი. ჩერჩილი და სტალინი ერთმანეთს ძალზე გულთბილად მიესალმნენ, ხელი ჩამოართვეს და შენობაში შევიდნენ. წერეთელი და მე შევყევით, ნაჭყებია კი გარეთ დარჩა, ალბათ, რაიმე უკანასკნელი ინსტრუქცია რომ მიეცა თავისი ხალხისთვის.

ბანკეტზე დაახლოებით ოცდაათი სტუმარი იქნებოდა. მთავრობის პირები, მარშლები, გენერლები, ადმირალები, ელჩები — დასავლეთისა და საბჭოეთის თითქმის ყველა გამოჩენილი ლიდერი. მათ შორის იყო ერთი ქართველი — სტალინი-ჯუღაშვილი. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, ის იქ ცენტრალური ფიგურა იყო.

გარდა ამისა, უაღრესად საინტერესო, ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი იყო ის ფაქტიც, რომ მთელ ამ ელიტას იცავდა სამი ქართველი: გენერლები წერეთელი და ნაჭყებია საბჭოთა მხრიდან და მე, კაპიტანი (როგორც მაშინ ვიყავი) მერაბ ქვიტაშვილი დასავლეთის მოკავშირეთა მხრიდან. წინა ოთახში მხოლოდ ორი კაცი ვიყავით, ორივე ქართველი — წერეთელი და მე, რომლებსაც დროდადრო მესამე ქართველი გენერალი ნაჭყებია შემოგვიერთდებოდა ხოლმე. თუმცა ახლა, როდესაც ამ ამბებს ვიხსენებ, ასე მგონია, ვცდები და ის ნაჭყებია კი არა, რომელიღაც სხვა ქართველი ოფიცერი უნდა ყოფილიყო, რომლის გვარი ჩემთვის არ უთქვამთ. ნამდვილად ასე იყო და ნაჭყებია ან არასოდეს არ შემოსულა ოთახში, ან მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ, რათა რაღაცა ეთქვა წერეთლისათვის.

ეს სრულიად მცირე და უმნიშვნელო ეპიზოდი, მაგრამ ისტორიისათვის მაინც საინტერესო და ქართველებისათვის საამაყო ფაქტი უნდა იყოს. პირადად ჩემთვის, ეს იყო აგრეთვე კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ როგორ განსაცვიფრებლად მენდობოდნენ მე, უცხოელს, ინგლისელები. მთელი იმ საათების განმავლობაში, რაც სადილი გრძელდებოდა, წერეთელს, ნაჭყებიას და მე ხელთ გვეპყრა მთელი მსოფლიოს ბედი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საელჩოში შესვლის და გამოსვლის დროს მე არასოდეს არ მჩხრეკავდნენ და არ გამიჭირდებოდა შემეტანა და ამეფეთქებინა რაიმე ძლიერი ყუმბარა, რომელიც თუ ყველას არა, დამსწრეთა უმრავლესობას მაინც დახოცავდა. იმ ორ ქართველს, წერეთელსა და ნაჭყებიასაც, შეეძლოთ იგივე გაეკეთებინათ. ეს რომ მომხდარიყო, ძნელი წარმოსადგენია, რა მიმართულება მიეცემოდა იმ ომსა და მთელი მსოფლიოს მომავალსაც.

სადილმა შესანიშნავად ჩაიარა. ჩანდა, რომ ჩერჩილი ძალზე კარგ ფორმაში გრძნობდა თავს და ყველა კმაყოფილი იყო. სტუმრებს შორის მხოლოდ ერთი ქალი, ჩერჩილის ქალიშვილი, ლედი სარა ჩერჩილ ოლივერი იმყოფებოდა. იგი და მისი ძმა რანდოლფი დაპატიჟებული არ იყვნენ, მაგრამ მაინც მოვიდნენ, თუმცა, საკმაოდ მოგვიანებით, როდესაც ლედი სარა სტალინს წარუდგინეს, მან ძალზე გალანტურად აკოცა ხელზე, რამაც საკმაოდ გამაკვირვა.

ბევრი სადღეგრძელო დაილია. ერთ-ერთი მათგანის დროს ჩერჩილმა თქვა, რომ სტალინი ჭეშმარიტად არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებათაგანი იყო და რომ იგი სავსებით იმსახურებდა „დიადი სტალინის“ სახელს. სტალინმა უპასუხა, რომ „დიადის“ ტიტული მას კი არა, რუს ხალხს ერგებოდა და რომ ასეთი ერის მეთაურობა ძნელი არ იყო. იმ დღეს სტალინის თარჯიმანი ბერეჟკოვი იყო და არა პავლოვი და ამ უკანასკნელივით კარგად ვერ თარგმნიდა.

სადილის დროს ჩერჩილმა რამდენჯერმე ჩამოუარა მაგიდას, რომ სტუმრებისთვის ჰიქა მიეპასუხებინა. სადილის დასასრულს, თუ მის შემდეგ, ზუსტად აღარ მახსოვს, ისიც და სხვა სტუმრებიც რამდენჯერმე გამოვიდნენ წინა ოთახში. როდესაც პრემიერ-მინისტრი პირველად გამოვიდა და დამინახა, განკარგულება გასცა შამპანური და ჭიქები მოეტანათ და მე და წერეთელს სასმელი შემოგვთავაზა. მე მას წერეთელი წარვუდგინე და ვუთხარი, რომ ისიც ქართველი იყო. ამაზე ჩერჩილმა გაიღიმა და გვითხრა, ჩანს, ჩვენ აქ ქართველებით ვართ გარშემორტყმულნიო. ჰარი ჰოპკინსმა, რომელიც იქვე იდგა, გაიცინა და თქვა, ქართველები (ანუ ჯორჯიელები) ამერიკელებს შორისაც არიანო. ის, რასაკვირველია, ჯორჯიის შტატს გულისხმობდა. ჩერჩილი, ჰოპკინსი და სხვა რამდენიმე სტუმარი კარგა ხანს გველაპარაკებოდნენ, წერეთელსა და მე გვეკითხებოდნენ საქართველოსა და ქართველების შესახებ. სწორედ მაშინ, ჩერჩილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ჩემი მემორანდუმი, რომელიც ადრე მაქვს ნახსენები. „მაშ, თქვენ თქვენი ძველი სამეფოს აღდგენა გსურთ? ის არ გყოფნით, რომ ქართველი მთელი რუსეთის იმპერიას განაგებს?“ — მითხრა მან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# „თავისუფლების“ და „ამერიკის ხმის“ რადიოგადაცემებიდან

**18-24 სექტემბერი**

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში სომხეთს არ ექნება საზღვარი საბჭოთა კავშირთან.

თბილისში გრძელდება აქცია მთავრობის სასახლესთან. საქართველოს უზენაესმა საბჭომ არ სცნო სამხრეთ ოსეთის ავტონომიის მიერ მიღებული დადგენილება.

თავისი საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის მანძილზე ედუარდ შევარდნაძე, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთულ ვითარებაში აღმოჩნდა ფხენიანში, ჩრდილო კორეაში, კიმ ირ სენთან ლაპარაკის დროს. შესაძლოა ჩრდილო კორეისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა შეწყდეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედუარდ შევარდნაძე ილაპარაკებს საჰაერო ემბარგოზე ერაყის წინააღმდეგ.

იუგოსლავიაში ყალიბდება მრავალპარტიული სისტემა.

კვირას, მოსკოვში, ხალხმრავალ მიტინგზე გავრილ პოპოვი მოუწოდებდა ნ. რიჟკოვის გადადგომაზე. ხალხში ერთი კაცი იდგა და თავზე ჩაჩუჩს იდებდა, წელზე კი — ნამგალს. ამით მიუთითებდა, თუ რა დანაშაული ჩაიდინა კომუნისტურმა პარტიამ ხალხის წინაშე. ერთნი კომუნისტური პარტიის გადადგომასაც მოითხოვდნენ. შეძახილები ნ. რიჟკოვზე: „გადადგეს“, „სირცხვილი“. მთავრობაში არავინ ეგულებათ ისეთი, ვინც ამ პერიოდში შეძლებდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის ეხელმძღვანელა. შატალინის გეგმა ძალაში შევა ოქტომბრიდან, გორბაჩოვმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ნ. რიჟკოვი იმით, რომ მიიღო შატალინის გეგმა. როგორც ალ. სოლჟენიცინი ამბობს თავის ცნობილ წერილში რუსეთის შესახებ (გამოქვეყნდა „ინდიპენდენტში“), კომუნიზმს ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაუღუპია. ამ წერილის გამოქვეყნება მას სურდა მოსკოვის გაზეთებშიც, მაგრამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ქაღალდი ჰყირს, ამის საპასუხოდ „კომსომოლსკაია პრავდამ“ შეუთვალა, რომ თავის ფურცლებზე ადგილს დაუთმობს და დაბეჭდავს მას. სოლჟენიცინთან შედარებით, გორბაჩოვი ოპორტუნისტია, პლურალიზმი და გარდაქმნა მან იმიტომ წამოიწყო, რომ იძულებული იყო. საერთოდ, ბევრ რამეს იგი იძულებით აკეთებს, სხვა გზა არა აქვს.

კოოპერატივები და იჯარა ახლებური ექსპლოატაციაა ხალხისა, ეს ახალი ფორმებია ხალხის ძარცვის, ბიუროკრატიზმისა და ადმინისტრაციისა, სოლჟენიცინი თავის წერილში იმასაც ამბობს, რომ რუსეთს არ სჭირდებოდა ბევრი რამის გადაღება ევროპისაგან, ლაპარაკობს ორ ილიჩზე: ილიჩ პირველზე — ლენინზე და ილიჩ მეორეზე — ბრეჟნევზე. სოლჟენიცინი არაფერს ამბობს იმაზე, თუ როდის დაბრუნდება რუსეთში, ან დაბრუნდება თუ არა საერთოდ. — ჯერ სამშობლოს გამყიდველის ბრალდება უნდა მომიხსნანო, ამბობს იგი. თუ იგი რუსეთში წავა, ეს ნიშნავს, რომ — სამუდამოდ.

პარასკევს ბ. ელცინი ავტოკატასტროფაში მოჰყვა, დაუშავდა თავი და მარჯვენა თეძო. ახლა იგი თავს კარგად გრძნობს.

რა არის დღეს საბჭოთა კავშირი? ეს არის მომაკვდავი სტრუქტურა, მაგრამ ამ მომაკვდავმა სტრუქტურამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ცალკეულ რესპუბლიკებს. ასე თუ ისე, დღეს იგი კიდევ არსებობს და ეს ფაქტი მხედველობაშია მისაღები.

როგორც „ფაინენშლ ტაიმზის“ მიმომხილველი ანტონი რობერტსონი ამბობს, წმინდა ადმინისტრაციული ხაზით გაკეთებული საქმე ხალხს კარგს არაფერს არ მოუტანს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, როცა ასეთი ეკონომიკისთვის სოციალური ბაზა არ არსებობს ქვეყანაში, სახიფათოა, ბაზარი ხალხს თავს არ უნდა მოახვიონ (ასეთი ბაზარი ბაზარი არ იქნება), საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თავისთავად უნდა მოხდეს. გორბაჩოვის სათავეში მოქცევის პირველი დღიდანვე გამწვავდა ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში. ყველა თავისებურად ცდილობს, — ანდროპოვი წარმოება-დაწესებულებებში დისციპლინის დამყარებით ცდილობდა ეშველა ეკონომიკისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩოვმა გამოცდილი მეცნიერები და ეკონომისტები შემოიკრიბა, ეკონომიკური კრიზისი მაინც გამწვავდა. ცხადია, კეთილშობილური საქმეა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თუ კონვერსიული ვალუტის საქმე, მაგრამ მოახერხებს ამას სსრკ დღეს? შეიძლება შეინარჩუნოს მან პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურა?

საინტერესოა რომ ამ ოთხი წლის წინათ არც სახაროვისა და არც ანატოლი მარჩენკოს (როცა იგი ციხეში კვდებოდა) დასაცავად არავინ იღებდა ხმას.

პარტია გადაიქცევა სახელმწიფო სტრუქტურის ელემენტად, — იგი უფრო მეტად იქნება გადაწყვეტილებების პარტია. მხოლოდ არსებული ფორმის უარყოფა და წინა ლიდერების კრიტიკა საქმეს არ უშველის. მოსალოდნელია თვითგანადგურება, ქვეყანას კატასტროფა ელის, არჩევნების შემდეგ მაინც მაფიაზე რაიმე გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო. როგორც გიორგი დანელია აღნიშნავს, ზნეობრიობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა ცხოვრების არსს, არსებობის არსსა და საკუთარ ღირსებას აცნობიერებ...

გაისმის ხმები სამხედრო გადატრიალებასა და სამოქალაქო ომზე სსრკ-ში. სამხედრო გადატრიალება სპონტანურად შეიძლება მოხდეს. ან: გადატრიალება კი არა, — ჩარევა, რაც ისევ „პერესტროიკის“ გადასარჩენად მოხდება.

„ბარიერების ზემოთ“ — „თავისუფლების“ ამ კულტურულ-პოლიტიკურ ჟურნალს აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი. შევეხებით რამდენიმე წერილს ამ ჟურნალიდან. ალექსი კოზლოვი, ამერიკაში მცხოვრები საბჭოთა კომპოზიტორი ახალ მუსიკაზე წერს (ახლა ეს მუსიკა მოედო ამერიკასა და ევროპას — მშვიდი, თითქოს კოსმიური). იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირში ჯერ არ შეუღწევია მას. როკ მუსიკაში კი, შეიძლება ითქვას, იქ თავისი სკოლაც კი შექმნეს. ახალგაზრდებს არა აქვთ თავიანთი სამყარო მუსიკაში (კლასიკა, რა თქმა უნდა, ისევ არის, მაგრამ საკონცერტო დარბაზები ნახევრად ცარიელია). აკრძალვამ თავის დროზე როკ მუსიკოსებისთვის ცუდი შედეგი გამოიღო და ახლა სსრკ-ში ერთგვარი ნეპია მუსიკაში. ეს ნამდვილ საბჭოთა მუსიკად იქცა, რომელიც ასახავს ყველაზე უფრო მასობრივ კულტურას. რა თქმა უნდა, ბრძოლა ამასთან არ შეიძლება, უბრალოდ, შენ უნდა შექმნა შენი სამყარო და მიიზიდო ისინი, ვისაც დააინტერესებს „ნიუ ეიჯი“.

ჟურნალში სპორტულ მიმოხილვებზე ლაპარაკობს ვ. ასტაფიევი, იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მიმოხილვები საინტერესო არ არის, მაშინ როცა ამერიკულ მიმოხილვებს ისინიც კი ინტერესით კითხულობენ, ვისაც სპორტი არ აინტერესებთ.

ლენინგრადელმა ალექსანდრ ნევზოროვმა შექმნა ფილმი „არეული დრო“. ფილმი ერთგვარი წინასწარმეტყველებაა: სამი წლის მანძილზე იქნება ანარქია, მერე — ნადირობა იმათზე, ვინც კარგად გამოიყენა თავისთვის ეს დრო. 2003 წელს კი კომუნისტური პარტია უკანონოდ გამოცხადდება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში პატივისცემას გამოთქვამენ სოლჟენიცინის მიმართ, აქ ძალიან აფასებენ მის შეხედულებებს ეროვნულ ურთიერთობებზე.

ნორვეგიის საზღვარზე რადიაქტიულ ნარჩენებს მარხავს საბჭოთა კავშირი — მურმანსკსა და საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის საზღვარზე. ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის.

# მაშ, როდემდე?

## კიდევ ერთხელ ცნობილი სინდრომის შესახებ

ძველი ბერძენი მწერალი თეოფრასტე, რომელიც შესანიშნავად იცნობდა ადამიანური ხასიათის ნიშნებს, ამბობდა: ხიავით შეპყრობილი ადამიანისათვის ავსიტყვაობა ნიშნავს სიტყვის თავისუფლებასაც, დემოკრატიასაც და დამოუკიდებლობასაცო. დიახ, ზუსტად ასე წერს, — სიტყვასიტყვით.

სასაცილოა, თითქოს დღესაა დაწერილი ეს სიტყვები, თითქოს უბადალებული გარდაქმნისა და დემოკრატიის ლოზუნგებით გაბეზრებულ ჩვენს თანამედროვეს ამოეთქვას გულისნადები.

თეოფრასტესაც სოციალურ-პოლიტიკურ რყევათა პერიოდში მოუწია ცხოვრება და იქნებ ამიტომაცაა მისი სიტყვები ჩვენთვის ძალზე გასაგები.

მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, ამ მსგავსებაში დიდი სხვაობაცაა.

ამბობენ, ადამიანური ბუნება არ იცვლებაო. დასტურ, ასეა, მაგრამ ეპოქები ხომ ნამდვილად იცვლებიან.

სწორედ 'ეპოქა გახლავთ ის, რაც განმასხვავებელ დაღს ასვამს ავსიტყვა ადამიანებს.

თუკი, ძველი წელთაღრიცხვის მე-3-4 საუკუნეების საბერძნეთში ავსიტყვა ერთი უბრალო გულბოროტი კაცი იყო, დღეს ჩვენთან, საქართველოში, ის იმპერიული ნომენკლატურის ერთ-ერთ სანდო ფიგურად იქცა.

ჩვენებური ავსიტყვა „მოღვაწეები" თავს ჭეშმარიტების ბურჯებს უწოდებენ და ერთადერთ რელიგიად იმპერიულ კომუნიზმს აღიარებენ, ვინაიდან თავიანთი არსებობისა და „საქმის" შეოხად მხოლოდ იმპერიის ცენტრი ეგულებათ.

ხალხში მათ უბრალოდ მაბეზღრებს, დემაგოგებს და შანტაჟისტებს უწოდებენ, მაგრამ ამ ადამიანებს, ცხადია, ეს არ აშინებთ, — კრემლის სალოცავის ყმები არიან. და სწამთ მფარველი ძალა.

რამდენიმე წლის წინათ, როცა კრემლზე მტკიცედ ვიყავით მიჯაჭვული, ისინი საქართველოს ფარგლებშიც კარგად ისრულებდნენ გულისწადილს, მაგრამ როგორც კი თავისუფლების ნიშნები გამოჩნდა და დატყვევებული ერი აზვირთდა, ფეხაკრეფით გაიპარნენ მოსკოვში. იქიდან კი მართლაც გარდანქეშნობენ.

ეს გარდაქმნის გარდანქეშნები შემთხვევას არ უშვებენ საქართველოს, ქართველების დასაბეზღებლად. როგორც წესია, ამ საქმის საფასურად მარტო თბილ სიტყვებს არ სჯერდებიან, პრაქტიკულ შეწევნასაც ითხოვენ დიდი ბოსებისაგან, რათა იმპერიული მუშტით გაუსწორდნენ „ურჩ" თანამემამულეებს.

ისინი ცოტანი არ არიან. მათი რიცხვი, როგორც იტყვიან, ლეგიონია. ბოლო სამი წლის მანძილზე რამდენიმე მათგანის პორტრეტი გაიცნეს „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებმა, რომლებიც უთუოდ დარწმუნდებოდნენ, რომ ეს ავსიტყვა „ქართველები" დღეს არ შობილან. ისინი დიდი ხნის წინათ, რევოლუციის სამოდან გამოვიდნენ. მათ გადათელეს თავისუფალი საქართველო, მათ იზეიმეს 1924 წლის აჯანყების ჩაქრობა, ოცდაჩვიდმეტში ისინი ეფარებოდნენ კაენის აჩრდილს, ისინი აზანზარებდნენ საზოგადოებას „ჯაშუშისა" და „მავნებლის" იარლიყებით, ისინი უსაფრდებოდნენ ყოველ მართალ სიტყვას... მათი შიშით იყო, რომ, აგერ, უკანასკნელ წლებამდე პირში წყალი გვქონდა ჩაგუბებული...

დღეს კი მათ აშკარად უპირთ. დემოკრატიის ატმოსფეროში რომ ხუთვა დაეწყოთ, სულის მოსაბრუნებლად კლასიკური რუსული ბიუროკრატიის მისუსტებულ ნიავს გადაუგდეს ყელი.

მაგრამ მოგეხსენებათ, — „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა"-ო. ჰოდა, ვიდრე „სული" და „გული" შერჩენიათ, ავ სიტყვას არ დაეხსნებიან.

ავმესიტყვეთა წერილებს, დეპეშებს, ტელეფონის ზარსა თუ ღია ავდასხმებს „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია მიჩვეულია. არასოდეს გაგვკვირვებია ასეთ ადამიანთა მუქარა, ბეზღობა და ლანძღვა, მაგრამ, ამას წინათ რუსეთიდან ისეთი დეპეშა მივიღეთ, 'მკვდარსაც კი ფეხებს გააქნევინებს.

აი, ეს დეპეშა:

Уведомление телеграфом

Тбилиси 5, площадь Гудиашвили 2. Редакция газеты Литературули Сакартвело, главному редактору товарищу Джавелидзе

Вы играете с огнём пытаясь защитить жулика и негодяя Джахия и этим ставите под удар не только вашу газету но и первого секретаря ЦК Компартии Грузии товарища Гумбаридзе и писателя Гурама Панджикидзе. Я располагаю новыми материалами о преступных делах первого секретаря хобского райкома партии и передам их лично президенту СССР. Так же московским журналистам. а вам советую прервать всякие дружеские отношения с Гогелия и не забывайте про старые долги, которые я вам обязательно возвращу

Клара Абрамия, журналистка, Новоалексеевская

მსგავს შემთხვევაში, იტყვიან, „შარო, საიდან მოდიხარო", მაგრამ ეს შემთხვევაც არ არის. ყოველ შემთხვევაში, სხვანაირი შემთხვევაა და, აი, რატომ — ნამდვილად წითელმა მამონამ დაუბნელა გონება ჩვენს „მოსკოველ" ჟურნალისტ ქალბატონ კლარა აბრამიას, თორემ ხობის რაიკომის პირველი მდივანი რაულ ჯახია კი არ დაუცავს „ლიტერატურულ საქართველოს", არამედ მკაცრად გააკრიტიკა წალენჯიხიდან გატაცებული ზარების საქმის გამო; შემდეგ დაბეჭდა მისი საპასუხო წერილი, მაგრამ კვლავ არ გაიზიარა ავტორის პოზიცია, რაც ნათლად იყო გამჟღავნებული სარედაქციო მინაწერში.

როგორ აყენებს „ლიტერატურული საქართველო" „პოდ უდარ" კომპარტიის ცკ-ის მდივანს და პატივცემულ მწერალს, მოგვიტევეთ, ნამდვილად არ ვიცით.

სამაგიეროდ ვიცით, თუ რა მოთმინებით იტანდა გაზეთ „თბილისის" ყოფილი რედაქტორი არჩილ გოგელია კლარა აბრამიას გაუთავებელ კაპრიზებს.

ცხადია, იმასაც ვხვდებით, რაზე მიგვანიშნებს პატივცემული ჟურნალისტი, როცა ქალისათვის შეუფერებელი რიხით ახსენებს „ლიჩნო პრეზიდენტსა" და მოსკოველ ჟურნალისტებს. ამის შესახებ ხომ ზემოთ მოგახსენეთ.

შეიძლებოდა ეს მართლაც გაუგებარი შემთხვევა ჩვეულებრივ შემთხვევად მიგვეჩნია და ყური არ გვეგდო, მაგრამ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნია, ამ შემთხვევის ამოხსნა თუ არა, გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა მაინც ეცადა. ამგვარად, მიმავლინეს ხობში, რათა ადგილზე გამერკვია, საიდან იღებს სათავეს კლარა აბრამიას „საგოდებელი".

1988 წლის ბოლოს, ხობის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს რაულ ჯახია. ამ ამბავს მხურვალედ მიესალმა... კლარა აბრამია. დიახ, კ. აბრამია. მან მისალოცი უსტარი და „პაწია სათხოვარი" აახლა რაიკომის ახალ მდივანს:

„ბამარჯობათ რაულ!

მე იმ დღეს, როგორც ჩანს, ენამ მიყივლა... როგორ შეეგუეთ ახალ სიტუაციას თქვენს არც თუ დაწყობილ რაიონში?.. ყველას და ყველაფერს მოევლება.

...სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, გულადის ამბებში არ ვერეოდი, ახლა ამის უფლება არა მაქვს, მითუმეტეს, სულ აშკარად ვხედავ, რომ მართალია ყველგან და ყველაფერში.

ძალიან გთხოვ, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, დააბრუნოთ თავის სამუშაო ადგილას, ეს სხვა რომ არაფერი, თავმოყვარეობის ამბავია... რაც შეეხება ჯანიკო ცხადაიას, მისი სურვილები ჩემთვის არაფერს ნიშნავს, ეყოფა, რაც ძარცვა ქვეყანა, გაუმაძღრობის გზა იქითკენ მიდის, საიდანაც ადვილად ვერ ბრუნდებიან. ნუ გამომიყვანს მდგომარეობიდან, თორემ ხომ იცის, ვერავინ და ვერაფერი გამაჩერებს... თუ კი გულადის არა აქვს ქარხანაში დაბრუნების სურვილი, მაშინ, ეჭვიც არ მეპარება, თქვენ მას მოუნახავთ შესაფერის სამსახურს.

რაულ! ჩემმა რძალმაც — გულადის მეუღლემ ტექნოლოგიური დაამთავრა და რვა წელია „არასპეციალობით" მუშაობს „სანეპიდსადგურში". ძალიან მინდა გთხოვოთ, იქნებ ლარისაც დაუბრუნდეს სპეციალობას, თუ კი ეს თქვენს უფლებებს აღემატება, მე აქ, თბილისში ვთხოვ ვინმეს.

გისურვებთ წარმატებას, ბედნიერებას, ჯანმრთელობას თქვენს ლამაზ ცოლშვილთან ერთად.

პატ-ით კლარა აბრამია.

2/II 89 წ.".

ორი კვირის შემდგომ, მეორე უსტარი გაუგზავნა და კვლავ შეახსენა „პაწია სათხოვარი".

მოვლენები ასე განვითარდა, თხოვნა ვერ შეუსრულეს; იმედს არ კარგავდა, მაგრამ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" მაინც გამოაქვეყნა სტატია, როგორც გამაფრთხილებელი გასროლა. სტატიის სათაურით — „სხვისი კაცი?" — რაიკომის მდივანს მიანიშნებდა, რომ ჩვენს შორის ხიდი ტყდება, და, ვიდრე გვიან არ არის, გონს მოდიო.

თუმცა, მოთმინებამ უღალატა და ნიღბის ჩამოხსნა დააპირა. გაზეთ „კაბადონი-8"-ში კლანჭი გაჰკრა შეუვალ მდივანს.

„ლიტერატურული საქართველოს" თემაზე დადგმულ ფარსს კი კვლავ უნიღბოდ თამაშობს, აქ უნიღბოდ ურჩევნია. დეპეშა დეპეშაზე მოდის. რაც უნდა ნორმალურ მდგომარეობაში იყო, მაინც ვერ გაიგებ, რას მიაწერო მის მიერ ამდენი ღვარძლის ნთხევა, ათასგვარი ცილისწამება და წრეგადასული ცინიზმი, ან ის, თუ რატომ იმუქრება წითელჩაბალახიან დარიკოსავით. იქნებ ესეც შემთხვევაა?

დარიკო, — მაუზერიანი და წითელჩაბალახიანი, — ტყუილად არ მიხსენებია. ეს კოლორიტული სახე კარგად ავსებს კლარა აბრამიას პიროვნულ-ზნეობრივ პორტრეტს. საილუსტრაციოდ წავიკითხოთ ერთი წერილიც, რომელშიც უნიღბოს დაინახავთ:

„ბატონო ჟორჟი

უფრო ჭკვიანი კაცი მეგონეთ და ვფიქრობდი, ჯახიას რამეს ნორმალურს ურჩევდით... ჯერ ერთი, გუშინდელი ბიუროს ჩანაწერი (მაგნიტოფირზე) ხელზე მაქვს — ყოჩაღ დიანა, დათო პაპკორია, ანგული,.., ბ-ნი შალვა ხომ ცნობილია თავისი სიმართლით... როგორი თავხლაფი ასხეს. ამას გუმბარიძეს და ჰითანავას მოვასმენინებ... კარგ გუნებაზე დადგებიან. ედიშერ წურწუმიას ორივე წერილის ასლიც მომართვეს გუშინ — ახე, რომ, შენს სიძეს დიდი შავი საფლავი კლარას გარეშე გაუთხარეს ბიუროს პატიოსანმა წევრებმა (როცა მიხვდნენ რაულ ჯახია ვინ იყო...) რაც შეეხება აგული აბრამიას და ანთიას — ეს ორი მძრომიალა, მოდებილო მლიქვნელები წაიყვანოს რაულამ და ტიგიევს წარუდგინოს... მეორე ქრისტე ვერ უშველიდა ამის გარეშეც რაულ ჯახიას, ხობიდან დამსახურებულად უნდა გავაძევო (შესაძლოა საქართველოდანაც, თუკი წალენჯიხის ზარების გაყიდვა-გაჩუქებაში ურევია, მალე ჩამოვლენ მოსკოველი ჟურნალისტები ამის გასარკვევად).

რაც შეეხება ჩემს დროებით სიჩუმეს — გუმბარიძესთან, ჰითანავასთან და საჯაიასთან საუბარმა შემაჩერა, ველოდები მათ გადაწყვეტილებას 10 სექტემბრამდე, მერე... ო, ო! ცხენის ძუაზე უნდა გამოაბას კაცმა ჯახია, როგორ გააბინძურა ხობი, ძმა ძმას წაკიდა, მეგობარი მეგობარს, რა თავდასხმები და დარბევები მოაწყო, მარტო საავადმყოფოს მაგალითი ეყოფა... ყველა ჭიბგირს — საქმოსანს, მაფიოზს ძმაკაცობს, ყველა პატიოსანს ასრჩობს, პროვოკაციას უწყობს. ჩასაქოლია...

რაც შეეხება თქვენს საქმეს, რამდენი ფული მიგითვისებიათ თქვენი სიძის ხობში ყოფნის დროს და ფიქრობთ თირქია, რაულის ნათესავი აიღებს თავზე? ნურაფერი შეგეშლებათ! თირქია— პატიმარს მე მოსკოვში წავაყვანინებ და იქ იტყვის სათქმელს. ძალიან კარგი კაცია ცხაკაიის პროკურორი, მაგრამ როცა შენ არ დაგიჭერს, უნდობლობას გამოვუცხადებ და მის შეფებს გადავაბარებ ამ საქმეს.

შენ ტირილს დაიწყებ, იტყვი, 75 წლის კაცს ნუ დამიჭერთო... თუ კი ამ ასაკში ძარცვა და სახელმწიფოს მოტყუება შეგიძლია, ციხეშიც მშვენივრად დაჯდები. ამიტომ, შენ დაფნის კოოპერატივის გახსნას კი ნუ ცდილობ, თბილი ტანსაცმელი მოამზადე ციმბირში გასამგზავრებლად. ლაჟვარდი ბუკია შეეწირება იმას, შენ რომ მანქანა შეგახყიდინა (ისიც ჩალის ფასად) ტყუილად აქვს ჰითანავას (იგულისხმება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გ. თ.) იმედი. ნოდარის შენმა სიძემ ისე გაუტეხა ავტორიტეტი, ისე შეაჯავრა ხალხს, რომ საკუთარ თავს თუ უშველა, დიდი გმირობა იქნება.

თქვენ, თურმე, ჩემს მკვლელს ეძებთ. რა თქმა უნდა, 20 ან 30 ათასი მანეთი თქვენთვის რა ფულია, მისცემთ ვინმეს და ფიქრობთ, გამასაღებთ? ლუბას იდიოტური გეგმით რომ დადიხართ, იმიტომ გეწვით ახლა მონაგარი. რა თქმა უნდა, საკავშირო პროკურორს ვაცნობებ ამას; სანამ მე არ მომკლავთ, მანამ არაფერი შეირგეთ, თქვე ნაძირალებო! ახე, რომ ჯორჯიკიას ნუ ჩააყენებთ უხერხულ მდგომარეობაში, ციხე არ აგცდება.

კლარა

1/IX-90 წ.".

მაგრამ, კმარა კლარა აბრამიას წერილების კითხვა.

მინდა საქმეზე მოგახსენოთ.

მისი დეპეშების გამო, მეორედ მომიწია ხობში გამგზავრებამ, ამჯერად — ბატონ ჯუმბერ თითმერიასთან ერთად.

შევხვდით ხობის რაიონის პარტიულ აქტივს, ინტელიგენციას, არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს.

დღეს, როცა სერიოზულად ვფიქრობთ ადმინისტრაციული აპარატის დემოკრატიზაციასა და ჰუმანიზაციაზე, რაიკომის მდივნობის ინსტიტუტის არსებობა ისეთივე ანაქრონიზმად მოჩანს, როგორც, მაგალითად, კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა. აქედან გამომდინარე, რაიკომის მდივანი, ანგელოზიც რომ იყოს, ხალხის ცნობიერებაში უკვე ყველანაირად ცოდვილია. ოღონდ, ცოდვაც არის და ცოდვაც.

ხობის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აზრი, რაიკომის პირველ მდივანზე არაერთგვაროვანია. მაგალითად, რუსთაველის საზოგადოების ხობის რეგიონალური განყოფილების ყოფილი წევრი, გურამ ჯორჯიკია რაულ ჯახიას პიროვნებას უარყოფითად ახასიათებს, რაიონის სახალხო ფრონტის თავმჯდომარე მალხაზ ბუბუტეიშვილი კი ამბობს, კომპარტიას სახალხო ფრონტი აფასებს როგორც ქართველი ერის ინტერესების უარმყოფელ პარტიას და ამის გამო, მასთან ოპოზიციაში ვიმყოფებით, მაგრამ, რაც შეეხება რაულ ჯახიას, იგი პიროვნული თვისებებით, უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისი პირადი მოწინააღმდეგენიო.

„ლიტერატურული საქართველო" წელს უკვე მესამედ უთმობს თავის ფურცლებს ხობის რაიონში მიმდინარე მოვლენებს და, რასაკვირველია, კარგადაც ვგრძნობთ, ამ პუბლიკაციებს მტკივნეულად აღიქვამს თითოეული ხობელი. გვჯერა, რომ სწორად გაგვიგებენ. ამასთანავე, მზად ვართ, გავიზიაროთ ყველა პატიოსანი ხობელის მოსაზრება, თუკი ეს წერილი აზრთა სხვაობას გამოიწვევს.

სწორედ ცხონებული თეოფრასტე ამბობს, — თვლა არ აქვს იმ სისაძაგლეებს, რასაც ავსიტყვა ავრცელებს თავის მეგობრებზე, შინაურებზე; გარდაცვლილებსაც არ ინდობსო. და ამქვეყნად არ არსებობს მისთვის სხვა სიამოვნება, — ვიდრე ავსიტყვაობაო, — დასძენს იგი.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას იზამს კ. აბრამია ამ წერილის წაკითხვის შემდეგ:

მუქარისა და ლანძღვის დეპეშებით აავსებს „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას. წინ რა დაუდგება;

მიჩივლებს მოსკოველ ჟურნალისტებთან. ამ საქმისადმი მისი მიდრეკილება ხომ ცნობილია;

მიჩივლებს სსრკ პრეზიდენტთან. არც ამის გამოცდილება აკლია, თავადვე ადასტურებს.

მიჩივლებს სასამართლოში. აქაც გამოცდილია (თავის დროზე თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა საქმე № 1-278, მისი და ერთი ქალბატონის გაჭიანურებული კონფლიქტი. თუმცა, დავიდარაბის მიზეზი მხოლოდ რევოლუციის საკითხი არ ყოფილა, უბრალოდ, ორმა ქალმა სადავოდ გაიხადა ერთი მამაკაცი).

ერთი სიტყვით, თავის საქმეს არ დააგდებს.

— მაშ, როდემდე? — ამოიოხრებს გულგატეხილი მკითხველი და კვლავ უსასოოდ გადაავლებს თვალს ძველი ბერძენი მწერლის ზემოთმოტანილ სიტყვებს.

მე კი მსურს, ამ მკითხველს ვუპასუხო:

— ვიდრე მყარად დგას მისი და მისთანების სალოცავი — კრემლი;

ვიდრე ჩვენი ქვეყანა ჩვენვე არ გვეკუთვნის;

ვიდრე ანარქიული დემოკრატიის ნაცვლად არ დამყარდება ნამდვილი დემოკრატია;

ვიდრე თითოეული ჩვენთაგანი მტკიცედ არ აღუდგება წინ იმპერიული კომუნიზმის ამ უკანასკნელ აღმსარებლებს...

ბევრი პირობა გამოგვივიდა.

რას ვიზამთ, ისინი ხომ ცოტანი არ არიან, — მათი რიცხვი ლეგიონია.

გია თასოევი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი).

# ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები

## ალექსანდრე ბარამიძე

1989 წელს გამოქვეყნდა აკაკი ხურგულაძის ნაშრომი „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები", წიგნი I (500 გვ. 31 თაბახი, გამომცემლობა „ხელოვნება". წიგნს ახლავს რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ავტორი განზოგადებული სახით მოგვითხრობს ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ჩასახვისა და განვითარების რთულ ისტორიულ პერიპეტიებზე. ისტორიკოს ავტორს მოუხდა კულტურის სხვადასხვა სფეროს ახე თუ ისე შესწავლილი დიდძალი მასალის შეჯერება, გააზრება, დახისტემება და განვითარების ერთიანი, თანმიმდევრული, უწყვეტი პროცესის წარმოჩენა. ამ ურთულეს ამოცანას, მკვლევარმა, ძირითადად, თავი გაართვა. ა. ხურგულაძის წიგნი საკმაოდ სისრულით გვიშლის თვალწინ მრავალსაუკუნოვანი, მრავალფეროვანი და მდიდარი ძველი ქართული კულტურის ისტორიის საინტერესო სურათს. ისიც ცხადია, რომ ამგვარი ნაშრომი უნაკლო ვერ იქნებოდა.

ჩვენ არ ვკისრულობთ აკაკი ხურგულაძის წიგნის რეცენზირებას, ან მისი ყველა მხარის შეფასებას. დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ მხოლოდ ორიოდე საერთო და, კერძოდ, ძველი ქართული მწერლობის ისტორიკოსის ზოგიერთ დაკვირვება-შენიშვნას.

ასე გვეჩვენება, რომ კომპოზიციური თვალსაზრისით, „ნარკვევები" არსებითად დასრულებულია იმ კარით, რომელსაც სათაურად აქვს „ქართული კულტურა XVIII საუკუნეში" (გვ. 271-354). შემდეგი კარები (ხალხის ყოფაცხოვრება და კულტურა, მორალურ-ეთიკური ნორმები და ტრადიციები; ქრისტიანული რელიგია და ქართული ფეოდალური კულტურა; ქალის ფენომენი ქართულ ფეოდალურ ისტორიულ-კულტურულ პროცესში; ქართული ფეოდალური კულტურის მოდელირებისათვის). თავისებური დამატებებია, სადაც შედარებით უფრო გაფართოებულად და ჩაღრმავებულად არის გაანალიზებული წინა კარებში უკვე განხილული ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

სატამბო ცნობიდან ჩანს, რომ ა. ხურგულაძის „ნარკვევები" წარმოებას გადაეცემია 1988 წლის 28 აპრილს, ხოლო ხელმოწერილია დასაბეჭდად 1989 წლის 25 თებერვალს. რასაკვირველია, „ნარკვევები" დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალად წიგნში მიჩნეულია კლასთა ბრძოლები, ხოლო ავტორის მეთოდოლოგიურ საყრდენად აღიარებულია მარქსიზმ-ლენინიზმი (გვ. 410, 438-440, 442, 447, 450). შესაფერისადვეა ახსნილი ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების საკითხი. „ქართველი ხალხის ეროვნულმა კონსოლიდაციამ, რაც ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან ივარაუდება, — ასკვნის ა. ხურგულაძე, — XIX საუკუნის მეორე ნახევარში პოვა საბოლოო დაგვირგვინება", (გვ. 447). „ნარკვევების" დასაწყისშივე საზგასმულია, რომ კულტურის ისტორიის „ჩაღრმავებული კვლევა ნაკარნახევია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისა და 1987 წ. იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით" (გვ. 4).

ეს ყველაფერი მხედველობაში მისაღებია, ოღონდ, ერთგვარ გაკვირვებას იწვევს 1989 წელს გამოქვეყნებული წიგნის ავტორის განცხადება: „სოციალისტური წყობილება უმაღლესი ეტაპია ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. თვისებრივად განსხვავებული და მაღალია მისი კულტურაც" (გვ. 3).

იმ ტიპის ნაშრომისათვის, როგორიცაა ა. ხურგულაძის „ნარკვევები", განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყაროების ვითარება. ა. ხურგულაძეს გამოყენებული აქვს დიდძალი წყარო (პირველწყაროც და მეორადიც). დამოწმება-დასახელების მხრივ ა. ხურგულაძე ხელგაშლილია და, ვფიქრობ, ზომაზე მეტად უხვი, როცა საქმე შეეხება საკუთრივ ისტორიკოსებს (აგრეთვე არქეოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს), მაგრამ ერთგვარ „სიძუნწეს" იჩენს ლიტერატურისმცოდნეთა მიმართ. მართალია, ა. ხურგულაძეს ძალიან ბევრი საილუსტრაციო მასალა აქვს მოხმობილი, მაგალითად, თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, მაგრამ, ასე ვთქვათ, უპასპორტოდ, გამოცემისა და გამომცემლის მოუხსენებლად. ბატონი აკაკი ხურგულაძე უფრო საუმჯობესოდ თვლის ლიტერატურათმცოდნე მკვლევართა ანონიმური (არ ვამბობ „შენიღბული") წესით დასახელების ფორმას („ზოგი მკვლევარი"). შორს რომ არ წავიდეთ, ასე ეპყრობა იგი ამ შენიშვნების ავტორს, თუმცა, მისი მასალებით უხვად სარგებლობს.

ა. ხურგულაძის წიგნში საერთოდ სწორადაა გადაწყვეტილი ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი. ოღონდ, ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარს „დაქვეითებისა" და „ხელახალი აღორძინების" პერიოდთა ფარგლების განსაზღვრაში. ბატონი აკაკი თვლის, რომ „დაქვეითების" ხანას მოიცავს XIII-XVII საუკუნეები, „ხელახალი აღორძინების" ხანა XVIII საუკუნეაო. მართალია, „დაქვეითებისა" თუ „აღორძინების" ცნებებს გარკვეული პირობითი მნიშვნელობით ვხმარობთ, მაგრამ მონღოლთა კირთების შემდეგ, კერძოდ, XV-XVI საუკუნეთა ზღვარზე რომ ქართულ კულტურულ ცხოვრებას გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო, ეს უეჭველია (თუმცა, საქართველო მაშინ დაშლილია სამეფო-სამთავროებად და მძვინვარებს ოსმალეთისა და ყიზილბაშური ირანის აგრესია). XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა „როსტომიანის" შესანიშნავი ქართული (საბაშვილისეული) რედაქცია, ამ დროისაა ვანის ქვაბთა დიდებული პოეზია, ამ დროს მოღვაწეობს ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი დახელოვნებული ინტერპოლატორი თუ გამგრძელებელი. ყურადღების მისაქცევია, რომ ა. ხურგულაძე საერთოდ არ ახსენებს არც „როსტომიანს" და არც ვანის ქვაბთა პოეზიას (მოგვეპოვება ამ პოეზიის ნიმუშთა შერმადინ ოწიანისეული ჩინებული პუბლიკაცია). არა და მას შემთხვევა ჰქონდა, სიტყვა ჩამოეგდო ამ პოეზიაზე, როდესაც ეხებოდა „ვაჰანის ქვაბთა განგებას" (გვ. 266). კიდევ უფრო ნათელი და მკაფიოა „აღორძინების" მოტივები XVII საუკუნეში. ამ საუკუნეში მოღვაწეობდნენ ქართული მწერლობის ისეთი სახელოვანი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ თეიმურაზ I, არჩილი, იოსებ თბილელი სააკაძე, „რუსუდანიანის" უცნობი ავტორი. XVII საუკუნეშია შეთხზული სულხან-საბას უკვდავი „სიბრძნე სიცრუისა", მისი „სწავლანი", მისი ლექსიკონის პირველი რედაქციები. არჩილის სკოლაში შემუშავდა შემოქმედებითი საქმიანობის ახალი ეროვნული კონცეფცია. XVII საუკუნეში გაიშალა ფართო მასშტაბით ძველი სამწერლობო ძეგლების შეგროვება, აღდგენა, გადაწერა, გავრცელება. შემთხვევითი როდია, რომ XVII საუკუნეშია გამზადებული ვეფხისტყაოსნის დღემდის ცნობილი ყველა ძველი ხელნაწერი ნუსხა (კალიგრაფიული ხარისხით გამორჩეული და საუცხოოდ დასურათებული). XVII საუკუნიდან იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. XVII საუკუნეზე მოდის კათოლიკე მისიონერთა ინტენსიური საქმიანობა. არსებითად, XVII საუკუნეშია საძიებელი განმანათლებლური მოძრაობა საქართველოში (რევაზ ბარამიძე). მგონი კმარა. ისიც სათქმელია, რომ ბატონი აკაკი ხურგულაძეც თვითონ ამბობს, რომ ჯერ კიდევ „XVI საუკუნის ბოლო პერიოდიდან იწყება ერთგვარი გამონათება და ქართული ლიტერატურის სარბიელზე კვლავ გამოჩნდება პიროვნება, რომელიც სათავეს უდებს ახალ მოტივებს და მიმართულებას ქართულ ლიტერატურაში. ეს იყო თეიმურაზ პირველი" (გვ. 261). დიახ, XVI საუკუნიდან იწყება ქართული ლიტერატურის „გამონათება", თეიმურაზ პირველი დაიბადა 1589 თუ 1590 წელს და მისი ლიტერატურული (და საზოგადოებრივ-პოლიტიკური) მოღვაწეობა მთლიანად მოდის XVII საუკუნეზე. აკაკი ხურგულაძე იმასაც აღიარებს, რომ XVIII საუკუნის ქართული კულტურის „ტენდენციებს საფუძველი მართალია, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა" (გვ. 250) და კიდევ, XVII საუკუნის პოეტი-მოაზროვნის, არჩილის ლიტერატურული „სკოლის შუქი გზას უნათებდა XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურას" (გვ. 303).

სურათი ნათელია. ქართული სულიერი კულტურის „ხელახალ აღორძინებას" ვერ ჩამოვაშორებთ XVII საუკუნეს და მას ვერ გადავულოცავთ მხოლოდ XVIII საუკუნეს.

თავის წიგნში აკაკი ხურგულაძეს მეტ-ნაკლები სისრულითა და სიზუსტით განხილული აქვს ძველი ქართული მწერლობის ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი. შევეხებით ზოგიერთ მათგანს. საჭირო სიზუსტე აკლია „ამირანდარეჯანიანის" მიმოხილვას. „მკვლევართა უმრავლესობას" იგი „მიაჩნია ორიგინალურ ქმნილებადო" (გვ. 215). თვითონ ბატონი აკაკის ფიქრით, ამ „ნაწარმოების მთავრი წყარო ხალხური „ამირანიანი" უნდა ყოფილიყო" (იქვე), რაც ძალზე საეჭვოა. „ამირანდარეჯანიანის" მიმართ მომარჯვებულ ცნებას „ორიგინალური ნაწარმოები", სჭირდება სპეციალური განმარტება. ახლა გარკვეულია, რომ „ამირანდარეჯანიანი" მიეწერება არა მოსე ხონელს (როგორც „ნარკვევებშია"), არამედ მოსე ხომელს. ეს კი არსებითად ცვლის მოსეს წარმომავლობის საკითხს (და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ზოგიერთ სხვა საკითხებსაც).

რთული ისტორია აქვს XII საუკუნის სახოტბო ძეგლს „აბდულმესიანს". ძეგლის ქების ობიექტის ვინაობის დადგენაზეა დამოკიდებული მისი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტა. ტრადიციის მიხედვით, „აბდულმესიანში" შექებული უნდა იყვნენ თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი. ნ. მარის ცნობილი გამოკვლევის თანახმად, ქების საგანია მხოლოდ ერთი პირი, დიდებული მეფე მამაკაცი, სახელდობრ, დავით აღმაშენებელი, ავტორია იმდროინდელი კარის პოეტი. ნ. მარის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს ივანე ჯავახიშვილმა, პავლე ინგოროყვამ და სხვ. ტრადიციული თვალსაზრისის ქომაგობა იკისრა მოსე ჯანაშვილმა. კორნელი კეკელიძემ დაამტკიცა, რომ „აბდულმესიანში" შექებულია ორი პირი, ორი მეფე, ქალი და, მამაკაცი, მისი მოსაზრებით, ქალი თამარ მეფა, მამაკაცი კი დავით აღმაშენებელი როგორც ეს უდავოდ ცხადყო მარმაო), დავით სოსლანი არ ყოფილა სახოტბო ძეგლით საგულვებელი ღირსებებით შემკობილი პიროვნებაო. სამწუხაროდ, დიდმა მეცნიერებმა საჭირო ანგარიში არ გაუწიეს საკარო-სახოტბო პოეზიის სპეციფიკას (გმირის ჰიპერბოლიზაციას, სტილის ენაწყლიანობას და ა. შ.). მეორე მხრივ, დავით სოსლანი უაღრესობამდეა განდიდებული მეორე სახოტბო ძეგლში — „თამარიანში" და იმდროინდელ საისტორიო მწერლობაში. ჩვენ შევეცადეთ ძეგლის ახლებური გააზრებით დაგვესაბუთებინა ადრინდელი ტრადიციული შეხედულების სისწორე (რაც ამჟამად საერთოდ არის გაზიარებული). საინტერესო ჰიპოთეზა შემოგვთავაზა შალვა ნუცუბიძემ. მან უდავოდ ჩათვალა ტრადიციული თვალსაზრისი, მაგრამ ვერც მარის თეორიას შეელია. წამოაყენა კომპრომისული ხასიათის საეჭვო კონცეფცია: „აბდულმესიანში" მექანიკურად შერწყმულია, სხვადასხვა დროის ორი სახოტბო ძეგლის ტექსტები. ამიტომაც, ადრინდელი სახით ძეგლი შეიცავს სამივეს — დავით აღმაშენებლის, თამარისა და დავით სოსლანის ქებათო.

თავის მხრივ, აკაკი ხურგულაძე იზიარებს „მკვლევართა უმრავლესობის" პოზიციას (ე. ი. თვლის, რომ „აბდულმესიანში" შექებული არიან თამარი და დავით სოსლანი), ოღონდ „უმრავლესობიდან" კონკრეტულად არავის ასახელებს, თუმცა, მარის, კეკელიძისა და ნუცუბიძის შეხედულებებზე კი ჩერდება საკითხის მოკლედ მიმოხილვის წესით (გვ. 218).

აკაკი ხურგულაძე შედარებით ვრცლად ჩერდება თეიმურაზ პირველისა და არჩილის პოეზიის გარჩევაზე. იგი ანონიმურად, დაუსახელებლად, გვეკამათება თეიმურაზის შემოქმედების შეფასებაში. მკვლევარი იმოწმებს თეიმურაზის გახმაურებულ განცხადებას — „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო" და შენიშნავს, ამან: „ზოგ ქართველ მკვლევარს მისცა საფუძველი ეღიარებია იგი (თეიმურაზი, — ა. ბ). სპარსული ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლად მშობლიურ მწერლობაში" (გვ. 262, კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩემია, — ა. ბ.), „თუ თეიმურაზის შემოქმედებას განვიხილავთ მთლიანად და წინა პლანზე წამოვწევთ მის იდეურ მრწამსს, უმართებულოდ მოგვეჩვენება სპარსული ლიტერატურის მოტრფიალე-მიმდევრად მისი გამოცხადება" (იქვე). ვხსნით ფრჩხილებს, ის „ზოგი" ქართველი მკვლევარი ჩვენ ვართ, სიტყვებიც ჩვენია, ოღონდ, ბატონი აკაკი ხურგულაძე არღვევს ციტირების სავალდებულო წესს. ჩვენ გვიწერია: „თეიმურაზი ერთგვარად უცხოური (სპარსული) ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელია მშობლიურ მწერლობაში" (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე — „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1987 წ. გვ. 331; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 323, კურსივი ახალია). რატომ დააკლო ჩვენმა პატივცემულმა კოლეგამ ჩვენს ციტატას სიტყვა „ერთგვარად", რომელიც სულ სხვა ტონალობას აძლევს მთელ დამოწმებულ ფრაზას? რაც შეეხება, თეიმურაზის შემოქმედების „მთლიანობაში" განხილვას, ბატონმა ა. ხურგულაძემ კარგად იცის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ 1933 წელს გიორგი ჯაკობიასთან ერთად, პირველად გამოვეცით თეიმურაზის თხზულებათა სრული კრებული და საშუალება მივეცით ყველას, სწორედ მთლიანად გაცნობოდა ამ შესანიშნავი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ჩვენი ამ პუბლიკაციით და არა ერთი სხვა ნაშრომით, შევეცადეთ გაგვებათილებინა გავრცელებული შეხედულება თეიმურაზზე, როგორც უიდეო „პიიტურ" მოშაირეზე. ჩვენ სწორედ წინ წამოვწიეთ თეიმურაზის პოეზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მხარეები, თუმცა, ვთვლიდით მას ერთგვარად მართლაც უცხოური (სპარსული) მიმდინარეობის წარმომადგენლად ქართულ მწერლობაში. ამიტომ იყო, რომ გაემიჯნა თეიმურაზს არჩილი, ამიტომ ებრძოდა მის მიმართულებას მამუკა ბარათაშვილი.

შემდეგ, როდესაც ა. ხურგულაძე იხილავს არჩილის ლიტერატურულ საქმიანობას, აღნიშნავს, რომ არჩილია პირველი „მეკვლე", რომელიც „აღუდგა წინ სპარსოფილურ ესთეტიკურ ატმოსფეროს, სპარსულ მეჭორაობასა და სიტყვალვარჯნილობას" (გვ. 300). კი, მაგრამ, ვინ არის ის სპარსოფილი და სპარსული მეჭორეობის წარმომადგენელი ქართულ მწერლობაში, რომლის წინააღმდეგ აღუმაღლებია ხმა პოეტ არჩილ ბაგრატიონს? მართალია, ა. ხურგულაძე სახელდებით არ იხსენიებს, მაგრამ ამ სპარსოფილ და სპარსულ მეჭორეობის მიმდევარ პოეტად გულისხმობს სწორედ თეიმურაზ პირველს, ბატონი აკაკი ხურგულაძე (ასევე დაუსახელებლად) მეზღაპრეობაზე გადაყოლასა და ქართული ენის დანაგვიანებას უსაყვედურებს თეიმურაზს (გვ. 301). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის გაცილებით მეტ „ცოდვას" მიაწერს თეიმურაზს, ვიდრე, ვინმე სხვა „ზოგი" ქართველი მკვლევარი".

„ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევებში" გაპარულია ცალკეული უზუსტობანი, ლაფსუსები (შესაძლებელია მძიმე კორექტურული შეცდომები, აზრს რომ ამახინჯებს). მოვიტანთ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს.

ერთგან ა. ხურგულაძე მოგვითხრობს იმ სააზროვნო ხასიათის ბრძოლაზე, რომელიც მიმდინარეობდა იოანე ქსიფილინოსსა და იოანე იტალოსის გარშემო (გვ. 183). აშკარა ლაფსუსია. ქსიფილინოსის ნაცვლად უნდა იყოს ფსელოსი. აღნიშნულთან დაკავშირებით, იმასაც ვიტყვი, რომ ა. ხურგულაძე სრულიად არაფერს ამბობს იოანე იტალოსის მიმდევარ „ვინმე აბხაზის" თაობაზე (ანუ საგულვებელ იოვანე პეტრიწის თაობაზე).

ა. ხურგულაძეს უწერია, რომ წმინდა გიორგის კულტმა „ღმერთების ქართულ ქრისტიანულ პანთეონში წამყვანი ადგილი დაიკავა" (გვ. 394, კურსივი ჩემია — ა. ბ.). რა თქმა უნდა, შემთხვევითი შეცდომაა. ქრისტიანული პანთეონი იცნობს არა „ღმერთების", არამედ წმინდანების კულტს.

P.S. ბატონ აკაკი ხურგულაძეს თითქმის გამოუყენებელი დარჩენია კეკელიძე-ბარამიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია", სადაც პირველად არის წარმოჩენილი ძველი ქართული მწერლობის ისტორიულ-ქრონოლოგიურად უწყვეტი განვითარების კონცეფცია. ჩვენ (ავტორებმა) არ ვიცოდით, რომ ამ შრომისათვის ვრცელი რეცენზია მიუძღვნია საზღვარგარეთ მოღვაწე სახელმოხვეჭილ ქართველ მეცნიერს მიქელ თარხნიშვილს. რეცენზიის ქსეროპირი ამას წინათ, პარიზიდან ჩამოგვიტანა გურამ შარაძემ. ეს ჩვენი შრომა დასდებია ძირითად საფუძვლად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ემიგრანტი მეცნიერის ალექსანდრე მანველიშვილის წიგნს „ძველი ქართული მწერლობა" (სან ფრანცისკო, 1987).

# ტრაგიკული დროის დოკუმენტები

## არქივები საიდუმლოს გვიმხელენ

„არგუმენტი ი ფაქტის" 1989 წლის №45-ში დაბეჭდილი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატ ვ. ზემსკოვის ინტერვიუ სათაურით „არქიპელაგი გულაგი: მწერლისა და სტატისტიკოსის თვალით", ამას გარდა, „არგუმენტი ი ფაქტიმ" 1989 წლის 38-ე და 39-ე და 1990 წლის მე-5 ნომრებში მკითხველს მოუთხრო 1944 წლის 1 ოქტომბრისთვის სამხედრო ტყვეებისა და ალყაში მოხვედრილთა შესახებ, 1953 წლის 1 იანვრისთვის ახალმოსახლეთა, გადასახლებულთა, 1921-1953 წლებში „კონტრრევოლუციურ დანაშაულთა" გამო მსჯავრდადებულთა რიცხვი.

ამ პუბლიკაციების გამო გაზეთის რედაქციაში რამდენიმე ასეული წერილი და შეკითხვა შემოვიდა. მათზე პასუხის გაცემა ვ. ზემსკოვს ვთხოვეთ.

— ვიქტორ ნიკოლოზის ძევ, მკითხველებს პირველ რიგში აინტერესებთ, როგორ მიგიწვდათ ხელი საიდუმლო დოკუმენტებზე.

— 1989 წლის დასაწყისში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან დაარსდა სსრკ მოსახლეობის ნამდვილ დანაკარგთა დამდგენი კომისია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ი. პოლიაკოვის ხელმძღვანელობით, ამ კომისიაში მეც შემიყვანეს. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გამიადვილა „სრულიად საიდუმლოს" გრიფით დაცული დოკუმენტების გაცნობა. მაგრამ ძალზე ბევრი დოკუმენტი ჩემთვის მაინც ხელმიუწვდომელი დარჩა.

— რიგელი ი. ეიდუსი იწერება: „შეუძლებელია არ გავიხსენოთ თავის დროზე ძალზე გახმაურებული ქალბატონ ელეონორა რუზველტთან დაკავშირებული ეპიზოდი — მას სსრკ-ში სტუმრობის დროს გულაგის ადმინისტრაციამ ისეთი „პოტიომკინის სოფლები" უჩვენა, რომ პატიმართა შორის ამაზე ლეგენდები წლების მანძილზე არ მიმცხრალა. მაგრამ მაღალი რანგის სტუმარმა მანდილოსანმა ნაზულისადმი გაცილებით უფრო კრიტიკული დამოკიდებულება გამოიჩინა, ვიდრე „არგუმენტი ი ფაქტის" პუბლიკაციის ავტორებმა. ქ-ნმა რუზველტმა შესძლო მოპოვება საკუთარი ინფორმაციისა, რომელიც მან 1950 წელს გააცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიასა და მსოფლიოს საზოგადოებრიობას. მისი მონაცემით, გულაგის პატიმართა რიცხვი დაახლოებით 20 მილიონი იყო. (ო, როგორ გაუნაწყენდნენ გულაგელი „მეზლაპრეები"! როგორ გაამათრახა ის ლირსებაშელახულმა გაზეთმა „პრავდამ!" აქ გამოქვეყნებული სტატია იუწყებოდა, სსრკ-ს ბანაკებში სამშობლოს გამყიდველთა და ხალხის მტრების მცირე ჯგუფილაა). როგორ კომენტარს გაუკეთებდით ამას?

— 1950 წ. 1 იანვრისათვის გულაგში იმყოფებოდა 2 561 351 პატიმარი (ბანაკებში — 1 416 300 და კოლონიებში — 1 145 051 პატიმარი), მათგან 578 912 ადამიანი, ანუ გულაგის პატიმართა საერთო რიცხვის 22,9% მსჯავრდადებული იყო კონტრრევოლუციურ დანაშაულობათათვის, ე. ი. 58-ე მუხლით (58-ე მუხლით მსჯავრდადებულთა უმეტესობა სტალინური რეპრესიების უდანაშაულო მსხვერპლი იყო, მცირე ნაწილი — ნამდვილი სამშობლოს მოღალატეები: ვლასოველები, პოლიციელები, დამსჯელები, ბურგომისტრები, გერმანულ სადაზვერვო-დივერსიული სკოლების კურსდამთავრებულნი, გესტაპოს აგენტები, სიგურანცები — პოლიტიკური პოლიცია და ა. შ.) 1948 წლის დეკემბრის მონაცემებით სსრკ-ს ციხეებში დამწყვდეული იყო 230 614 გამოძიებაში მყოფი და მსჯავრდადებული. 1950 წლის 1 იანვრისთვის სპეცახალშენებში და გადასახლებებში იმყოფებოდა 2 660 040 ადამიანი, ამგვარად, 1950 წლის დასაწყისისთვის სსრკ-ში საერთო ჯამში დაახლოებით 5,5 მილიონი პატიმარი, სპეცახალმოშენე და გადასახლებული ითვლებოდა.

როცა ქალბატონი ელეონორა რუზველტი ციფრ 20 მილიონს ასახელებს, გულისხმობს (სპეცახალმოშენეთა, და გადასახლებულთა ჩაუთვლელად) პატიმრებს, რომელთა რიცხვიც სინამდვილეში დაახლოებით 2,8 მილიონს შეადგენდა. ქ-ნ რუზველტის მიერ დასახელებული ციფრი გულაგის პატიმრების ნამდვილ რიცხვს 7-ჯერ აღემატა! ეს იყო იქითკენ გამიზნული პროპაგანდისტული ტრიუკი, რომ „ცივი ომის" „ცხელში" გადაზრდის, ე. ი. მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დასავლეთის სახელმწიფოებისა, რასაც საბჭოეთის დამარცხება შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ერთგვარ „გამათავისუფლებელ მისიად" შეიძლებოდა წარმოჩენილიყო.

გაზეთ „პრავდის" მიერ ამ განცხადების ოფიციალური უარყოფა და იმის მტკიცება, რომ „სსრკ-ს ბანაკებში სამშობლოს გამყიდველთა და ხალხის მტრების მცირე ჯგუფილაა", ასევე პროპაგანდისტული ტრიუკი იყო, ოღონდ საპირისპიროპროპაგანდისტული. აქ უკვე დასახული იყო ამოცანა — მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისთვის დაემალათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ასობით ათასი რეპრესიის უდანაშაულო მსხვერპლის თავმოყრა, გამოერიცხათ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების შესაძლებელ მიზეზთაგან „გამათავისუფლებელი მისია".

— ბევრს აინტერესებს, გაქვთ თუ არა ცნობები გულაგის პატიმართა ეროვნულ შემადგენლობაზე?

— 1939 წლის 1 იანვრისთვის გულაგის ბანაკების 1 317 195 პატიმარს შორის იყო 830 491 რუსი, 181 905 უკრაინელი, 44785 ბელორუსი, 24894 თათარი, 24449 უზბეკი, 19758 ებრაელი, 18572 გერმანელი, 17123 ყაზახი, 16860 პოლონელი, 11723 ქართველი, 11064 სომეხი, 9352 თურქმენი, 4874 ბაშკირი, 4347 ტაჯიკი, 100-ზე მეტი სხვა ეროვნების 39 846 ადამიანი. გულაგის პატიმართა ასაკობრივი შემადგენლობა (1940 წ. 1. მარტისათვის: 18 წელზე უმცროსი — 1,2%, 18-დან 21 წლამდე — 9,8%, 22-დან 40 წლამდე — 63,6%; 41-დან 50 წლამდე 16,2%, 50 წელზე უფროსი — 9,7%. დიდი სამამულო ომის დასაწყისისათვის მამაკაცები გულაგის პატიმართა 93%-ს შეადგენდნენ, ქალები — 7%-ს, 1944 წლის ივლისში — შესაბამისად 74 და 26%-ს.

—სსრკ-ში კატორღელები როდის გაჩნდნენ? — კითხულობენ ნოვგოროდელი ლ. ბოტოვსკი, მაგნიტოგორსკელი ნ. ილინი და სხვ.

— შესაბამისად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 22 აპრილის ბრძანებულებისა, „სამშობლოს მოღალატეებსა და გამყიდველების დასჯის ზომათა და ამ პირებისთვის საკატორღო სამუშაოთა, როგორც სასჯელის სახის დაწესების შესახებ" სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შექმნა ვორკუტისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ბანაკებში საკატორღო განყოფილებები, რომლებშიც დააწესა სპეციალური რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფდა ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა შესრულებას საკატორღო სამუშაოებში მისჯილ პატიმართა მკაცრი იზოლაციის პირობებში: დაწესდა გახანგრძლივებული სამუშაო დღე. კატორღელთა ქვანახშირის მაღაროებში, ოქროსა და კალის მოპოვებაზე, ჯაბადოებში მძიმე სამუშაოებზე გამოყენებით. 1944 წლის ივლისში გამოსასწორებელ შრომით ბანაკებში დამწყვდეული იყო 5,2 ათასი, 1947 წლის სექტემბერში 60 021 კატორღელი.

გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი", №35, 1990 წ.

# რა გველის ხვალ?

ივლისის დასაწყისში პრაღაში გამართულ კონფერენციაზე „დემოკრატიისკენ მშვიდობიანი გზით", ან, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, „დისიდენტების კონფერენციაზე" ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი იყო რუსეთის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილის, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვის საუბარი ვლადიმერ ბუკოვსკისთან.

ცნობილი სამართალდამცველი ვლადიმერ ბუკოვსკი 25 წლიწადს გადაცილებულ ბევრ მოქალაქეს, ალბათ, ახსოვს. 1976 წელს საბჭოთა მთავრობამ ბუკოვსკი, რომელიც მაშინ საერთო ჯამში 12 წლით უკვე იყო ნაჯდომი ციხეებსა და ბანაკებში, გაცვალა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან ლუის კორვალანზე, ბუკოვსკი მას აქეთ ინგლისში ცხოვრობს.

**გარი კასპაროვი:** სიტუაციის უნიკალურობამ მაიძულა რეპორტიორის ჩემთვის უჩვეულო როლში გამოვსულიყავი. ვალოდია, ინტერვიუს დასაწყისში მითხარი, პირველად როდის აღმოჩნდი ციხეში?

**ვლადიმერ ბუკოვსკი:** 1963-ში...

გ. კ. — ჩემი დაბადების წელს. რაღაცას ჩვენ ერთად ვიწყებდით...

ვ. ბ. — პირველად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მომათავსეს. შემდეგ გამომიშვეს და კვლავ ჩამსვეს — ეს ჩასმა-გამოშვება რამდენჯერმე განმეორდა. 1976 წელს ლეონიდ ილიჩს აზრად მოუვიდა მთავარ ჩილელ კომუნისტში გავეცვალე.

გ. კ. — და ამის შემდეგ შენი კვალი საბჭოთა საზოგადოებისათვის წყვდიადში ინთქმება?

ვ. ბ. ყოველთვის და ყველასთვის არა. ჩემს კვალს იოლად ხედავდნენ ისინი, ვინც უსმენდა სხვადასხვა „ხმას" — „თავისუფლებას" „ბი-ბი-სის", „ამერიკის ხმას". როგორი აღმოჩნდა ჩემი ხვედრი? დავამთავრე კემბრიჯი, ვმუშაობდი ჩემი სამეცნიერო სპეციალობით — ტვინის ფიზიოლოგიაში, დავწერე და გამოვეცი ოთხი წიგნი. და, რასაკვირველია, აქტიურ პოლიტიკურ, სამართალდაცვით მოღვაწეობას ვეწეოდი.

გ. კ. — როგორ განვითარდება მოვლენები კავშირში და რა უნდა გაკეთდეს?

ვ. ბ. — ჩემი თვალსაზრისით, ქვეყანა ძალზე საშიშ ზღვარს მიადგა. მთავრობას არ ძალუძს მოვლენების მართვა, ხელმძღვანელობას ნათლად არა აქვს განსაზღვრული, თუ რა გზას დაადგეს. და, ამავდროულად, პარტოკრატიას არ სურს ძალაუფლება გადესცეს თავისუფლად, კანონიერად არჩეულ დემოკრატიულ ორგანოებს. ეკონომიკური ნახევარზომები არსებითად არაფრით განსხვავდება 1979-1980 წლებში პოლონეთში გერეკის მთავრობის მანევრებისაგან. ამ ნახევარზომებმა კავშირი შეიძლება მხოლოდ ინფლაციამდე, შიმშილამდე და, ამის შედეგად, სახალხო მღელვარებამდე მიიყვანოს. საბჭოთა მთავრობის ჯიუტი, გაკერპებული მცდელობა, რომ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა არ მიანიჭოს, ადამიანებს ექსტრემისტული მოქმედებებისკენ უბიძგებს. კონფლიქტებს ხშირად თვითონ ცენტრალური ორგანოები აპროვოცირებენ, რათა შემდეგში წესრიგის, სიმშვიდის დამცველებად გამოვიდნენ. მაგრამ ყველაზე საშიში ამ სიტუაციაში, ჩემის აზრით, ისაა, რომ სსრკ-ში არ არსებობს მყარი, კარგად ორგანიზებული ოპოზიცია, არ არსებობს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ალტერნატივა.

გ. კ. — შენ როგორ წარმოგიდგენია ოპოზიცია?

ვ. ბ. — რესპუბლიკებში ოპოზიციური მოძრაობა ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათისა უნდა იყოს, იმიტომ, რომ ეროვნული პრობლემები იქ უკიდურესად გამწვავებულია და მათი გამძაფრება დააჩქარებს თავისუფლების მოპოვების წადილზე დაფუძნებულ ეროვნულ მოძრაობათა განვითარებას. რუსეთში კი, ვფიქრობ, ეროვნული ნიშნები ნაკლები სიმკვეთრით გამოვლინდება, იქ ოპოზიცია მკვეთრად პოლიტიკური ხასიათისა იქნება: „ჩვენ რომელიმე ერი კი არ გვჩაგრავს, არამედ თავად კომუნისტური სისტემა".

გ. კ. — ამჟამინდელ ვითარებაში როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობები — საბჭოთა კავშირს ხომ ერთაშორისი წინააღმდეგობები ფლეთენ და გლეჯენ?

ვ. ბ. — შენ იცი: ჩვენი ძირითადი კონცეფცია ისაა, რომ ერთი რესპუბლიკა კავშირიდან ვერ გამოიყოფა, ვერ გათავისუფლდება. საზღვარგარეთ გაღწევა კაცს მარტოსაც შეუძლია, მაგრამ სსრკ-დან გასვლა რესპუბლიკებს მხოლოდ კოორდინირებულ ძალისხმევათა შედეგად ძალუძთ.

გ. კ. ანუ „იმპერია" უნდა დაიშალოს?

ვ. ბ. დიახ, პრაღის კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი თეზისი სწორედ ესაა. ჩვენის აზრით, კატასტროფის აცილების უპირველესი პირობა საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ დაშლაა.

ახლა ემოციური ქანქარა იქითაა გადარწეული, სადაც წერია: „გასვლა სსრკ-დან". და ხალხებმა უნდა მოიპოვონ ის, რასაც ესწრაფვოდნენ ამდენი ათეული წლის მანძილზე, — რეალური თავისუფლება და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება. მათში, ვინც ახლა ასეთ დაშლას ეწინააღმდეგება, ჩემის აზრით, არაა აღმოფხვრილი წინა საუკუნის ცრურწმენები. ისინი კვლავ იმყოფებიან კლემენს მეტერნიხის კონცეფციის ტყვეობაში, კონცეფციისა, რომლის თანახმადაც, რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო მძლავრია.

მაგრამ ყოელივე ეს დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. საბაზრო ეკონომიკის ეპოქაში პატარა ჰონკონგი უზარმაზარ ჩინეთზე მდიდარია ახლა. იმისთვის, რომ მდიდარი იყო, აუცილებელი არაა უსაშველოდ დიდი ტერიტორია გქონდეს, ახლა იმისთვის უახლესი ტექნოლოგიის განვითარებაა საჭირო...

გ. კ. — და ახლა ჩვენს წინაშე დაისმის დასავლეთისა და კომუნისტური ქვეყნების ურთიერთობის თემა? როგორი სიტუაციაა ამჟამად?

ვ. ბ. — ყოველთვის მანცვიფრებდა ის, თუ როგორ არ ძალუძდა დასავლეთს კომუნისტური სისტემის არსში წვდომა, დასავლეთი ყოველთვის მზად იყო დანებებისთვის, ფარ-ხმლის დაყრისთვის.

ახლა, როცა საშიში დაძაბულობა დაცხრა, კომუნიზმის წინაშე დასავლეთის ტიპიური, ტრადიციული შიშიც თანდათან ილევა. მის სანაცვლოდ ძლიერდება დღევანდელი საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის მხარდაჭერის სურვილი, რათა ის წინამორბედ ხელისუფლებაზე უფრო ლიბერალურ ხელისუფლებად დარჩეს. თუმცა, ჩემის აზრით, ამაში ლოგიკა ცოტაა.

რატომ უჭერს მხარს ჯორჯ ბუში გორბაჩოვს? ან მარგარეტ ტეტჩერი, ჩვენი „რკინის ლედი", რომელიც თავის ქვეყანაში სოციალიზმს ებრძვის, საზღვარგარეთ კი ხელს უწყობს რეფორმატორს, რომელიც სოციალიზმის გადასარჩენად ექსპერიმენტებს ატარებს? ამ კითხვის პასუხის საფუძველი შიშია. ჩვენ თუ გორბაჩოვს მხარს არ დავუჭერთ, ვაითუ, უცებ კავშირში „ძველი გვარდია" დაბრუნდეს?..

გ. კ. გამოდის, რომ დასავლეთში არ ესმით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და სსრკ-ში მიმდინარე სიღრმისეული პროცესების შეუქცევადობა...

ვ. ბ. — ისინი ამბობენ, გვესმისო, მაგრამ ამ პროცესების ბოლომდე არა სჯერათ, ეშინიათ მათი. რასაკვირველია, მათ, კომუნისტური სისტემის არსში ცუდად ჩახედულთ, ნამდვილად უჭირთ ამ პროცესებში გარკვევა. მათი თვალსაზრისით გორბაჩოვმა ინება და გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. აი, ახლა ჩვენ პრაღაში ვსხედვართ. რატომ? იმიტომ, რომ მომხიბვლელმა გორბაჩოვმა გაათავისუფლა ის, გერმანიის გაერთიანების ნებაც მისცა. რა კარგია! მაგრამ ჩვენ ხომ გვესმის, რომ მას სხვა მიზეზი ჰქონდა, რომ ამ ქვეყნებს სათავეში ისეთივე რეფორმატორები მოექცეოდნენ, როგორიც თვითონაა.

გ. კ. — აქედან კი არაფერი გამოვიდა...

ვ. ბ. — რატომ არ გამოვიდა. გამოვიდა ბულგარეთში, ნაწილობრივ — რუმინეთში. ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და გერმანიაში არ გამოვიდა. სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა, რომ ჩეხოსლოვაკიის მოვლენების სცენარი წინასწარ იყო დაწერილი. მაგრამ მათ, ვინც ამ სცენარს ამზადებდნენ, ვერ გაითვალისწინეს ნება ხალხისა, რომელსაც არ სურდა სოციალისტური რეჟიმის ატანა. ამ სისტემის არც „კარგი" პირის ატანა სურდა და არც „ცუდისა" — რაც ალზანაა, ის ჩალზანაა. პრაღაში ჩამოვიდა ზდენეკ მლინარჟი და სალხმრავალ მიტინგზე, ისევე, როგორც 1968 წელს, დაიწყო ლაპარაკი „ადამიანურ სოციალიზმზე", მაგრამ მას უსტვინეს და ვენაში დაბრუნდა.

გ. კ. საბჭოთა კავშირში დემოკრატიულ მოძრაობებს შეუძლიათ თუ არა დასავლეთის მხარდაჭერის იმედი იქონიონ?

ვ. ბ. დასავლეთში არიან ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ რუსეთში დემოკრატიულ მოძრაობებს. მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ეს დიდი ძალებია. და არ შეიძლება გაზვიადება იმისა, რისი გაკეთებაც დასავლეთს შეუძლია. მას ხელს უშლის ნამდვილი სიტუაციის უცოდინარობაც, საბჭოთა კავშირის წინაშე ცრურწმენული შიშიც და მისდამი სიმპათიებიც კი...

გ. კ. ეს სიმპათიებიც არსებობს?

ვ. კ. — რასაკვირველია! დასავლეთი ახლა სიმპათიურადაა განწყობილი სსრკ-სადმი. ისინი კი, ვინც აქტიურად გამოდის სსრკ-ს წინააღმდეგ, ყველაზე პირქუშ წლებშიც კი ძალზე ცოტანი იყვნენ. მაგრამ ასეთი ადამიანები არიან...

გ. კ. — აქედან გამოდის დასკვნა, რომ დემოკრატიულმა მოძრაობებმა დასავლეთის მხრიდან დიდი დახმარების იმედი არ უნდა იქონიონ და ძირითადად თავიანთ ძალებს უნდა დაემყარონ, ხომ ასეა?

ვ. ბ. — ასეა, უმთავრესად თავისი საქმის სიმართლეს რწმენას, დისციპლინიანობას უნდა დაემყარონ. მსგავსად იმისა, როგორც ვიქცეოდით სამართალდაცვითი მოძრაობის დამწყებნი ამ სამი ათეული წლის წინათ, როცა ჩვენი ჯილდო მხოლოდ ციხე შეიძლებოდა ყოფილიყო. ახლა საბჭოთა კავშირში ყველა დემოკრატიული ძალა უნდა გაერთიანდეს. მაგრამ ჯერჯერობით ძალზე ბევრნი ცდილობენ თავიანთი ამბიციების რეალიზებას, ქმნიან ჯგუფებსა და პარტიებს, აარსებენ თავიანთ ბეჭდვით ორგანოებს, ავიწყდებათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა უბრალო და ნათელი პრინციპების საფუძველზე შემჭიდროება, დარაზმვა, რათა თავიდან აიცდინონ ყველაზე საშინელი რამ — ახალი სისხლისღვრა, სისხლი კი რუსეთში უკვე ასე უსაშველოდ ბევრი დაიღვარა. ყველაფერი დანარჩენი შემდეგ იქნება.

გაზეთი „დემოკრატიჩესკაია როსსია", №2 აგვისტო, 1990 წ.



გზა.          ილარიონ ბაევის ფოტო.

# ალვინ ეილის

# თეატრი თბილისში



19-23 სექტემბერს თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა ამერიკული ცეკვის თეატრის გასტროლები. გასტროლების სპონსორები — დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება და ფირმა „მარლბორო" (აშშ). ეს ცნობილი თეატრი, რომელიც ალვინ ეილიმ დააარსა, ერთ-ერთი წამყვანი დასია ამერიკის შეერთებულ შტატებში. თეატრის რეპერტუარი თავისებური ანთოლოგიაა „ცეკვა მოდერნისა", სადაც, პირველ რიგში, წარმოდგენილია ქორეოგრაფები—ზანგები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ამერიკის შეერთებული შტატების ცეკვის ხელოვნების განვითარებაში. ესენია: კატრინ დანჰემის — მოცეკვავისა და მეცნიერ-ანთროპოლოგის დადგმები (მას ეკუთვნის აფრო-ამერიკული კულტურის ამსახველი ცეკვების პროგრამები, კერძოდ, სპეციალური პროგრამა, რომელსაც „კატრინ დანჰემის ჯადოსნობა" ჰქვია); ეს არის დონალდ მაკკეილის მიერ დადგმული ცეკვები და ა. შ. ალვინ ეილის ცნობილ დადგმაში „ზეშთაგონება" გამოყენებულია ზანგური ფოლკლორული მუსიკა, უფრო რელიგიური ხასიათისა — სპირიჩუელსი, ბლუზები, გალობა-ქადაგებები და ბიბლიური შინაარსის სიმღერები. ამ დადგმაში ყველაზე უფრო სრულად აისახა ალვინ ეილის დასისთვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები; ეილი ახალგაზრდა ქორეოგრაფებსაც იწვევდა თავის დასში, მათ შორის დასის ამჟამინდელ მხატვრულ ხელმძღვანელს, ცნობილ მოცეკვავეს ჯუდით ჯემისონს.

ალვინ ეილი დაიბადა 1931 წელს, ბავშვობის მოგონებები, როცა იგი საკვირაო სკოლაში ისმენდა ლოცვებსა და საგალობლებს, საფუძვლად დაედო მის ორ ყველაზე ცნობილ „ბლუზების სუიტას" და „ზეშთაგონებას". 12 წლისამ, როცა მონტე-კარლოს რუსული ბალეტისა და შემდეგ კატრინ დანჰემის დასის სპექტაკლები ნახა, გადაწყვიტა ესწავლა ცეკვა, სწავლობდა ლესტერ ჰორტონთან. ჰორტონის გარდაცვალების შემდეგ ჩაუდგა სათავეში ალვინ ეილი მის დასს, გამოდიოდა ბროდვეის ბევრ სპექტაკლში, მიუზიკლებსა და დრამებში, შემდეგ კი თავისი თეატრი დააარსა.

ალვინ ეილის სტილია აფროკარიბული ფოლკლორის ტრადიციების შერწყმა ლესტერ ჰორტონისა და მარტა გრეჰემის კლასიკური და ჯაზური ცეკვების სპეციფიკასთან. თავისი დასისთვის მან 79 დადგმა განახორციელა, ბევრი მათგანი უკვე კლასიკაა: ტრადიციულ ზანგურ მუსიკაზე შექმნილი „ზეშთაგონება" და „ბლუზების სუიტა", „ღამის არსება" — დუკ ელინგტონის მუსიკაზე, „პეიზაჟი" (მუსიკა ბელა ბარტოკისა) და სხვ. ბალეტების გარდა ალვინ ეილი ცეკვებს ოპერებშიც დგამდა — კერძოდ, სამუელ ბარბერის ოპერა „ანტონიუს და კლეოპატრაში" (მეტროპოლიტენ ოპერა). მისი დადგმები ჩართულია არაერთი თეატრის რეპერტუარში, მათ რიცხვშია პარიზის გრანდ თეატრი და დანიის სამეფო თეატრი; 1982 წელს ალვინ ეილის მიენიჭა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის მედალი; 1987 წელს მიეკუთვნა ამერიკული ცეკვის ფესტივალის პრემია; 1988 წელს კი უმაღლესი ჯილდო — საპატიო მედალი, რომელიც კენედის ცენტრმა მიანიჭა ვაშინგტონში. 1989 წლის დეკემბერში თეატრმა დაკარგა თავისი ხელმძღვანელი — ალვინ ეილი გარდაიცვალა, მაგრამ დასი ისევ ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას — გამოდის თითქმის ყველა შტატში და წარმატებით ახორციელებს თავის დადგმებს საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

ხათუნა შატბერაშვილი

# „ჩემი სახლი პაწაწინა..."

15 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში გაიხსნა პოეტ ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმი. 17 საათზე კი ქალაქის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

დამსწრეთ მიმართა სოფლის თავკაცმა მეგონა ღურწკაიამ. მან მადლობა მოახსენა სტუმრებს მობრძანებისათვის და გამოთქვა სურვილი, რომ პოეტის ხსოვნასთან დაკავშირებული შეხვედრები ტრადიციად იქცეს. ალექსანდრე საჯაიას სიყრმის მეგობარმა, ცნობილმა მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ გაიხსენა მნიშვნელოვანი ეპიზოდები პოეტის ცხოვრებიდან. ორატორებმა ისაუბრეს ეროვნულ, პოლიტიკურ, ეთნიკურ, ...ოლოგიურ საკითხებზეც.

გადაწყდა, მომავალ წელს აღინიშნოს ალექსანდრე საჯაიას დაბადების 75-ე წლისთავი. იქვე ითქვა, რომ ამ იდეას სჭირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა და თანადგომა.

მარად დაუვიწყარი დარჩება ოდიშელთათვის ეს ღირსშესანიშნავი დღე. სოფლის შემოგარენს ქართული სიმღერების ჰანგები ეფრქვეოდა. სკოლის მოსწავლეები პოეტის ლექსებს კითხულობდნენ. ალექსანდრე საჯაიას სულის აღზევების ზეიმმა სოფლის სასაფლაოზე გადაინაცვლა, სადაც მისი ნეშტი განისვენებს.

გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ჯემალ ქირიამ. მან ისაუბრა ალექსანდრე საჯაიას ღვაწლზე, მის ტრაგიკულ ბედზე. აღნიშნა, რომ ალექსანდრე საჯაიას შემოქმედება თავისი ქვეყნის უმდიდრესი კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობა და სამშობლოს სიყვარულის უსპეტაკესი გრძნობით არის გამსჭვალული. ვახტანგ ჭელიძემ დამსწრე საზოგადოებას ვრცლად წარმოუდგინა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების აქამდე ნაკლებად ცნობილი მხარეები. სახლ-მუზეუმის გახსნის გამო პოეტის შვილმა არჩილ საჯაიამ ზუგდიდის საზოგადოებას მადლობა გადაუხადა.

საზოგადოებრიობას ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმის გახსნა მიულოცეს და კონკრეტული სურვილები, წინადადებები გამოთქვეს პოეტებმა: გენო კალანდიამ, ზაურ მოლაშხიამ, ბათუ დანელიამ, მწერალმა ზაურ კალანდიამ, სოფელ ოდიშის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ფირუზა სართანიამ, გაზეთ „ოდიშის" რედაქტორის მოადგილემ ზურაბ ცხონდიამ. ბოლოს, მწერალმა ჯემალ ქირიამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას თანადგომისათვის, საქმიანი წინადადებებისა და კეთილი სურვილებისათვის.

ნუგზარ გულორდავა

# გამოსათხოვარი



ხუროთმოძღვარი ავთო ჩიხლაძე განეკუთვნებოდა იმ უხმაურო მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა საქმიანობა არ არის რეკლამირებული, სამთავრობო და სახელმწიფო ჯილდოებით განებივრებული. ის იყო ჭეშმარიტი პროფესიონალი, რომელსაც სჯეროდა იმისი, რასაც აკეთებდა, და აკეთებდა ყოველთვის თავდავიწყებით, შემოქმედებითი ძალების სრული მობილიზებით.

იგი მოღვაწეობდა ძირითადად ორი მიმართულებით — პროექტირების დარგში და პედაგოგიკაში. ძნელია თქმა, რომელ პროფესიას მიიჩნევდა ის ძირითადად. თითქოს პროექტირებას მეტ დროს უთმობდა, მაგრამ იმავ დროს ისეთი გატაცებით მუშაობდა სტუდენტებთან, ისე შემოქმედებითად, რომ შეუძლებელია, კაცს ეფიქრა, თითქოს ეს საქმე მისთვის მეორეხარისხოვანი ყოფილიყოს.

ხუროთმოძღვარი და ახალგაზრდა სპეციალისტების აღმზრდელი ავთო ჩიხლაძე იყო უბადლო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული. თავმდაბალსა და კეთილმოსურნეს არასდროს ღალატობდა სამართლიანობის გრძნობა; ჭეშმარიტებისა და საკუთარი რწმენის დასაცავად არ ერიდებოდა ცხარე კამათს, ვინც არ უნდა ყოფილიყო მოპაექრე.

ავთო ჩიხლაძე იყო სულით ხორცამდე ქართველი, უზომოდ შეყვარებული თავის სამშობლოზე, თავის ხალხზე. მისი ყველაზე მაღალი და სანუკვარი ოცნება იყო თავისუფალი საქართველო. იგი უდიდეს პატივს მიაგებდა ყოველ ქართველს, იქნებოდა ის მეცნიერი, პოლიტიკოსი თუ სპორტსმენი, ვინც საქართველოს ასახელებდა. ეს ვაჟკაცური ბუნების კაცი ბავშვური აღტაცებით ელოლიავებოდა ყველაფერს, რაც საქართველოს სახელთან იყო დაკავშირებული.

ავთო ჩიხლაძის ბოლო შემოქმედებითი ნაწარმოები იყო „წმინდა სამების" საკათედრო ტაძრის საკონკურსო პროექტი. მან კონკურსის ორივე ტურში მიიღო მონაწილეობა და მისთვის ჩვეული პრინციპულობითა და პროფესიონალური რწმენით საზოგადოებას შესთავაზა მეტად საინტერესო ადგილი ტაძრის ...აგებად.

ძნელია გამოემშვიდობო ავთო ჩიხლაძეს ტრადიციული სიტყვებით —წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი შემოქმედი — როდესაც გრძნობ, რომ მას შეეძლო კიდევ ბევრის გაკეთება, ბევრი სიკეთის მოტანა, როგორც პიროვნებას და როგორც სპეციალისტს.

არა მარტო ოჯახმა, არქიტექტურულმა საზოგადოებამ და მეგობრებმა დაჰკარგეს იგი; ავთო ჩიხლაძის სახით თავისი ერთგული და მგზნებარე გულშემატკივარი დაჰკარგა სრულიად საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამაც.

არქიტექტორები: რეზო ბაირამაშვილი, ალექსანდრე ბაქრაძე, გურამ ბაქრაძე, აშირან ბახტაძე, ვალერი ბახტაძე, ენვერ გეწაძე, დავით გრძელიძე, ნიკოლოზ ლასარეიშვილი, დავით მორბედაძე, თამაზ ნათიძე, ვლადიმერ ქურთიშვილი, ვაჟა ჩაგუნავა, მურთაზ ჩაჩანიძე, კოტე ჩხეიძე, ნოდარ ჯოხაძე.

# გამოიწერეთ გაზეთი

ლიტერატურული საქართველო

1 წლით, — 20 მან. 80 კაპ.
6 თვით — 10 მან. 40 კაპ.
3 თვით — 5 მან. 20 კაპ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ მწერალ გურამ დოჩანაშვილს დედის

გულჩორა ემხვარის

გარდაცვალების გამო.


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი.





რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65. 98-86-68.



რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით